გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

ქართველობის გადასარჩენად



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№266 (325) 29 აპრილი – 6 მაისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ჭიკაიძის მიერ გადარჩენილი “ნაციონალები”

დიახ, სწორედაც რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გადაარჩინა ყველასათვის საძულველი ნაციონალები სამართლიან სასჯელს. მართალია, ჭიკაიძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ცივი წყალი გადაასხა ძალაუფლების ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნების სურვილით ატროკებულ ნაცებს, მაგრამ ეს ერთგვარი პრევენციაც გახლდათ, რამაც გათავხედებულ ნაცებს ხელი ააღებინა ძალისმიერი რევანშის განაზრახზე და დიდი უბედურებისაგან იხსნა ეს დანაშულებრივი ორგანიზაცია.

ნათქვამის მტკიცებულებად კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ ფრაგმენტს ბატონ ჭიკაიძის ინტერვიუდან, რომელშიც იგი საქართველოში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობს.

**– “ნაციონალური მოძრაობა” ხშირად აკეთებს მინიშნებას იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, საქართველოში განმეორდეს ევრომაიდანის მოვლენები... ხედავთ თუ არა ამის ალბათობას და როგორ იმოქმედებს პოლიცია უკრაინული სცენარის შემთხვევაში?**

– რაც უკრაინაში მოხდა, ჩვენთან ამის წინაპირობა ნამდვილად არ არის. წინა წლებთან შედარებით 200 და 300 პროცენტით მეტადაა დაცული ადამიანის უფლებები, მათი პირადი ცხოვრება, პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ. თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაციები. როგორც იცით, ყოფილმა პრეზიდენტმაც გააჟღერა ევრომაიდანის იდეა და ამბობენ, რომ ეს თემა პარტიის შიგნითაც აქტიურად განიხილება. არის ინფორმაციები, რომ დაიწყეს საბურავების მომარაგებაც.

**– ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ “ნაციონალური მოძრაობა” აქტიურად განიხილავს მასშტაბური გამოსვლების სცენარს და ამ მიზნით მოიმარაგეს საბურავები?**

– დიახ, არის ასეთი ინფორმაცია. მათ სურთ რაღაც ზონდერჯგუფების ჩამოყალიბება. შესაძლოა, მოახდინონ წარსულში კრიმინალთან და მრავალ დანაშაულებთან ასოცირებული პირების მობილიზება. არის ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან, გამოიწვიონ ქვეყანაში აურზაური და ეს კეთდება იმისთვის, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაამყარონ. მე მგონი, ამას თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან დღეს ქვეყანა დგას სწორ გზაზე. მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს გააჩნია, არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მერწმუნეთ, საქართველოს მთავრობა, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის დაძლევის მიზნით. ოპონენტებს, რა თქმა უნდა, ექნებათ არეულობის მცდელობები, მაგრამ ეს არის მხოლოდ მათი სურვილი და ასეთ იდეებს რეალობაში განხორციელება არ უწერია. მეტსაც გეტყვით, მათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან ევრომაიდანის აქტივისტები, ატარებენ ტრენინგებს და მოსამზადებელ სამუშაოებს. ეს ინფორმაცია მედიაშიც მუსირებს. მათ საფარქვეშ ჰყავთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში, მოხდეს არეულობა, შემდეგ ისევ მათმა ხალხმა ესროლოს ვინმეს და ეს დაჰბრალდეს ხელისუფლებას. იგეგმება, რომ გაშალონ კარვები, სადაც 300-400 კაცის მობილიზებას მოახდენენ. მე მჯერა, რომ ჩვენი ოპონენტები, თავადვე მიხვდებიან, რომ ეს არ არის ის გზა, რომელიც ქვეყანას, ან ნებისმიერ ჩვენგანს რაიმე სიკეთეს მოუტანს.

**– თუკი თქვენ საუბრობთ მოსალოდნელ სისხლისღვრაზე, რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებთ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს?**

– დღეს ჩვენ არ ვართ ის უწყება, რომელიც სურვილებისა და იდეების გამო, რა გინდ მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს, დავიწყებთ დაჭერებს. მათ აქვთ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, მაგრამ ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, ხალხისა და ოპონენტების ცემას, რათა ეს ყველაფერი მერე სახელმწიფოს დააბრალონ, უმკაცრესად დაისჯებიან! ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, არ დავუშვათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია და აღვკვეთოთ ყოველგვარი მსგავსი ქმედება. მათ, პირველ რიგში, საზოგადოება უპასუხებთ და გაცილებით მკაცრად. საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი სისხლი დაიღვარა. ეს ხალხს აღარ სჭირდება, ხალხს სჭირდება სიმშვიდე და ნორმალური განვითარება.

**– უკრაინაში ევრომაიდანის შედეგად იანუკოვიჩის მთავრობა დაემხო... ამ შემთხვევაშიც მიზანი იგივე იქნება, თუკი თქვენ უკრაინულ სცენარზე საუბრობთ?**

– მიზანი არის დესტაბილიზაცია, შეეცდებიან, ევროპელ პოლიტიკოსებს ცრუ ინფორმაციები მიაწოდონ და ამით გარკვეული წრეების მხარდაჭერა მოიპოვონ. მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა, ხელისუფლების შეცვლა და ა.შ. არის ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ეს სცენარი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აამუშაონ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, გარკვეული ნიადაგი მანამდეც მოსინჯონ.

როგორც ხედავთ, ნაცების მიერ საგულდაგულოდ მომზადებული დანაშაულის წინაპირობა სახეზეა, რომლის გაბათილება ნებისმიერ წესიერ ადამიანს გაუჭირდებოდა, მაგრამ უტიფრობით ცნობილი ნაციონალები არც ისე იოლად “გასატეხი” კაკლები (იგულისხმება საჭმელი კაკალი და არა გენიტალიის ნაწილი, რომელთან შედარებაც ბევრად უფრო უხდებათ ნაცებსა და მათ ბელად სააკაშვილს, რითი ჩამოკიდებასაც მას უპირობოდ ჰპირდებოდა ვლადიმერ პუტინი სამაჩაბლოში ომის დაწყებასთან დაკავშირებით) აღმოჩნდნენ.

ახლა კი გულზე მუშტის ბრაგუნით გვიმტკიცებენ სახეგაფითრებული ნაცები, რომ არავითარ სახელმწიფო გადატრიალებას ჩვენ არ ვამზადებდით და ყველაფერს ჩვენი ავისმსურველები გვაბრალებენო, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ფაქტები სულ სხვა რამეზე ღაღადებენ! მათ რომ ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე ბრალი ადევთ, იმას დამძიმება ნაღდად აღარ ესაჭიროება!

**“ქართული ოცნების”** ხელისუფლებას განგაშის ზარი მაშინ უნდა დაერისხა, როცა სამეგრელოს სამალავებში დიდძალი იარაღი და ნაციონალების მიერ მიპარვით გადაღებული პირადი ცხოვრების ამსახველი ფირები ამოიღეს. მაშინ ძირითადი აქცენტი მხოლოდ ამ ფირებზე გაკეთდა და იარაღის თაობაზე კრინტი არავის დაუძრავს. არა და, სახელმწიფო გადატრიალება სწორედ იარაღით ხდება და არა მალულად გადაღებული მამხილებელი ფოტო და კინოფირებით თუ აუდიოჩანაწერებით.

სწორედ ამიტომ მიმაჩნია საეჭვოდ **“ქართული ოცნების”** მესვეურთა ამგვარი წაყრუება, რადგან, ასეთი ოდენობის არალეგალური იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და დაწყებულიყო გამოძიება. თანაც, არავინ იცის, კიდევ რამდენ ადგილზე აქვთ მოწყობილი იარაღის სამალავები ნაციონალ არამზადებს!

ყველაზე ძლიერი ეჭვი კი მაშინ დაიბადა, როცა პოლიტიკურმა ავანტიურისტმა და ბანკროტმა, პირწავარდნილმა სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილმა პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარების საპასუხოდ განაცხადა: **“მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, მაგრამ იმიტომ, რომ ხელისუფლებაში პუტინის მიერ მიყვანილი ხალხისაგან ქვეყანა გავანთავისუფლოო”.** მანამდე კი, ავყია ნაციონალები – ბარამიძეები, დარჩიაშვილები, ბოკერიები, კანდელაკები, თაქთაქიშვილები, ვაშაძეები და სხვები ევროპაში შეგნებულად ავრცელებდნენ ხმებს მათზე პოლიტიკური დევნის გამოცხადებისა და პოლიტიკური ლიდერების დაპატიმრებათა თაობაზე. სულგაყიდული და ქრთამს დახარბებული ევროამერიკელებიც ყაყანებდნენ და სწორედ მათი მეცადინეობით მზადდებოდა საქართველოში ხელისუფლების იარაღის ძალით გადაყენებისა და ქვეყნის სათავეში კვლავ კაციჭამია მეცოცხე ნაციონალების მოყვანას. ნაცთა ერთ-ერთი ასეთი ტრუბადური გახლავთ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი.

ჩვენ უკვე ვწერდით ამ არაკაცზე, რომელმაც შვედეთის ერთ-ერთი კომპანიის თავკაცობით ლობირებდა ნაციონალთა ანტისაკაცობრიო საქმეებს, დიდძალი საბიუჯეტო თანხები ჩაიჯიბა სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური ბანდისაგან. შემდეგ კი, როცა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა, თავი უნდა გაენებებინა თავისი ყველაყის ჭამისათვის, მაგრამ, ეტყობა, ნაცები კვლავაც უხვად უხდიან ფულებს თავიანთი დანაშაულებრივი ბიზნესიდან და ბილდტიც მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰკივის, რომ ნაციონალებს საქართველოს ახალი ხელისუფლება სდევნისო.

აქ უკვე საეჭვო ისაა, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო კრინტს არ ძრავს და სათანადო წერილით არ მიმართავს შვედეთის ხელისუფლებას, რათა თანამდებობიდან დაითხოვონ მექრთამე საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი!

მისი სულუკუღმართობის ფაქტები არ არის საკმარისი თუ რა?

ქართველები ამბობენ: **“ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო”!** ეს ანდაზა სწორედაც რომ სააკაშვილსა და ნაცებზეა ზედგამოჭრილი, რადგან, როგორც კი კიევში რამდენიმე დემონსტრანტი გამოვიდა სიტუაციის ასარევად, სააკაშვილი და მისი ბანდა წამსვე იქ გაჩნდა და ცეცხლზე ნავთის მისხურებას შეუდგა. ნახევრადსომეხი მიხეილ სააკაშვილი გვერდით ამოიყენა მასავით ნახევრადსომეხმა იულია ტიმოშენკომ, რომელიც ქურდობისათვის წლების განმავლობაში ხეხავდა ციხის კედლებს. შედეგად რაც მივიღეთ, სახეზეა – ყირიმდაკარგული უკრაინა, რომელსაც ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონი უმხედრდება და მალე საერთოდ შეიძლება შუაზე გახლეჩილი უკრაინა დარჩეთ იმ უკრაინელებს, რომელთაც გულწრფელად ეჯერათ, რომ სააკაშვილი რაიმე სასიკეთო საქმეს შეჰყრიდა მათ. მაგრამ, სააკაშვილი აქაც მისთვის ჩვეული სომხური მზაკვრობით მოქმედებდა – ჯერ ერთი, ევროპას და ამერიკას თავს აჩვენებდა რუსეთის წინააღმდეგ შეურიგებლად ამხედრებულ რაინდად, და მეორეც – უნდოდა კიევის სცენარის თბილისში გადმოტანა და გათამაშება! ამიტომაც გამოიძახა კიევში გივია თარგამაძე, დავით საყვარელიძე და სხვა სულმრუდი ნაციონალები, რათა საჭირო მომზადება გაევლოთ და თბილისში რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილები დაბრუნებულიყვნენ. სამწუხაროა, რომ კიევის მოვლენებს შეეწირა ქართველი ახალგაზრდა დავით ყიფიანი, მაგრამ რა არის ნაციონალებისათვის ერთი ქართველის სიკვდილი, როცა ისინი ძალაუფლების დასაბრუნებლად მზად არიან, რომ მთელი საქართველოს მოსახლეობა სისხლში აბანაონ.

სწორედ აქ მოუსწრო მათ სულზე ჭიკაიძის გაფრთხილებამ, თორემ, მტრისას, ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და პროვოკაციების განხორციელების სურვილით აღტკინებულ ნაციონალებს დღე დაადგებოდათ!..

როგორც იცით, ყოველგვარ რევოლუციურ პროცესებს გარკვეული რესურსი სჭირდება, თუნდაც ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებით გამსჭვალული ადამიანების სახით, ფულსა და იარაღზე რომ არაფერი ვთქვათ! ფული და იარაღი რომ ნაციონალებს თავსაყრელად აქვთ, ამაში ეჭვი არავის ეპარება. აი, რაც შეეხება **“ქართული ოცნების”** პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხს, საქართველოში არც საზოგადოების ამგვარი დეფიციტის ნაკლებობა შეიმჩნევა, მაგრამ, სულ სხვა საკითხია, თუ რით არის უკმაყოფილო საზოგადოების დიდი ნაწილი. მათი უკმაყოფილება გამოწვეულია სწორედ იმით, რომ დამნაშავე ნაციონალები საბრალდებო სკამის ნაცვლად, უტიფრად, პარლამენტში სხედან და, როგორც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ ტელეინტერვიუში თქვა: **“იქიდან გვიყოფენ ენას”**! ამიტომ არის მათ მიმართ ესოდენ დიდი ქართველი ხალხის აგრესია, ამიტომაც არის ქართველი ხალხი შეურაცხყოფილი ამერიკელების მიერ **“შემოტენილი”** კოჰაბიტაციით და **“ქართული ოცნების”** მესვეურთა გაუგებარი ტოლერანტობით! ამიტომაც არის, რომ ქართველი ხალხი მიზეზს ეძებს, რათა საკადრისად გაუსწორდეს მტარვალ ნაციონალებს, ღირსეული სასჯელი მიაგოს მათ, ერთხელ და სამუდამოდ ალაგმოს ეს ანტიქართული ძალა!

ასე რომ, ნაციონალებმა რომ რაიმე მკვეთრი მოძრაობა გააკეთონ, საქმეში პოლიციისა და ჯარის ჩარევა საჭირო აღარ იქნება – ხალხი თავად გაუსწორდება ამ მკვლელ და მანიაკ **“მეცოცხე”** ნაცებს და მათ დორბლიან ბელად სააკაშვილს, საკადრისს მიუზღავს ყოველი ჩადენილი ავკაცობისათვის!

ამიტომაც უნდა ილოცონ ნაცებმა შს მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის პორტრეტის წინ, რომელმაც ეს არაკაცები პრევენციული ზომებით საშინელ სასჯელს აარიდა და წინასწარ დაუხატა მოსალოდნელი სურათი, რაც შეიძლება მათ დესტრუქციულ საქმიანობას მოჰყოლოდა!

ახლა კი მათი მზაკვრული განაზრახის გამჟღავნებით უზომოდ დამფრთხალი ნაციონალები გულს იმით იოხებენ, რომ ყველაფერს რუსებს აბრალებენ და შესაშური სიჯიუტით იშვერენ თითს ჩრდილოეთისაკენ. და ყველაფერ ამას გულმოდგინედ ტირაჟირებს ნაციონალთა ზნედაცემულ რუპორი – ტელეარხი **“რუსთავი-2”**, რომელიც ყოველნაირად ცდილობს პოლიტიკურ განავალში ჩავარდნილი და სუნდადენილი სააკაშვილისა და მისი ნაციონალური ბანდის **“გამორეცხვას”**!..

მოკლედ, როგორც დათა თუთაშხია იტყოდა – **“ასე ეს”**, და ვისაც ჩემი არ გჯერათ, წაიკითხეთ ამ ნომრის მე-4 გვერდზე საქინფორმის მთავარი რედაქტორის არნო ხიდირბეგიშვილის წერილი სათაურით **“ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება – ვინ არის სააკაშვილის მთავარი საყრდენი საქართველოში, ანუ რატომ გადაიყვანენ ალასანიას საგარეო საქმეთა მინისტრად” – საქინფორმის ორი პროგნოზი, რომლებიც ორი დღის განმავლობაში გამართლდა**”.

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

# სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში

ყველა ერს აქვს თავისი ტრადიციები, ადათები და წეს-ჩვეულებები. ისინი შექმნა თვით ხალხმა, რომლებიც ზუსტად ასახავენ ამა თუ იმ ტომის, გვარის თუ ოჯახის ქცევა-მოქმედებებს, ცხოვრების შინაარსს. ყველა ზნე-ჩვეულებას გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი რიტუალური მოქმედება. ამის საფუძველზე იქმნებოდა ხალხური თქმულებები და ლეგენდები.

ხალხური წეს-ჩვეულებები წარმოადგენდა მშრომელი ადამიანების სულიერი ერთობის საფუძველს.

დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი არა მხოლოდ, უბრალოდ, ალამაზებენ ცხოვრებას, არამედ ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ისტორიულ გამოცდილებას.

როგორც ქრისტიანობა, ისე ყველა სხვა რელიგია, სათემო-საგვარეულო დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ნერგავდნენ ხალხში თავიანთ ძირითად იდეებს. ყველა ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული დღეები, რომელიც უკავშირდება რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ამ დღესასწაულების დიდი ნაწილი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი დღესასწაულობდა ხვნა-თესვას, მოსავლის აღებას, მოიგონებდა სახალხო გმირებს.

შემდგომში ბევრმა დღესასწაულმა რელიგიური ხასიათი მიიღო, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვაგრძელებთ მასალების ბეჭდვას სამეგრელოში დღემდე შემორჩენილ სალოცავებსა და დღესასწაულებზე, რომლებიც უხსოვარი დროიდან იღებენ სათავეს.

ყვავილ-ბატონები: ჩხვერე, კორკოცე, შარტე, კისერე, დიდი ბატონები (წითელა, ყივანა-ხველა, ქუნთრუშა, ჩუტყვავილა, ხორველა, შავი ჭირი) გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში.

1. **ჩხვერე** ბატონების დროს ბავშვის ტანს ემჩნეოდა გამონაყარი, აძლევდა სიცხეს.

2. **კორკოცე** (ხველა ბატონები) ბავშვი ახველებდა ისე, რომ მამალივით ყიოდა, აძლევდა სიცხეს.

3. **წითელა ყვავილის** დროს ბავშვის მთელი ტანი, განსაკუთრებით მუცლის არეში, წითელი წერტილებით იყო გამოყრილი, სიცხესაც აძლევდა.

4. **კისერე** (ხორველა). ეს ბატონები ძალიან საშიში იყო ავადმყოფებისათვის, რადგან ყელი და მთელი სასუნთქი ორგანოები უჩირქდებოდათ და ეკეტებოდათ.

5. **დიდი ბატონები** იგივეა, რაც შავი ჭირი. ეს ავადმყოფობა მაღალი ტემპერატურით იწყებოდა, უსივდებოდათ და უჩირქდებოდათ მთელი სახე. თუ ვინმე ცოცხალი გადარჩებოდა, მას, აუცილებლად, სახეზე ემჩნეოდა ნაყვავილარის კვალი, ანდა სამუდამოდ დაინვალიდდებოდა. ასევე იყო ფილვაია ბატონები, როცა ბავშვს კისერი უსივდებოდა. ეს ავადმყოფობა საშიშს არ წარმოადგენდა.

ადრე, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოსა და სვანეთში, შემოღებული იყო ყვავილ-ბატონების სალოცავი. ეს ტარდებოდა ყველიერის ორშაბათს.

გადმოცემით, ბატონებს უფროსები აგზავნიდნენ და ასვენებდნენ ხან ბავშვების, ხან კი ასაკობრივი ადამიანების ორგანიზმში.

მათ ისტუმრებდნენ სიმღერებითა და ჩონგურით. სვანეთში ჭიანურზე ამღერებდნენ და ცეკვა-თამაშით აცილებდნენ ბატონებს. იწვევდნენ შუამავალს, მახვეწებელს, მომბოდიშებელს, გამომლოცველებს. ასეთები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ჰქონდა მოსტუმრებული ყვავილ-ბატონები. სწორედ მათ შეეძლოთ ბატონებით დაავადებულ ავადმყოფთა მომსახურეობა.

დაავადებულის ოჯახის პატრონებს არ შეეძლოთ საჭმლის მოხარშვა, ცეცხლის დანთება, ტაფის გახურება. ამას მეზობლები აკეთებდნენ და უგზავნიდნენ ყვავილმოსტუმრებულის ხელით, ან აკაკუნებდნენ ავადმყოფის ჭიშკარზე, რათა გადაეცათ საჭმელი. დაძახება არ შეიძლებოდა, ავადმყოფზე რაიმე წამლის მიცემა აკრძალული იყო.

სოფელ სარაქონში სამი ოჯახი ამოწყვიტა ყვავილ-ბატონებმა. ჯადალი ჯალაღონიას ოჯახიდან სამი ბავშვი, ანტონ გეთიას ოჯახიდან კი სამი ბავშვი და დედ-მამა შეიწირა. გოძია მეშველიას ოჯახიდან დედ-მამა. ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა უპატრონოდ. ტირილი აკრძალული იყო. მეზობელ სოფელ ლეწურწუმეში ამბაკო წურწუმიას ბავშვი გარდაიცვალა ბატონებით, მამა კი არ მიუშვეს სატირლად.

გაჯავრებულმა მამამ ღვინით სავსე ქვევრები სულ ქვებით დალეწა. მახვეწებლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ბატონებს ამბაკოსათვის ეპატიებინათ დანაშაული.

ბატონებით ავადმყოფ ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ თამბაქოს მოწევა, ღვინის დალევა. თუ რომელიმე ჩვეულებას დაარღვევდა, მას სჯიდნენ. აი, რას იხსენებს 85 წელს მიღწეული მარტვილელი აბელი მოწაფია: თურმე, როცა ის ყვავილებით ყოფილა ავად, ბაბუამისი მთვრალი მოსულა, ბავშვები კი ცუდად გამხდარან.

ბაბუას რომ გამოესყიდა დანაშაული, მისთვის ხელ-ფეხი შეუბორკიათ და საწოლქვეშ შეუგდიათ. ბავშვებს ეს ძალიან გახარებიათ, სიცილი დაუწყიათ და სიცხეც დასწევიათ.

როგორც, ამ რამდენიმე წლის წინათ, გაზეთი **"ასავალ-დასავალი"** წერდა, ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი ბერიას ოჯახს აფხაზეთის სოფელ მერხეულში ყვავილ-ბატონები სტუმრებიათ. ლავრენტის ერთი ძმა ამ სენით გარდაცვლილა. დედამისიც დაავადებულა, მართალია, ცოცხალი დარჩენილა, მაგრამ სამუდამოდ დაყრუებულა.

დიდი ბელადის, იოსებ სტალინის დედა – კეკე ხშირად ამბობდა თავის მეზობელზე: **"ჩემს სოსოს და ჩემს მეზობელ ქებაძეს ერთად სჭირდათ ყვავილი და ერთნაირად ამჩნევიათო"**. დღესაც ვხვდებით ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებსაც სახეზე ძლიერად ამჩნევიათ ყვავილ-ბატონების ნაკვალევი.

ასე რომ, ყვავილ-ბატონების გაჯავრება არ შეიძლებოდა. იტყოდნენ: ბატონები ესტუმრაო, ბატონები უბრძანდებაო, ბატონებმა ბრძანაო. ავადმყოფს უსრულებდნენ ყველაფერს, შეუძლებელსაც, რასაც კი მოითხოვდა.

გარდაცვლილებზე იტყოდნენ – ბატონებმა წაიყვანაო. მახვეწებლები მიცვალებულს აცილებდნენ ჩონგურითა და იმ სიმღერით, რომელსაც უმღეროდნენ ყვავილმოსტუმრებული შუამავლები. სიმღერას ერქვა **"ოდუდური"**.

**ვოიადი, ია ვარდი**
**ია პატონეფი,**
**ია გიფინუ დო ვარდი**
**ია პატონეფი,**
**სტუმარეფ მურს, გოლვაფირო,**
**ია პატონეფი,**
**ქუბირათი, გოლვაფირო,**
**ია პატონეფი,**
**სქანი ლეხის მოუშუში,**
**ია პატონეფი,**
**მუშ ვარდი დო მუშ ქუჩუჩუ,**
**ია პატონეფი,**
**ოქროშ ტახტი გონწყილ მაფუ,**
**ია პატონეფი,**
**სქანი ლეხის მოუშუში,**
**ია პატონეფი,**

* * *

**ია ბატონეფი, წითელე – ბატონეფი,**
**მუში ვარდი დო მუში ქუჩუჩი,**
**სქანი ლეხის მოუშუში,**
**წითელე ბატონეფი,**
**მოზოჯითუ დოზოჯითუ მაფუ**
**ია პატონეფი, წითელ ბატონეფი,**
**ია გიფინ დო ვარდი,**
**სტუმარეფ მურს, გოლვაფირო,**
**ქუბირათი სქანი ლეხის**
**ია პატონეფი, წითელე ბატონეფი.**

ჩამოთვლილი წეს-ჩვეულებები დღესაცაა შემონახული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კეთდება აცრები, უკეთებენ სიცხის საწინააღმდეგო საშუალებებს.

თუმცა, ყვავილის აცრა ახალი არ გახლავთ და ის მოიხსენიება უძველესი დროიდან.

ჩვენ ვკითხულობთ **"მედიცინის ისტორიაში"** ასეთ რამეს – ინგლისელმა ექიმმა ჯენერმა 1794 წელს ძროხის ყვავილი აუცრა ბიჭუნას, იმავე წელს, ადამიანის ყვავილიც აუცრია, მაგრამ მას შემდეგ ბიჭს დაავადება არ შეყრია.

ექიმი, პროფესორი მიხეილ სააკაშვილი (ეს გახლავთ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბაბუა. ბატონმა მირიან ჯალაღონიამ ეტყობა არ იცის, რომ ეს უაღრესად პატიოსანი პიროვნება, რომელსაც უფროსი თაობის ადამიანები კარგად იცნობდნენ, სიცოცხლის ბოლომდე გვარად გახლდათ სააკოვი, იყო საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი, მაგრამ არასოდეს არავისათვის არ დაუმალავს თავისი სომხობა და ამაყობდა კიდეც სომხური წარმომავლობით – **"ილორი"**) იმოწმებს **"მედიცინის ისტორიას"**, სადაც მოყვანილია ბერძენი ექიმის თიმონის ცნობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ყვავილით დაავადებული ქართველის ჩირქში ამოვლებული ნემსით იფხაჭნიდნენ კანს, რომელიც მათ ინფექციისგან იცავდა.

თიმონი სხვა ნაშრომებშიც მიუთითებს, თითქოს ყვავილის აცრის მეთოდი ბერძნებს ქართველებისაგან გადაეღოთ.

ბატონ მიხეილს კონსტანტინეპოლში ასევე აღმოუჩენია ინგლისის ელჩის მეუღლის, მარიამ მონტეგიუს წერილი, სადაც ის 1717 წელს თავის მეგობარს ინგლისში წერს: **"ყვავილი, რომელიც ჩვენთანაა გავრცელებული, აქ სრულიად არ მიაჩნიათ საშიშ დაავადებად. შევეცდები, ეს სასარგებლო აღმოჩენა ინგლისში შევიტანო"**. მას გადაუწყვეტია თავისი ვაჟიშვილი ყვავილზე აეცრა.

ასევე, მედიცინის ისტორიაში მრავალი მეცნიერისგანაა დადასტურებული, რომ საქართველოში უძველესი დროიდან ყოფილა ყვავილის აცრის მეთოდი გავრცელებული. 1903 წელს, პარიზში, ცნობილ მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს თედო სახოკიას წაუკითხავს მოხსენება თემაზე **"ყვავილ-ბატონები საქართველოში"**. ამ მოხსენების შემდეგ პროფესორმა მიშელ ზაბოროვსკიმ აღნიშნა: **"ქართველებს ავადმყოფობა წარმოდგენილი ჰქონიათ სულების სახით ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპაში, კერძოდ, სლავთა შორის. ამგვარი წარმოდგენა მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ, ამისგან განსხვავებით, ქართველებს გადამდებ სენთა სულები ადამიანთა სახით ღვთაებადაც კი ჰყოლიათ წარმოდგენილი"**.

თედო სახოკია აღნიშნავდა: **"ამ პირველყოფილმა ადამიანმა იმისათვის, რომ ღმერთების ავი ნდომა-სურვილები დაეტკბილებინა, მათგან სიკეთე გამოეთხოვა, მათგან მფარველობა მიჰმადლებოდა, უძულებული შეიქმნა გამოეგონებინა კულტი, თაყვანისცემა ამ გაღმერთებულ სულთა"**.

უკეთესია გაზეთის მკითხველს შემოკლებით გავაცნო თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები ყვავილ-ბატონების თაობაზე საქართველოში: **"გადამდები სენი, როგორიცაა ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, ხორველა, ყელ-ჭირვება, ყივანა-ხველა, დიდი ბატონები (შავი ჭირი) ქართველებს მიაჩნდათ სულებად. ამ სულებისათვის არ არსებობს უამინდობა და უგზოობა. მათ ჯორზე ამხედრებული შეეძლოთ გადმოელახათ მთები, ზღვები და ოკეანეები"**.

როგორც კი გაჩნდებოდა ბატონები, ავადმყოფს კისერზე დაჰკიდებდნენ გახვრეტილ ქვას. ეს იყო ნიშანი მორჩილებისა **"ბატონების"** მიმართ. შემდეგ კი ქვას საწოლქვეშ დებდნენ. ოჯახში ცეცხლს არ ანთებდნენ, ოთახს ლამაზად რთავდნენ, საჭმელს არ ხარშავდნენ.

მეზობლები ერთმანეთს პატივს სცემდნენ, რადგან ყველა ელოდა **"ბატონების"** სტუმრობას. ჩუქნიდნენ წიწილებს, ციკნებს და სხვა ფრინველებს, რომლებსაც ფეხებსა და ნისკარტებს წითლად უღებავდნენ.

მეგრელთა წარმოდგენით **"ბატონები"** ჯორზე შემსხდარნი დადიან. ქალები თეთრ ჯორებზე, თეთრად გამოწყობილები, კაცები – შავ ჯორებზე, შავად გამოწყობილები. ვიდრე ეპიდემია მძვინვარებდა, მეზობლები ერთმანეთთან არ დადიოდნენ, ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა.

არ შეიძლებოდა არც ერთი წესის დაცვა მიცვალებულის დასაფლავების დროს, არც ტირილი შეიძლებოდა და არც შავების ჩაცმა. ოჯახი მწუხარებას არ იმჩნევდა.

ოთახის კარი, სადაც ავადმყოფი იწვა, ყოველთვის ღია უნდა ყოფილიყო. არ შეიძლებოდა ღორის ხორცის ჭამა, დაბანა, გარეცხვა, თამბაქოს მოწევა, ნავთიანი კოჭობის დანთება, წერა, სურათების ყურება, თოფის სროლა, მეზობლისათვის რაიმე ნივთის თხოვება. **"ბატონებს"** ეჯავრებოდათ აბრეშუმის ჭია, უწმაწური სიტყვებით ლაპარაკი, არ შეიძლებოდა ძაღლის გაგდება. თუ ძვირფასი ქსოვილი გააჩნდა ოჯახს, აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოფენილი, ყველგან უნდა მიმოებნიათ ყვავილები. აკეთებდნენ დეზინფენქციას იისა და ვარდის ფოთლების ნაყენით. იჩოქებოდნენ სამხრეთით სახემიქცეულები, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ბატონები მაჰმადის სარწმუნოებისანი არიან, ამიტომ პირჯვარის გამოსახვაც აკრძალული იყო.

უფრო ხშირად ყვავილის ეპიდემია საქართველოში შემოდიოდა სამხრეთიდან – ოსმალეთიდან, ოსმალო მეზღვაურებისგან...

ყვავილებით დაავადებულის მოვლაში მთავარი როლი აკისრია მოსამსახურეს. ის შუამავალია ავადმყოფსა და ბატონებს შორის. მსახური ზრუნავს არა მხოლოდ ავადმყოფზე, არამედ ბატონების ჯორებზეც. სახლის ერთ კუთხეში ჩამოკიდებული იყო თოკი, იქვე დაყრილი იყო ჩალა.

მსახური იღებდა მეზობლებისაგან ბატონებისათვის მირთმეულ მოსაკითხს. თუ ვინმე შეეკითხებოდა ავადმყოფის მდგომარეობას, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა თვალის და კისრის ხსენება, იტყოდნენ: როგორ აქვს **"სარკე"**, **"შუშა"**. ზოგიერთი მეზობელი მსახურს ეხმარებოდა და ერთად ათევდნენ ღამეს, უკრავდნენ ჩონგურზე, ამბობდნენ ლამაზ ზღაპრებს.

მსახური უნდა ყოფილიყო მჭერმეტყველი, ენაზე თაფლი უნდა ჰქონოდა დასხმული, უნდა სცოდნოდა ალერსიანი სიტყვები, ჰქონოდა არტისტული ნიჭი და ყოფილიყო მომთმენი.

მე მახსოვს, თუ როგორ დავყავდით ბავშვები, რამოდენიმე კილომეტრის სიშორეზე, აცრის ჩასატარებლად. დღე უნდა ყოფილიყო მზიანი, რომ აცრილი ადგილი მალე გამშრალიყო. გვისივდებოდა და გვიჩირქდებოდა მკლავი, რომელზედაც მორჩენის შემდეგ რჩებოდა აცრის კვალი. ხნიერ ადამიანებს დღესაც ამჩნევიათ ეს კვალი.

ავადმყოფის კულტი, **"ბატონების"** თაყვანისცემა შეცვალა თანამედროვე წამლებმა, მაგრამ სამეგრელოსა და აფხაზეთში ჯერ კიდევ ნაწილობრივ მისდევენ ძველ მეთოდს. ხვეწნითა და თაყვანისცემით მკურნალობენ ბატონებს. სოფელში ძველებურად დადიან ყვავილმოსტუმრებული ადამიანები ყვავილ-ბატონების შუამავლად. ავადმყოფის ოჯახში ძველებურად იცავენ ამ წესებს: მაგალითად, გარდაცვლილი ახლო მეგობრის ან მეზობლის ტირილში არ მიდიან, მეუღლესთან ინტიმურ კავშირებს ერიდებიან, ღვინოს არ სვამენ, ღორს არ კლავენ, ავადმყოფს უსრულებენ ყველაფერს, რასაც მოითხოვს.

აფხაზეთისა და სამეგრელოს ბევრ სოფელში ვიარე, ბევრ ყვავილმოსტუმრებულს შევხვდი, მინდოდა ჩამეწერა მაგიური სიტყვები, რომელსაც მღეროდნენ ჩონგურზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერავინ ვერ გაიხსენა. ისევ და ისევ დამეხმარა ჩემი მეგობარი, სამწუხაროდ, უსინათლო ვაჟა ჯანჯღავა, რომელიც მეგრული ენის დიდი თაყვანისმცემელი და ტრადიციების მკვლევარია. მან ჩამაწერინა ლექსი **"ოდუდური"**, რომელსაც უმღეროდნენ ყვავილ-ბატონებს. ხოლო მისი გაგრძელება წითელა-ბატონებზე ვახტანგ ყურაშვილის მეუღლის – ქალბატონ ზოიას ჩანაწერებიდან გადმოვიღე.

**მირიან ჯალაღონია**
**ომისა და შრომის ვეტერანი,**
**დევნილი აფხაზეთიდან**

# ნამდვილი სიდიადე გულითადია...



კეთილ ქმედებას, იგივე ქველმოქმედებას უხსოვარი დროიდან აქვს ფესვი გადგმული. ქრისტიანული მოძღვრება უპირველესად ამაზეა აგებული. და რასაც ჩვენ მშვენიერსა და წმინდას ვუწოდებთ, უწინარესად, ადამიანურობიდან გამომდინარეობს. მთელი ეს ფერუხვი სამყარო ლივლივით აირეკლავს ადამიანური კეთილშობილების ურიცხვ მაგალითებს, სამწუხაროდ გულქვაობასა და სისასტიკესთან ერთად.

მეცნიერება, პოეზია, შემეცნება, ყოველთვის იყო ზრუნვის საგანი. უმძიმეს ჟამსაც კი ქართველი კაცი ირჯებოდა სულიერების ამაღლებისა და მისი განვითარებისთვის. ასეთი იყო ჩვენი წარსული. ახლა, თავი რომ გავიმართლოთ პოლიტიკური დაძაბულობითა და სიდუხჭირით, მართალი არ ვიქნებით. კეთილშობილებისა და სიქველის გამოჩენა ნებისმიერი ფორმითაა შესაძლებელი.

ამის მაგალითები საქართველოში გვაქვს, თუნდაც მძიმე ავადმყოფთა მიმართ, მსახიობთა, თეატრალთა, მედიკოსთა მიერ ერთსულოვნების გამოვლენა და კოლეგებისადმი უანგარო დახმარება.

მაგრამ არის კულტურული ძეგლები, რომელთა მიმართ ხელისუფლება ვერ იჩენს სათანადო ყურადღებას, რის გამოც ინგრევა, დავიწყების მტვერი ედება მათ. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც არ ეპუებიან სიდუხჭირეს, აცოცხლებენ წარსულსა და აწმყოს შორის ყავლგასულად გაწოლილი წლებს.

წარსულზე, როგორც ილია ბრძანებდა, დამყნობილია აწმყო. წარსული ისტორიაა, იგივე ფესვია, ურომლისოდაც მკვდარია მომავალი.

ნათქვამია – **„სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი, ზოგჯერ ის გვირგვინიაო“**, თუმცა, ამ გვირგვინს დავიწყების მტვერი, რომ არ დაედოს, ამისთვის უბრალოდ, ადამიანურობის გამოჩენაა საჭირო.

ამჯერად მინდა მოგითხროთ ფაქტზე, რომელიც ორი შესანიშნავი პოეტისა და მოღვაწის, თითქმის მივიწყებული გიორგი ჭალადიდელის ძეგლისა და შალვა დადიანის მამის, დიდი ნიკო დადიანის საფლავის მოვლას ეხება.

გიორგი ჭალადიდელს შთამომავლობა არ დარჩენია, 22 წლის ასაკში მისი, ლექსი **„დედის დარიგება“** იაკობ, გოგებაშვილმა **„დედა ენაში“** შეიტანა და ორი საუკუნე არ მოსცილებია სასკოლო პროგრამას. უფროსმა თაობამ ზეპირად ვიცით მისი შესანიშნავი ბწკარები.

**„იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა, კარგია შვილო სწავლის შეძენა,**

**მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო, არ დაივიწყო სამშობლო ენა.“**

ნააზრევს შესანიშნავად გადმოსცემს პოეტი. მას ეკუთვნის ასევე ლექსები: **„ფაცხა“, „ჩემი ანა“, „ციცინათელა“** საყოველთაოდ გავრცელებული იყო **„ქალაქელი ბიჭი ვარ“**, როგორც იონა მეუნარგია იხსენებს თბილისის სემინარიაში არავინ იყო მოსწავლე ეს ლექსი, რომ არ იცოდა. და უამრავი სხვა.

პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი წერს **„გ. ჭალადიდელის დებიუტი ისეთი წარმატებით ჩატარდა, მასში ხედავდნენ ი.ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ღირსეულ მემკვიდრეს“**, თუმცა ბედისწერამ იგი საქართველოდან შორს გადახვეწა და მისმა ტალანტმა ფრთები ჯეროვნად ვერ გაშალა. მიუხედავად ამისა, პოეტის შემოქმედება ამშვენებს გამოცემულ ყველა ქართულ პოეზიის კრებულსა და ანთოლოგიას.

ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ, მწერალმა ბორის დავითაიამ იტვირთა პოეტის საფლავის მოვლა. 1989 წელს, ჭალადიდელის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საკუთარი ხარჯებით გამოსცა ლექსების კრებული. **„რჩეული“**. რაიონის ხელისუფლების მხარდაჭერით ფართო მასშტაბით აღინიშნა იუბილე. არაერთ გაზეთში გამოაქვეყნა პოეტის ბიოგრაფია და ლექსები.

**„რჩეულზე“** მუშაობისას აღმოაჩინა, რომ ჭალადიდელის პოემა **„ალავერდის“** მე-8 თავი იწყებოდა სტროფებით, რომელიც შემდეგ გამოყენა ლადო ასათიანმა თავის. **„სალაღობოში“**... თუმცა ოდნავ შეცვლილი ვარიანტით. პოეტური პატიოსნებით ფრჩხილებში მოაქცია კუპლეტი და რომ ყველას ეგონა ხალხური იყო, სინამდვილეში ეკუთვნოდა ჭალადიდელს. ამ აღმოჩენაზე ბ. დავითაია წერდა ჟურნალ **„ცისკარში“**.

წარმოგიდგენთ ამ სტროფებს ჭალადიდელის მიხედვით:

**“ასეთია კაცის გული, ვით მორევი შავი ზღვისა,**

**რაც რომ კარგი ქალი ყავდეს, მაინც მოსწონს კიდევ სხვისა,**

**თუნდაც იყოს კაცი ბრძენი, ხშირად გულსა ვერ იმაგრებს,**

**და სიკვდილის დროსაც ქალებს გადაავლებს ჩუმად თვალებს“**

ბ. დავითაია ხშირად წმენდს ბიუსტს, ასუფთავებს შემოგარენს, მისი ინიციატივით იკრიბებიან ახალგაზრდები ჭალადიდელის ძეგლთან, იგონებენ სახელოვან წინაპარს, კითხულობენ საკუთარ ლექსებს...

როცა ძეგლს სველი ჩვრით წმენდს, მგონია, რომ სურს მისი გაცოცხლება, ეხმიანება პოეტის სულს, რომელიც ზეცაში დაფარფატებს და თითქოს აუწყებს, რომ ის არ არის მივიწყებული, იგი ჩვენს შორის ცოცხლობს და უკვდავია...

რასაც აკეთებ, თუ გულიდან მოდის, მუდამ გამოგდის. ბორის დავითაია უკვე ათეული წლებია უხმაუროდ, უანგაროდ, ყოველგვარი ტაშისა და შექების გარეშე გულმხურვალედ ირჯება.

ნამდვილი სიდიადე ლაღია, თვინიერია, გულითადი...

რა უნდა გვახსოვდეს მუდამ? ლოცვა, წინაპრები, დიდსულოვნება და ქველობის გამოჩენა.

სიყვარულის მთავარი იარაღი ორი რამ გახლავთ, სიტყვა **„მაპატიე”** და **„გმადლობთ“**. რასაც ბ. დავითაია იქმს, არის მადლობის გამოხატვა იმ ღვაწლისადმი, რასაც წინაპრებმა საკუთარი სულიერი სიმშვენიერითა და შემოქმედებითი აქტიურობით გვაზიარეს.

ბორის დავითაია ასევე უვლის სახელოვანი მწერლის, ბოჰემური სულის წინაპრისა და დრამატურგის შალვა დადიანის მამის, საზოგადო მოღვაწისა და ნიჭიერი პოეტის, დიდი ნიკო დადიანის საფლავს, მდებარეს სოფელ ბერთემში.

ნიკო დადიანი იყო ილია ჭავჭავაძის თანამედროვე და მისი იდეების მოზიარე. არ დარჩენილა არცერთი საზოგადო მოღვაწე ნიკოს პასკვილი რომ არ მიეძღვნას. როცა დადგა საკითხი **“ვეფხისტყაოსნის”** ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნაზე, მასში ნიკო დადიანი შეიყვანეს, როგორც ქართული გრამატიკის უბადლო მცოდნე. როცა მოუცლელობის გამო თბილისში კომისიის სხდომებზე დასწრებას ვერ ახერხებდა, წერილობით სახლში უგზავნიდნენ შეკითხვებს და მის პასუხს ანგარიშს უწევდნენ. როცა თბილისში სათავადაზნაურო ბანკის მმართველად ილ. ჭავჭავაძე დაინიშნა, ქუთაისის ბანკის მმართველად ნიკო დადიანი განამწესეს. მის გარეშე არ ტარდებოდა არცერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება სამეგრელოში.

იგი იყო აქტიური მონაწილე სამეგრელოში-(ძველი სენაკი) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სკოლის დაარსებისა, ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობისა და უამრავი სხვა ღონისძიებისა.

ქუთაისში, ფოთში, სენაკში, ზუგდიდში მოსწავლე-ახალგაზრდობას უკითხავდა ლექციებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ნიკოს ეკუთვნის სიტყვები:

***„მნახეთ, მიცანით მე ვარ პოეტი, და არა უბრალო მიეთ-მოეთი“...***

ბორის დავითაია თვლის, რომ სახელოვანი წინაპრების ამაგი იმსახურებს დაფასებას, მათი საფლავები მოვლა-პატრონობას. ამიტომ ხშირად ასუფთავებს, ღებავს, ცდილობს მათ უკვდავსაყოფად გაიმართოს საღამოები, გამოქვეყნდეს პრესაში წერილები.

მამა გაბრიელს აქვს ასეთი რჩევა **„როცა კეთილ საქმეს აკეთებ, ერთი საფეხურით ადიხარ, როდესაც სცოდავ, ჩამოდიხარ, ასეთი სვლაა მთელი ცხოვრება“.** მოდით, ვეცადოთ, ერთი საფეხურით მუდამ მაღლა ავიდეთ, რადგან ასეთ დროს ადამიანის სული ჰმადლობს უფალს გაჩენისათვის, ვიდრე რაიმეს ითხოვს.

**ნინო ფრანგიშვილი,**
**სკოლა „პელაგონის“ ლიტერატურის მასწავლებელი**

# გარდაიცვალა ქალბატონი ნუცა ჭაჭია



ქალბატონი ნუცა ჭაჭიას 98 წლის იუბილე ახლახან აღნიშნა გაზეთმა **“ილორმა”.** გვიხაროდა, რადგან ველოდით, რომ კიდევ ერთი საუკუნოვანი ქალბატონი ეყოლებოდა საქართველოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი – ქალბატონი ნუცა გარდაიცვალა...

არა და, ნამდვილად იმსახურებდა ეს დიდებული ბანოვანი ასწლიან სიცოცხლეს, რადგან მას სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია ადამიანებისათვის და იმის ცოცხალი მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა წუთისოფელი, სადაც, სამწუხაროდ, სიკეთესთან ერთად ბოროტებაც ხარობს ხოლმე, მაგრამ იქ, სადაც ნუცა ჭაჭიასნაირი ადამიანები იდგნენ, სიბოროტეს არაფერი ესაქმებოდა...

ქალბატონმა ნუცამ, როგორც ექიმმა, სიცოცხლე გაუხანგრძლივა მრავალ იმედგადაწურულ და ჯანგატეხილ ადამიანს, რაც უკვე თავისთავად დიდი გამარჯვება გახლდათ ბოროტებაზე!

ამ დიდებული სულის მქონე ადამიანს მუდამ უჭირდა დიდი სამამულო ომის მძიმე დღეების გახსენება, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ მომავალ თაობებს მოვუთხროთ იმ ვაჟკაცურ შემართებაზე, რომელიც ამ უტეხი სულის მქონე ბანოვანმა გამოავლინა მაშინ, როცა მისი ჰოსპიტალი ქერჩის საბედისწერო ბრძოლებში მონაწილეობდა. როცა იქ მდგომარეობა დამძიმდა, საბჭოთა მთავარსარდლობამ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმად აქაური ფრონტი უნდა დაეტოვებინათ ჰოსპიტალების ექიმ ქალებს და ისინი უსაფრთხო ადგილზე უნდა გადაეყვანათ. წინა ხაზზე უნდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ ის ქალები, რომლებიც წერილობით თხოვნას დაწერდნენ ამის თაობაზე. მიუხედავად სიკვდილის რეალური საფრთხისა, ქალბატონ ნუცას მაშინ წამითაც არ მიგიტოვებია თანამებრძოლები, ჭურვებისა და ტყვიების წვიმაში დარჩა მათ გვერდით, რისკის ფასად გადაარჩინა უამრავი სიცოცხლე, მაგრამ, სამწუხაროდ, მეომართა უმეტესობას უკან დაბრუნება აღარ ეწერა. მაშინ, საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად, ბევრი ქალბატონი ექიმი, მედდა-სანიტარი თუ სხვა ქვედანაყოფთა სამხედრო მოსამსახურე ქალიც შეეწირა ქერჩის საშინელ სასაკლაოდ ქცეულ ფრონტს!

ნათელში იყოს მათი სულები!

გარდა იმისა, რომ ქალბატონი ნუცა გახლდათ დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ასევე გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი და ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელიც მიუხედავად ამგვარი სიჭარმაგისა, ეწეოდა აქტიურ ცხოვრებას, დაინტერესებული იყო პოლიტიკით, ეკონომიკით, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებით, რომელსაც სისტემატურად ეცნობოდა მასმედიის საშუალებებით. მაგრამ ყველაზე მეტად გვახარებდა ის, რომ ქალბატონი ნუცა გახლდათ გაზეთ **“ილორის”** აქტიური მკითხველი.

წლები ყოველთვის კი არ ამძიმებს ადამიანს, იგი ზოგჯერ მის სულსა და გონებასაც აწრთობს, მდგრადობას და ენერგიას სძენს, და სულგანათლებული ქალბატონი ნუცაც სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნოდა.

მან, ოჩამჩირეში დაბადებულმა პირმშვენიერმა ასულმა, თბილისში დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და პირველი გამოშვების ექიმი გახდა, რის შემდეგაც თავდაუზოგავად იდგა ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ქალბატონი ნუცა ჭაჭია იყო ქართული პათოლოგოანატომიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, იმ სკოლისა, რომელმაც არაერთი ღირსეული ადამიანი და პროფესიონალი აღუზარდა სამშობლოს. ათეული წლების განმავლობაში იგი ერთდროულად ხელმძღვანელობდა პათოლოგოანატომიურ განყოფილებებს როგორც თბილისის მე-9 კლინიკურ საავადმყოფოში, ასევე **“არამიანცის”** საავადმყოფოდ წოდებულ ქალაქის პირველ კლინიკაში, რაც თავისთავად მეტყველებდა ქალბატონის უშრეტ ენერგიაზე, საქმისადმი თავდადებასა და უანგარო მეცნიერულ ღვწაზე.

ყველაზე დიდად საწუხარი კი ის გახლავთ, რომ ასეთი შრომისმოყვარე და სულმაღალი ადამიანები მხოლოდ ოჯახს კი არა, სამშობლოს უკვდებიან, იმ სამშობლოს, რომელსაც დღეს კვალიფიციური და საქმისადმი ფანატიკურად ერთგული სპეციალისტების დიდი დეფიციტი აქვს!

ქალბატონი ნუცა ჭაჭიას ოჯახის სალოცავ კუთხეში ხატებთან ერთად, აკიაფებული კელაპტრის მიღმა, ასვენია მისი მეუღლის, იმქვეყნიურ საქართველოში გადასული შესანიშნავი აფხაზი ვაჟკაცის, აფხაზ დიდებულთა ღირსეული შთამომავლის, ერთ-ერთი **“უკანასკნელი მოჰიკანის”** ვალერიან მარღანიას სურათი, რომლის სულსაც მუდამ ამწყალობებდა ღრმად მორწმუნე ქალბატონი ნუცა. იმის იმედით წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სასუფეველში შეერთდებიან მათი დიდებული სულები...

ალბათ ასეც იქნება!

არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ ამ ზნეკეთილმა ადამიანმა სწორედ აღდგომის ამაღლებული დღესასწაულის დღეებში მიაბარა სული უფალს!

ღმერთსაც ხომ მხოლოდ კარგი ემეტება თავისთვის!

გზანათელი ჰქონოდეს, ზეციურ სამყაროში, ჯაფისაგან დამღნარ ადამიანს!

**გაზეთ “ილორის” რედაქცია**

# არნო ხიდირბეგიშვილი: "ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება – ვინ არის სააკაშვილის მთავარი საყრდენი საქართველოში, ანუ რატომ გადაიყვანეს ალასანია საგარეო საქმეთა მინისტრად" – საქინფორმის ორი პროგნოზი, რომლებიც ორი დღის განმავლობაში გამართლდა



რამდენიმე დღის წინ, პუბლიკაციაში **"შეშლილის ჩანაწერები, ანუ მიშკა სააკაშვილის ვაი-ბანკი"**, მე შევახსენე მკითხველს, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში საქინფორმი – ყოველდღიურ ახალ ამბებში, პუბლიკაციებში და თავისი მთავარი რედაქტორის ტელეგამოსვლებში – აფრთხილებდა, რომ სააკაშვილი და **"ნაცმოძრაობა"** საქართველოში სისხლიან რევანშს – **"ევრომაიდან 2"**-ს ამზადებენ, რაც 2014 წლის 7 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსადრე ჭიკაიძემ დაადასტურა.

ზემოხსენებული პუბლიკაციის ბოლო წინადადებაში მე ასევე ვაფრთხილებდი: **"საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში სააკაშვილს მოქმედი ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოღალატე დაეხმარება, რომლებიც უკვე მართავენ მასთან საიდუმლო კონსულტაციებს..."**

და აი, 2014 წლის 8 აპრილს, ეს, მეორე პროგნოზიც დადასტურდა: საღამოს, სააკაშვილის ტელეკომპანია **"რუსთავი 2"**-ის ეთერში, პოლიტიკურ თოქშოუში **"არჩევანი"** გიორგი გაბუნიასთან ერთად, ამ პროსააკაშვილური ძალების სრული ლუსტრაცია, ანუ საჯარო პრეზენტაცია მოხდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, რომელსაც ერთხმად უკრავდნენ კვერს დაკვეთილი ტელეგადაცემის დანარჩენი მონაწილეები – საქართველოს უშიშროების საბჭოს ექსმდივანი გიგა ბოკერია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია **"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს"** თავმჯდომარე ეკა გიგაური, საქართველოს პარლამენტის წევრი და თავმჯდომარის მეუღლე თინა ხიდაშელი და სხვა ცნობილი სახეები – განაცხადა:

***– რომ საქართველოს საფრთხე ემუქრება, მაგრამ არა სააკაშვილის, მისი "ნაცების" და უკრაინიდან მომხდურებისაგან (რის შესახებაც აფრთხილებს შს მინისტრი ჭიკაიძე), არამედ რუსეთისგან – "საქართველოში ბოლო დროს უჩვეულოდ გააქტიურებული "მეხუთე კოლონის" სახით";***

***– რომ დღეს ყველა, პარტიული კუთვნილების და შეხედულებების მიუხედავად, "უნდა გაერთიანდეს მთავარ საფრთხესთან – საქართველოს მთავარ მტერთან და ოკუპანტთან – რუსეთთან საბრძოლველად"*** *(სიტყვასიტყვით გაიმეორეს სააკაშვილის 2008 წლის აგვისტოს დროინდელი ლოზუნგი);*

***– რომ საქართველოში "მეხუთე კოლონა" არ გავა და "ყველა, ვინც მას თავისი განცხადებებით აქეზებს (ანუ შს მინისტრი ჭიკაიძე, რომელიც "ნაციონალებმა" ჰაკიმ ფაშას ხელის ბიჭად მონათლეს, თავად პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც ისინი ჰაკიმ ფაშას ეძახიან, და მთლიანად მთავრობა), რუსეთის აგენტები არიან და თავიანთ მომავალზე უნდა დაფიქრდნენ".***

თოქშოუს დროს 4-ჯერ საგანგებოდ გაესვა ხაზი, რომ დღეს საქართველოში ყველაზე მაღალი რეიტინგი ალასანიას და თავდაცვის სამინისტროს აქვთ, მათ შსს-ს და მინისტრ ჭიკაიძის რეიტინგს გაუსწრეს, რომელსაც გადაცემის მონაწილეებმა დასცინეს, კომიკოსი უწოდეს და ურჩიეს: **"ბანკების ძარცვის გამოძიებით დაკავდეს და სხვის საქმეებში ცხვირი არ ჩაყოს".**

ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

**1. საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მზადდება, რის შესახებაც აბსოლუტურად პატიოსნად და გაბედულად განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჭიკაიძემ;**

**2. შეთქმულებაში, სააკაშვილის დივერსიულ-მოიერიშე ბრიგადების გარდა ("ნაცმოძრაობის" ახალგაზრდული ფრთა, არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფალი ზონა", უკრაინელი ბოევიკები), მონაწილეობს მოქმედი ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი;**

**3. იმ პირობებში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოში მთელ თავის ქონებას ყიდის ("ქართუ ბანკს", აუზს "ლაგუნა-ვერეს" და ბევრ სხვა ობიექტს), როგორც ჩანს, კვლავ ემიგრაციაში წასვლის მიზნით, მინისტრი ალასანია, პრეზიდენტი მარგველაშვილი და სპიკერი უსუფაშვილი დაეხმარებიან სააკაშვილს ღარიბაშვილის მთავრობის დამხობასა და ძალაუფლების აღებაში, და ამით დასავლეთის აპლოდისმენტების ქვეშ საკუთარ პოლიტიკურ მომავალს უზრუნველყოფენ.**

და ბოლოს – ახალი პროგნოზი: დღევანდელი ხელისუფლების ლიდერები – პრემიერი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კალაძე, შს მინისტრი ჭიკაიძე და თბილისის მომავალი მერი ნარმანია – არ შეიძლება ამ საფრთხეს ვერ ხედავდნენ, ამიტომ უახლოეს ხანებში ისინი ეცდებიან დასწრებაზე ითამაშონ: მინისტრი ალასანია, როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროსგან იზოლირებული იქნება (მაგალითად, თავისი ცოლისდის – მაია ფანჯიკიძის ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანენ), რათა საგანგებო სიტუაციაში უმაღლესი მთავარსარდლის – პრეზიდენტ მარგველაშვილის ბრძანება არ შეასრულოს და ჯარი მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ არ გამოიყვანოს.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

# მტერი შინ, პარლამენტში გვიზის!

*ევროატლანტიკური პოლიტიკის მჭედლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ თაყვანისცემას პედერასტების, სექსუალური მანიაკების, ერთსქესიანთა ქორწინების და ამ ბინძური სიმახინჯის ტყვეთა აღლუმების მოწყობის ძალისმიერ მხარდაჭერას მომავალი თაობები ისევე მიაკრავენ სირცხვილის და წყევლა-კრულვის იარლიყს, როგორც ინკვიზიციას და ინდულგენციებით ვაჭრობას...*

*...დავით ბაქრაძეს მეურმის მამალივით უადგილოდ რომ აყივლებენ, რატომ პასუხს არ სთხოვენ პარლამენტის შენობის აოხრების გამო?! .*

*...ხალხი დაიღალა ტელევიზორის ეკრანიდან ნაციონალთა უტიფარი ღავღავით. მათი ასეთი გათავხედება ხელისუფლების დამთმობი პოლიტიკის შედეგია...*

**გერმანელმა ფაშისტებმა კაცობრიობის ყველაზე ღირსეული ადამიანების ნაწარმოებები კოცონზე დაწვეს. ნაცისტური შხამით მოწამლულ გერმანელთა ერთი ნაწილი „ჰაილ ჰიტლერის" ღრიალით ხვდებოდა ამ ვანდალიზმს, მეორე ნაწილი კი შიშით კრიჭაშეკრული ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. შედეგად გერმანიამ ისეთი საშინელი რბევა, ნგრევა, ხანძარი და განადგურება იწვნია, რომ მსგავსს ყველაზე საზარელ, კოშმარულ სიზმარშიც ვერ ნახავდა.**

ქართველმა **„ნაციონალებმა"** ერის საამაყო მეცნიერები განათლების უწმინდეს ტაძარში, დედაუნივერსიტეტის აუდიტორიაში გამოკეტეს, მერე იქიდან კინწისკვრით გამოყარეს და ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლეს. ქართველმა ხალხმა კი ეს თავხედობა მოითმინა. შედეგად მოისპო მეცნიერება და დამახინჯდა განათლება, რომელსაც მოჰყვა ქვეყნის დამაქცევართა უამრავი ბოროტება. ასეთი საშინელი განსაცდელის ჟამს საკუთარ თავს თვითონვე უნდა უშველო – **უცხოეთში არავის სჭირდება განათლებული და ბედნიერი ცხოვრებით გაამაყებული, რადგან უვიცი და ბეჩავი ადვილად დასამორჩილებელი და სამართავია. სწორედ ამგვარ დავალებას ასრულებდა ხელისუფლებაში გამძვრალი „ნაციონალების" ბანდა, რაც საქართველოს დაქუცმაცებით, დაკნინებითა და გადაგვარებით დაგვირგვინდებოდა, ხელი რომ არ შეგვშლოდათ...** მაგრამ ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ არის.

**ქართველ ხალხს ეგონა, რომ „ნაციონალური" ჭირისგან განიკურნა, მაგრამ რაღაც უცნაური ხდება – „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა ღავღავს უმატეს და, თუ ხელისუფლებამ სადმე წაიფორხილა, ზეიმის წუთები უდგათ. განა აშკარა არ არის, რომ მტერი სახლში, ბუხართან გვიზის და ცეცხლის ჩაქრობას ლამობს?!**

**საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას „ნაციონალებმა" თვალთმაქცობის მთელი არსენალი შეალიეს და მაინც გაძვრნენ პარლამენტში. ახლა სხედან საკანონმდებლო ორგანოში და სათავიდან ამუხრუჭებენ საქართველოს აღორძინების მცდელობას.**

ზოგი რაღაც სისულელეს იგონებს პარლამენტის თბილისში დასაბრუნებლად,– ნაციონალების მიერ მიღებული კანონის გამო მისი გადმოტანა ვერ ხერხდებაო. **თუ ასე მიჰყვებიან ნაციონალების მიერ მიღებულ კანონებს, მაშინ რაღაზე იბრძვის ქვეყანა სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ დანთხეული შხამის გასანეიტრალებლად?** განა საქართველოს დაკნინების, დაშლისა და დაქუცმაცების კანონების გაუქმება პრობლემად უნდა იქცეს ნაციონალთა დღევანდელი ავყიობის პირობებში?! პარლამენტის თბილისში დაბრუნება ხომ საქართველოს დაშლის მცდელობის ერთ-ერთი ეპიზოდის აღკვეთაა?!

**დავით ბაქრაძეს მეურმის მამალივით უადგილოდ რომ აყივლებენ, რატომ პასუხს არ სთხოვენ პარლამენტის შენობის აოხრების გამო?!** ხალხი დაიღალა ტელევიზორის ეკრანიდან ნაციონალთა უტიფარი ღავღავით. მათი ასეთი გათავხედება ხელისუფლების დამთმობი პოლიტიკის შედეგია. ამიტომ **ქართველი ხალხი, რომელმაც დაძაბული ბრძოლით აღკვეთა „ნაციონალთა" ძალადობა, ახლა მოითხოვს, დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რათა ბოლო მოეღოს „ნაციონალთა" თავხედობას.**

უკრაინის ამბებმა ხომ ფრთები შეასხა **„ნაციონალებს"**. დასავლეთმა დაივიწყა ტალიავინის დასკვნა და სააკაშვილმაც უმატა ნაცრის ქექვით სინამდვილის დაფარვას. გაჰყვირიან, – ომი საქართველოს არ დაუწყიაო და ამით თავიანთ მუხთლობას საქართველოს სახელით ნიღბავენ. **აგვისტოს ომი საქართველოს არ დაუწყია. აგვისტოს ომი დაიწყო ავანტიურისტმა სააკაშვილმა და მან ამ დანაშაულისათვის პასუხი უნდა აგოს.**

ეს ამერიკულად შეფუთული ადამის მოდგმის სირცხვილი ახლა კიევიდან აფრქვევს ცრუპენტელობის, თავხედობისა და სიძულვილის დორბლს. **სვავმა ამერიკაში იგრძნო მძორის სუნი და ჩამოფრინდა,– საქართველოში სიმყრალისგან განწმენდის პროცესს ჩემი ბინძური ამქვეყნიურობა არ შეეწიროსო. არადა, შეეძლო ერის საამაყო მამულიშვილის სახელით შემკობილიყო, მაგრამ ეროვნული გმირის ეკლიან და მოწამებრივ გზას, კუჭამოყორილი ქოსმენის განცხრომით ღრუტუნი არჩია. ერის სიყვარული, სამშობლოსთვის თავდადება, პატიოსნება, ზნეობრივი სიწმინდე ქვეყნისა და ერის სიძულვილზე, ღალატზე, საქართველოს გაყიდვაზე გაცვალა. შედეგად, სახლიდან კეტით გაგდებული მყეფარივით კუდამოძუებული, ჩადენილი ცოდვებისთვის პასუხის მოთხოვნის შიშით წკავწკავებს და დაკითხვაზე მისვლას ვერ ბედავს; ტყავის გადასარჩენად კი თავის მფარველებს გაათკეცებული ენერგიით ულოკავს სველ ადგილებს.** მათაც უჭირთ „თავიანთი ძაღლიშვილის" უნიღბოდ წარმოჩენა, თუმცა მისმა ჩადენილმა საზარელმა საქმეებმა უკვე დაიწყო ნიღბიდან გამოჟონვა.

**„ნაციონალებმა" მოახერხეს ტერიტორიების დაკარგვა. რაც დარჩა, გაყიდეს და გაანიავეს. ენის, მამულის, სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლას ხომ კაბინეტებში ჩამოკიდებული ილია მართლის სურათის ფონზე აწარმოებდნენ. მართლმადიდებელ სარწმუნოებას უამრავი სექტა და ერის სალოცავების მაგინებელი დაასიეს, ჩქარობდნენ, მაგრამ დრო აღარ ეყოთ...**

დღეს ქართველი ხალხი მტკივნეულად განიცდის იმ საშინელი პარაზიტული დაავადების სიმწარეს, რომელსაც **„ნაციონალური მოძრაობა"** ჰქვია.

საიდან მოვიდა ეს პარაზიტი? დააკვირდით დემოკრატიის ნიღბაფარებულ ევროატლანტიკური სივრცის წარმომადგენელთა ღავღავს და დასკვნას თვითონ გამოიტანთ.

რატომ დაიწყვიტა ევროკავშირმა ნერვები, – უკრაინამ თავი რატომ შეიკავა ჩვენთან შემოსვლაზეო? არადა, უკრაინამ თავისი ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის რეალური გზა აირჩია; ამით აღშფოთებულმა ევროკავშირმა კი მაიდანი მოუწყო და შეიარაღებულმა ბანდერელებმა **„მოლოტოვის კოქტეილებით"** გოჭებივით შეწვეს ბერკუტელები.

სწორედ შეიარაღებულმა ბანდერელებმა, დასავლეთის წაქეზებითა და ხელის შეწყობით, რუსეთის აუგად მოხსენიების ფონზე, უქციეს ჯოჯოხეთად უკრაინელ ხალხს ბედნიერი ცხოვრების იმედი.

როგორ ჰგავს უკრაინაში ბანდერელი ნეოფაშისტებისა და ტერორისტების **„გაჯეჯილება"** გერმანელ ფაშისტთა აღვირახსნილობისთვის ხელის შეწყობას საბჭოთა კავშირზე მიქსევის სურვილით?! მოხდა კი პირიქით – სხვის დასაგლეჯად დაგეშილი ქოფაკის მიერ ტყავდაფხრეწილებს მხსნელად მოევლინა საბჭოთა კავშირი, რომელმაც კაცობრიობის ამ საშინელი ჭირის მოსასპობად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. **საქართველოში კი „ნაციონალი" ვანდალები ცოფმორეულები ანგრევდნენ სამამულო ომის გმირთა უწმინდეს ობელისკებს.**

**უკრაინელი ნაცისტები ჯერ ძეგლებსა და საბჭოთა სიმბოლოებს დაეტაკნენ, შემდეგ ძალის მოზღვავება იგრძნეს და რუსული ენის სტატუსი დაამცრეს. ისე კი, როგორ ჰგვანან რუსული სიმღერების ამკრძალავ და საბჭოთა სიმბოლოებთან მებრძოლ ქართველ ნაცისტებს!** დაავიწყდათ, რომ უკრაინის მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსულენოვანია. ეს უმადურობა დაუსჯელი არ დარჩა და ყირიმი ჩამოსცილდა უკრაინას, რასაც თეთრი შურით უმზერენ დანარჩენი რუსულენოვანი ოლქები.

ელცინის მიერ დაკნინებული რუსეთი დასავლეთის ალყაში აღარ არის, მას პრინციპული, ენერგიული და მაგარი ხელი მართავს. ნურც იმას დაივიწყებენ, მართლმადიდებელი სერბეთი რომ გაწეწეს, დაბომბვის შედეგად ათასობით მშვიდობიანი მოსახლე რომ ამოწყვიტეს და მისი ძირძველი ტერიტორია –კოსოვო – დამოუკიდებლად გამოაცხადეს. რომელ ევროპულ ქვეყანას არ აქვს სადავო ტერიტორია? აღიარონ მათი დამოუკიდებლობა და ისე დაიშლებიან, მათ საზღვრებს ველარავინ შეკრავს. რა, უკრაინაზე გაახსენდათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას დაცვა სჭირდება? მსოფლიო ჯერჯერობით მოთმინებით უყურებს ნატოს ძალადობას, რომელსაც შედეგები აუცილებლად მოჰყვება.

**როგორ შეიძლება ამერიკის პრეზიდენტ ობამას არ შეუქო მართალი და საღი აზრის საჯაროდ გამოთქმა, უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი არ განიხილებაო. ამით საქვეყნოდ გაუფანტა ბოლოქანქარა რასმუსენს საქართველოს ნატოში შესვლის ცრუ დაპირების ნისლის საბურველი.**

მაინც რისთვის არის საჭირო ნატოს გაფართოება? თუ რომელიმე ქვეყნის სერბეთივით გაწეწვა დასჭირდათ, საკმარისზე მეტნი არიან. თუ რუსეთს უღრჭენენ კბილებს, იმდენი კი უნდა ახსოვდეთ, რომ უკბილოდ დარჩენის შანსს გაფართოება ვერ მოუხსნით. **ხვალ და ზეგ ნატოც ისე დაიშლება, როგორც მრავალი ცნობილი აგრესიული სამხედრო ბლოკი. ცივილიზებული ევროპის მომავალ თაობებს კი სამარცხვინოდ შერჩებათ ნატოს სისხლიანი ნაფეხურები...**

ამჟამად **ევროატლანტიკურ ქვეყნებში დემოკრატიის ნიღბით მიმდინარეობს სქესობრივი გაუკუღმართების სიბინძურის ძალადობრივი ექსპორტი, რითაც სვრიან და სახელს უტეხენ დემოკრატიას.**

ევროატლანტიკური პოლიტიკის მჭედლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ესოდენ თაყვანისცემას პედერასტების, სექსუალური მანიაკების, ერთსქესიანთა ქორწინების და ამ ბინძური სიმახინჯის ტყვეთა აღლუმების მოწყობის ძალისმიერ მხარდაჭერას მომავალი თაობები ისევე მიაკრავენ სირცხვილისა და წყევლა-კრულვის იარლიყს, როგორც ინკვიზიციას და ინდულგენციებით ვაჭრობას.

საქართველოს ხელისუფლება კი მაინც ცდილობს სამად დაჩეხილი ქვეყნის ევროკავშირისკენ გათრევას.

**ევროკავშირის სტანდარტებზე გასვლისთვის მომავალ წელს ავტომობილების ტექნიკური შემოწმება უნდა დავიწყოთ, რომელსაც გერმანული ფირმა ჩაატარებს და ხალხს ეს ღონისძიება ასი მილიონი ლარი დაუჯდებაო. ევროკავშირის მხოლოდ ეს ერთი მოთხოვნა რა უბედურებად დაატყდება თავს ისედაც გაჭირვებისგან სულშეხუთულ მოსახლეობას?! ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა, პირველ რიგში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებით უნდა დაიწყოს, თორემ ევროპულ დონეზე ხელისუფლების ნებივრობა სულაც არ ნიშნავს შიმშილის ზღვარზე მყოფი, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ერის აყვავებას.**

ეს შოშია-მინისტრები ხომ საზიდრიდან აწყვეტილი ცხენებივით მიჭენაობენ ევროკავშირის მწვანე ბალახის მოსაძოვად, ვიდრე იქიდან კათოლიკობამიღებული სულხან-საბა ორბელიანივით არ გამოაპანღურებენ.

ამჟამად ძალიან მძიმე პირობებში ვართ – გაჭირვება, თაღლითობა, მუხთლობა, ღალატი, მომხვეჭელთა მიერ ხალხის ძარცვა, გაუმაძღრობა და ათასი უბედურება მკბენარივით დაგვსევია და წელში გამართვის საშუალებას არ გვაძლევს. ქართველი ხალხის ოცნება – ერთიან და გამთლიანებულ საქართველოში სიყვარულით ძმურად ცხოვრება – ოცნებად რომ არ დარჩეს, საჭიროა სწორი მოქმედების არჩევა, რომელსაც ვიღაც ამუხრუჭებს, ვისაც ქვეყნის გაუბედურება ხელს აძლევს. არადა, რუსეთთან მეგობრობის აღდგენა საქართველოს გაერთიანება-აღორძინების საწინდარია, რომლის სურვილს რუსეთი აშკარად ამჟღავნებს.

**დღეს საქართველო გზაჯვარედინზე იმყოფება. ერთია გზა, რომელიც მიშას მუხთლობამ გამოიწვია, ქვეყნის საბოლოო დაშლა-მოსპობისკენ მიდის; მეორე კი – გაერთიანებისა და აყვავებისკენ. არჩევანი ჩვენზეა.**

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია"-ს ნამდვილი წევრი**

# სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

ბატონო ალექსანდრე, გილოცავთ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი **"ღირსების ორდენით"** **("Орден Почета")** თქვენს დაჯილდოებას.

სასიხარულოა, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება აბსოლუტურად იზიარებს თქვენს პოზიციას და თავადაც ეძებს საქართველოსთან დაახლოების გზებს. უფრო მეტად სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ თქვენ ბრძანდებით პირველი ქართველი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა დააჯილდოვა ჯერ **"ხალხთა მეგობრობის ორდენით"**, შემდეგ კი **"ღირსების ორდენით"**. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილისა და მისი ბანდის ძალისხმევით დღეს საქართველო ლამის საომარ მდგომარეობაში იმყოფება რუსეთთან, როცა გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები და ერთმანეთს შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით ვეკონტაქტებით.

ნუთუ საჭიროა შუამავლებად დაგვიდგნენ ანგარებიანი ევროპელები იმ რუსებთან, რომელთან ერთადაც ქართველებს 200 წლის განმავლობაში ერთად გვიზიდია ცხოვრების მძიმე ჭაპანი, რომელთანაც უთანხმოებებიც გვქონია, მაგრამ თავადვე მოგვიგვარებია ყველა პრობლემა, თანაც, უამრავი რამ, ქართველთა სასარგებლოდ.

დღეს კი, სამწუხაროდ, ჩვენი საქმე ისეა, როგორც ქართული ანდაზა ამბობს: **"კაცს დედა არ უყვარდა და დედინაცვალს იფიცებდაო"!**

სამწუხაროა, რომ **"მეოცნებათა"** ხელისუფლებამ გააგრძელა რუსეთთან სიძულვილის ენით საუბრის საძრახისი **"ნაციონალური"** პოლიტიკა. სიძულვილს კი არასდროს არავისთვის არ მოუტანია პოლიტიკური, მორალური თუ მატერიალური სარგებელი და, არა მგონია, ჩვენც რაიმე სასარგებლო მოგვიტანოს. სიძულვილი, დამდურება და პოლიტიკური ოპონენტისათვის ზურგშექცევა არ გახლავთ დიდი პოლიტიკის შემადგენელი და ამ საძრახის მეთოდს მხოლოდ პოლიტიკურად და ინტელექტუალურად ინფუზორიის დონეზე დარჩენილი ეგრეთ წოდებული **"პოლიტიკოსები"** თუ მიმართავენ ხოლმე.

როდემდე უნდა ვიყოთ უზრად რუსეთთან, იმის შიშით, რომ ქვეყნის ნამდვილად მოღალატე **"ნაციონალები"** ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელიც ჩრდილოელ მეზობელთან დამოკიდებულების დალაგებას მოითხოვს, **"მეხუთე კოლონის ჯარისკაცად"** და სამშობლოს მოღალატედ აცხადებენ?

როგორ ფიქრობთ, ჩვენთვის რაიმე სარგებლის მომტანი იქნება იმ ხელმრუდ ევროამერიკელთა რუსებთან შუამავლობა, რომელთაც აშკარად აძლევს ხელს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში კონფლიქტური ზონების არსებობა, რათა ხელი მოითბონ ჰუმანიტარულ დახმარებებზე?!

ნუთუ ვერ უნდა შევიგნოთ ის ამბავი, რომ რუსეთისათვის, რომელსაც რესურსების ულევი მარაგი გააჩნია, კოღოს ნაკბენივითაა ევროამერიკელთა ყოველი სანქცია!

როდემდე უნდა გვარტყმევინონ თავი რუსეთის დახურულ კარზე, რომელიც წამსვე გაიღება ჩვენთვის, თუ მათთან მშვიდობიან დიალოგს გავმართავთ. განა ამის მიმანიშნებელი არ გახლდათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადება, რომელშიც მან საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა?!

ამიტომ არის აუცილებელი ქართულ პოლიტიკაში თქვენნაირი ავტორიტეტული პიროვნებების შემოსვლა, რადგან ავადსახსენებელმა ნაციონალებმა თავიანთი ისტერიკით იმდენად დაანაგვიანეს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური აურა, რომ მდგომარეობის გამოსწორებას წლებიც კი არ ეყოფა.

თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!

პატივისცემით,

**ჯუბა ბენძეხაძე,**
თბილისი

# პოეზიის კუთხე

*ორი სათრეველა*

## ციტო!

– მხილება, ისევ მხილება,
არაკაცების მხილება!.. –
რომ კითხულობდა,
მიხო ბიჭს
ბევრჯერ წამოსცდა გინება,
უმწეობისგან ხელებიც
მრავალჯერ გაასავსავა,
არ მალავს:
სძულს და ვერ იტანს
გაზეთ „ასავალ-დასავალს"
დასკვნა გსურთ?
რომ არ იკითხოს,
ხიხოს არ მივცეთ სხვა შანსი,
პიტნად მივართვათ გაზეთი
ნადარეიშვილ ლაშასი!

## მიზეზ-მიზეზ

ქვეყანა რომ აგვირია,
რაღა დასამალია?!
ჩვენში უკვე ყველამ იცის
მისი ალი-ბალია,
ნარცისიზმით მთვრალია და
შმაგი კანიბალია,
სძულს „ასავალ-დასავალი"
და გაზეთი „ალია"...
ვირს რომ ცხვირში პიტნას
ვტენით,
ეგებ, ამის ბრალია?

**ალექსანდრე შენგელია**

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს საქართველოს პარლამენტის წევრებს

**ბატონო თავმჯდომარევ!**
**პატივცემულო პარლამენტის წევრებო!**

მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ღრმავდება გლობალისტური პროცესები, რასაც ჩვენი პლანეტის ერებისთვის შეიძლება ითქვას მოაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებიც. ცხადია, ეს პროცესები გვერდს ვერ აუვლის ჩვენს სამშობლოსაც და, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური და საშური ხდება ისეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების შექმნა, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც უზრუნველყოფს კოლხურ-იბერიული (ქართველური) მოდგმის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მეტიც, ეროვნულ, ტრადიციულ და ქრისტიანულ საფუძველზე მის შემდგომ განვითარებასაც. თქვენთვის, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენს ერს, საკუთარი ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით, გააჩნია უდიდესი სიმდიდრე. ეს სიმდიდრე დაუნჯებულია ჩვენსავე უნიკალურ ენობრივ ტრიადაში (ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). უწინარესად, ამ ენებშია გამოხატული ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი იდენტობა, ჩვენი განსხვავებულობა. არადა, აშკარაა, რომ ქართველურ ენებს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ გლობალისტური ტენდენციების პირობებში ემუქრება გაქრობის საშიშროება. ასე რომ, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე მოვალენი ვართ, ვიღონოთ ყველაფერი მის შესანარჩუნებლად. ქართული სახელმწიფო მოვალეა, უპატრონოს ამ საუნჯეს.

აქვე გვსურს, შევეხოთ ჩვენთვის (და არამარტო ჩვენთვის) მეტად მტკივნეულ საკითხს. სამწუხაროდ, მავანნი ჯიუტად კამათობენ იმაზე, – უძველესი, უმდიდრესი და უმშვენიერესი მეგრული ენა საერთოდ არის თუ არა ენა, თუმცა გენიალურმა **ნიკო მარმა** ჯერ კიდევ როდის ბრძანა: **„მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი"**. იმავეს ბრძანებდნენ უდიდესი კორიფეები ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. არ დაგიმალავთ, ჩვენთვის არც ესაა სადისკუსიო და საკამათო საკითხი. აქ ისედაც ნათელია ყველაფერი. ვიმედოვნებთ, ასეა თქვენთვისაც. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, თქვენ, ვინც ქართველი ერის მიერ არჩეული ბრძანდებით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, აცნობიერებთ პასუხისმგებლობას მშობელი ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წინაშე და გააკეთებთ მაქსიმუმს მისი თვითმყოფადობის უპირველესი გამოხატულების – ქართველურ ენათა გადასარჩენად. ვიმეორებთ: ქართული სახელმწიფო ვალდებულია, ეს გააკეთოს, ხოლო, რაც შეეხება ყბადაღებულ **„ევროსაბჭოს კონვენციას"**, ჩვენს სპეციფიკურ სინამდვილეში მხოლოდ დამატებით არგუმენტად თუ გამოგვადგება. საერთოდ მიგვაჩნია, რომ კონვენციების არსებობა კი არ უნდა განაპირობებდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს, არამედ ჩვენივე ერისა და ქვეყნის მარადიული სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერესები. დრო არ ითმენს. არსებობს პრობლემა, მაშასადამე, არსებობს პრობლემის მოგვარების აუცილებლობაც. მისი იგნორირება უსათუოდ შეგვიყვანს ჩიხში და მიგვიყვანს საერთო ეროვნულ ტრაგედიამდე.

მხოლოდ რიტორიკა რომ არ გამოგვივიდეს, თქვენ წინაშე შემოვდივართ ინიციატივით: პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და უახლოეს საპარლამენტო სხდომებზე განხილულ იქნას ჩვენ მიერ აქტუალიზებული საკითხი და საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ დეპარტამენტმა, თავის მხრივ, უნდა შექმნას სპეციალური კომისია, რომელშიც უნდა შევიდნენ ქართველურ ენათა აღიარებული სპეციალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიამ უნდა შეძლოს ისეთი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომლის რეალიზებაც უზრუნველყოფს ქართველურ ენათა შენარჩუნება-განვითარებას.

**ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!**
**პატივცემულო დეპუტატებო!**

იმედია, ახალი ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, აიღებს პასუხისმგებლობას ქართველურ (ქართულ, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა გადარჩენასა და განვითარებაზე. ამით ის უთუოდ აღასრულებს უდიდეს ისტორიულ მისიას და უფლისათვის სათნო საქმეს.

პატივისცემით,

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს"**
**ზუგდიდის ორგანიზაციის**
**ხელმძღვანელი;**
**ვლადიმერ ლუკავა,**
**ბაკა თოდუა,**
**რევაზ ფიფია,**
**ბორის ბულია,**
**გიზო მესხია,**
**რევაზ ბაღათურია,**
**ხატია ჯანაშია,**
**ზაალ ჯალაღონია,**
**ზაზა ჯალაღონია,**
**შალვა აფხაზავა**

## გურიშ წვადილც ცოდა მოგენს

გურიშ წვადილც ცოდა მოგენს,
თე ნარტეფი ტყურათ ფხვილი,
ვორექ, მუჭოთ გასაჯოგე,
დორაგვაფილ-დონთხაფილი.
გორთილი რე შარა-კვალი,
ფირქი მეურც ცალით-ცალო,
ეშმაკ მიძახ, მაზაკვალი,
სადღემუშოთ მაჭყვიდალო.
კირიბცალო წირფე რინა,
ღორონს ფთხუე-მომინძალას,
ჩქიმ ღურელშა მიკორინა,
ბოშკოჩურო შურიშ ღალა.
მაჸვილარი ბორჯ იჯინე,
ჭარკანტია ირქენც ჟინე,
თაქ დოფსკიდი მა ჩიჩიე,
ცაშა ტკვათგ ვეშელინე.
ქიგნუდვალგ ირფელც ჸინი,
ღვინი მეწენც შურიშ მარანს,
თუდო, დოლოს გინვოჯინი,
გეშვაშვალანც წყარი ნარას.
არძა ჭუას ნარღი მებუ,
მორო ლექინ ორე ჯვარი,
ირფელ ართო მიკომლებუ,
გურც გოთანა ქუვახარი.
ირ შვანიში გგნაჭყორი,
ტახილი რე ჭარაშ ხინჯი,
თაქ გევორექ სქანი ჭკორი,
ქომირსხი დო ქომიმინჯი.

**გიორგი ხულორდავა,**
**2014 წანა**

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთები "ილორი" და "საქართველო და მსოფლიო", არასამთავრობო იურიდიული პირი "ისტორიული მემკვიდრეობა", ჟურნალი "აია" თანაუგრძნობენ სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მამიდის, დამსახურებული ექიმის**

## ნუცა ესტატეს ასულ ჭაჭია-მარღანიას

**გარდაცვალების გამო**

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

# აკადემიკოს კლიმენტი შელიას მოსაგონარი



ამასწინათ უდიდესი დანაკლისი განიცადა სრულიად საქართველომ. გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ვიცე-პრეზიდენტი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დ. ი. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის უნივერსიტეტის რექტორი, კლიმენტი ივანეს ძე შელია.

კლიმენტი შელია იყო 300-მდე პუბლიკაციის, მათ შორის, 30-მდე წიგნის ავტორი. იგი წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, განყოფილებათა გამგე. თავის დროზე, პროფ. ვ. ჭანიასთან ერთად დამაარსებელია საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიისა.

კლიმენტი შელია 80-იან წლებში ერთდროულად იყო 4 უმაღლესი სასწავლებლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

2005 წელს კლიმენტი შელიას შეუსრულდა დაბადების 80 წლისთავი, რაც სათანადო აკადემიების მიერ ღირსეულად აღინიშნა. კლიმენტი შელიას პიროვნებისა და დამსახურების უფრო სრულად წარმოსაჩენად უპრიანია, აქვე წარმოვადგინოთ ერთი გარკვეული ნაწილი მაინც იმ დახასიათებებისა და შეფასებებისა, რაც მაშინ უძღვნეს დიდ იუბილარს და რაც ბოლომდე დამსახურებულად ატარა მან თავისი შემდგომი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიორში.

## „აუდიტორიის ღმერთი“

ასეთი სახელწოდებით გამოსცა საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიეთობათა აკადემიამ (2005 წ.) პროფესორისა და აკადემიკოსის კლიმენტი შელიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი, ათზე მეტი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, რამდენიმე მათგანის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის პრეზიდენტის, 20 ათასამდე ლექსის ავტორის, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, ქართული პოეზიის რაინდის ბატონ ვაჟა ეგრისელის – როგორც საიუბილეო წიგნის რედაქტორის – მეთაური წერილით. მასში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„კლიმენტი შელია თქმულებებით და ლეგენდებით დახუნძლულ კოლხეთში გაზრდილი მაძიებელი სულის მეცნიერი, პოეტური პიროვნება გახლავთ. სწორედ ამ მაძიებელმა სულმა და ინიციატივამ დააწერინა მას თავისი უბრწყინვალესი წიგნი – „ძველი კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“, რომლითაც ესკულაპივით უმკურნალა და მერე გაგვიცოცხლა არა მარტო აიეტისა და მედეას კოლხეთი, არამედ ფიქრმიუწვდომელი პრეისტორიული წარსულის წყვდიადიდან ამოზიდა ხუთი ათას წლეულის უფსკრულში გადაჩეხილი და დავიწყების 52 საუკუნის მტვერწაყრილი ქალაქი კოლხა. სწორედ ამან გამაბედვინა 80 წლის მხცოვანი მეცნიერისათვის მიმეძღვნა 80 **„კოლხური ფსალმუნი“,** რომელიც ამ წიგნში იბეჭდება და ეხმიანება წარღვნამდელ და წარღვნის შემდგომდროინდელ კოლხეთს.

ჩემი საყვარელი პიროვნება და მეცნიერი ბატონი კლიმენტი შელია ბედნიერი სიცოცხლისა და დღეგრძელობის ღირსია; იცოცხლე, იდღეგრძელე, ბატონო კლიმენტი!

ამინ!“

საიუბილეო წიგნში 80 გვერდზე მეტი უჭირავს ბატონ ბექა ქანთარიას წერილს **„ამაგდარი“**, სადაც მოთხრობილია ბატონ კლიმენტი შელიას სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შესახებ. მასში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

**„აკადემიკოსი კლიმენტი შელია გახლავთ რაინდული სულისა და ზნეობრივი სიწმინდის ეტალონი, სიკეთისა და კაცურ-კაცობის ნამდვილი გამოვლინება. მისი პიროვნების განმსაზღვრელი კრიტერიუმი არის ადამიანური სრულყოფილება. იგი უხვადაა დაჯილდოებული მშვენიერებით, ცხოველმყოფელი ინტელიგენტობითა და მეცნიერული აზროვნების დიდი უნარით. მას ახასიათებს უსაზღვრო, განუმეორებელი თავმდაბლობა. ბატონი კლიმენტი პროფესიონალიზმს და ცოდნას დიდ მამულიშვილობას, ადამიანურ სრულყოფილებასა და ზნეობრიობას უთავსებს. იგი ბრძანდება შეუდარებელი მორალისტი. კლიმენტი შელიას გააჩნია თვითკრიტიკის განსაკუთრებული უნარი. პროფესორის პედაგოგიური ალღო, სტუდენტებთან საუცხოო დამოკიდებულება, რითაც იძლევა მაგალითს იმისას, თუ როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, პედაგოგი, ლექტორი. აკადემიკოსი კლიმენტი შელია თავისი მეობით, კაცობითა და ეროვნული მრწამსით გამორჩეული პიროვნებაა. მისთვის მთავარია ამაღლებული პატრიოტიზმი, სამშობლოსა და ქვეყნის ერთგულება. ლაკადის ღვთითკურთხეულ მიწაზე დაბადებული და გაზრდილი კოლხი ზნეობრივ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდობაზე.**

**კლიმენტი შელიას შინაარსობრივი ცხოვრება არის ნათელი გზა-კვალი მომავალი თაობებისათვის.**

**კლიმენტი შელია ნამდვილი კოლხი კაცის ნიმუშია!**

**კლიმენტი შელია მორალური მოვლენაა, ზნეობრივი ფენომენია“...**

**„ერისკაცი“** – ასეთი სათაურით არის მოცემული იმავე წიგნში, პროფესორისა და აკადემიკოსის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბატონ თეიმურაზ მიბჩუანის წერილი, სადაც, სხვათა შორის, წერია:

**„...ბატონმა კლიმენტი შელიამ მთელი თავისი განვლილი წლები მოახმარა თავისი ქვეყნისა და მშობელი ხალხის კეთილდღეობისა და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას. იგი არა მარტო სტუდენტი ახალგაზრდობის აღმზრდელი და მასწავლებელია, არამედ, შეიძლება ითქვას, პროფესორ-მასწავლებელთა მასწავლებელიცაა. ბატონი კლიმენტი კაცური კაცობის, მეგობრობის, ერთგულებისა და ერისკაცობის ეტალონია“.**

**„ღირსეული პიროვნება“,** – ასეთია სათაური წერილისა, რომელშიც პროფესორი და აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი გივი როგავა, სხვათა შორის, აღნიშნავს:

**„ბატონი კლიმენტი არა მარტო სახელმოხვეჭილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, არამედ ძალზე კეთილშობილი, თბილი და ტოლერანტი ადამიანია, სამშობლო ქვეყნისა და მისი ხალხის პატრიოტი. მას დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდების მიერ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მომზადებისა და დაცვის საქმეში, ასევე თავისი კოლეგების მეცნიერული მოღვაწეობის შეფასება-წარმოჩენაში“.**

**„ჩემი კლიმენტი 80 წლისაა“,** – ასეთი სათაურით არის დაწერილი პროფესორისა და აკადემიკოსის, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტის ბატონ გრიგოლ ჟვანიას წერილი, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია:

**„ბატონი კლიმენტი შელია არის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მას აქვს მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელთაც თავიანთი მეცნიერული სიღრმითა და განმაზოგადებელი დასკვნებით დაუფასებელი წვლილი შეაქვთ ქართულ ისტორიოგრაფიაში, მის შემდგომ განვითარებაში.“**

**„დიდი მამულიშვილი“,** – ასეთი დასათაურებისაა **„ფაზისისა“** და **„სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა“** აკადემიების წევრის, აკადემიკოსის, ბატონ ანზორ შონიას წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

**„კლიმენტი შელია შესანიშნავი მეცნიერი, დიდებული აღმზრდელი და, რაც მთავარია, ღირსეული ქართველია, რომელიც უანგაროდ, მთელი სულითა და გულით ემსახურა თავის ქვეყანას, თავის ერს.“**

**„დაუღალავი მეცნიერი, ამაგდარი საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი“,** – ასეთი დასათაურებისაა წერილი, რომელსაც აწერენ ხელს პროფესორები, აკადემიკოსები: ნაპოლეონ ლემონჯავა, აბესალომ გადილია და გრიგოლ შარია. ისინი მისი ბიოგრაფიული მონაცემებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ვრცლად წარმოდგენის შემდეგ წერენ:

**„ბატონი კლიმენტი ბრძანდება უაღრესად პრინციპული, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მაქსიმალურად მომთხოვნი და, ამავე დროს, მეტად გულისხმიერი და ჰუმანური პიროვნება. მისი საქმიანი წინადადებები საინტერესო და სასარგებლოა წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისათვის.“**

**„ჩემი კოლხი მეგობარი კლიმენტი!“** – ასეთი სათაური აქვს იურისტ ოთარ ბერიშვილის წერილს, რომელშიც იგი ვრცლად მოგვითხრობს კლიმენტი შელიას შესანიშნავ პიროვნულ თვისებებსა და მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

**„ამაგდარი პედაგოგი, ღვაწლმოსილი მეცნიერი“,** – ასეთი სათაური აქვს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორისა და აკადემიკოსის, ოთარ მიქიაშვილის წერილს, რომელშიც იგი, როგორც ბატონ კლიმენტი შელიას ყოფილი სტუდენტი, იხსენებს მის მოღვაწეობას, სტუდენტ-ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულებას, და ახასიათებს მას, როგორც დიდად ერუდირებულ ლექტორს, უაღრესად მომთხოვნ და ამავე დროს საოცრად ჰუმანურ პედაგოგს, უზადო აღმზრდელს.

**„თავისი დიდი შემართებით,**– წერს ავტორი – **სიცოცხლის გასაოცარი სიყვარულით, იშვიათი შრომისმოყვარეობითა და ერის სამსახურში ჩაყენებული ნიჭიერებით ბატონი კლიმენტი შელია ყოველდღე ამტკიცებს, რომ 80 წლის ასაკი ადამიანისათვის ახალ სიმაღლეთა დაპყრობის სტიმულია და არა ფრთების შეკვეცის დრო,“** – წერს ავტორი, და ულოცავს ამაგდარ პედაგოგსა და ღვაწლმოსილ მეცნიერს სიბრძნის ასაკს, უსურვებს კვლავაც დიდხანს ბედნიერ ცხოვრებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**„დიდად პატივცემულო ბატონო კლიმენტი!** – მიმართავენ თავიანთ წერილში იუბილარს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ანთელავა და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ ხაზალია და, სხვათა შორის, წერენ:

**„თქვენ ბრძანდებით ქართველ მეცნიერთა კოჰორტის ის ღირსეული წარმომადგენელი, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საქართველოს ახალი და უახლოესი ისტორიის კვლევა-ძიების, ზოგადად ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში.**

**თქვენს მიერ განვლილი ცხოვრების გზა მისაბაძი და სამაგალითოა. იგი დასტურია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს აღმზრდელი, მეცნიერი, მოქალაქე, თუ როგორ ემსახუროს ქართველი სამშობლოს, საკუთარ ხალხს, ეროვნულ კულტურას.“**

**„კაცურ-კაცობის ქურუმი“,** ასეთი დასათაურების წერილით მიმართავს იუბილარს დოცენტი მურმან ბერია და, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ბატონი კლიმენტი შელია ლექციას მუდამ კითხულობდა ზეპირად, ხოლო სტუდენტთა სიას არასდროს კითხულობდა, მის ლექციას არავინ აცდენდა, სტუდენტს არასოდეს მიმართავდა **„შენობით“**, და ა. შ.

**„დიდი მასწავლებელი“,** – ასეთი დასათაურებისაა საქართველოს დამსახურებული არტისტისა და დირიჟორის ვეზდენ ოკუჯავას გულთბილი წერილი სახელოვანი იუბილარისადმი.

**„დიდო ბატონო კლიმენტი!“** – ასე მიმართავს ღვაწლმოსილ იუბილარს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ციალა მესხია თავის ვრცელ მოხსენებაში, საიუბილეო საღამოზე, და, სხვათა შორის, აღნიშნავს:

**„ჩემთვის დიდი პატივი და საოცარი ბედნიერებაა ქართული მენიერებისა და კულტურის ცოცხალი მეტრის წინაშე მოწიწებით დგომა, უფრო მეტად კი, – მისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის საჯაროდ გამოცხადება...**

**თქვენი საიუბილეო წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ქართული კულტურის, ქართული სულიერების ზეიმია, რომელსაც ასე ერთგულად, ასე ღირსეულად, მორჭმით ემსახურებით 60 წლის მანძილზე.**

თქვენ განსაკუთრებული ადგილი გიპყრიათ ქვეყნის ცხოვრებაში, ქართულ მეცნიერებაში და ბრძანდებით უბადლო მაგალითი, გაწონასწორებული, მომავლისაკენ მზერამიმართული. მრავალფეროვანია თქვენი ინტერესთა სფერო: ისტორია, პოლიტოლოგია, გეოპოლიტიკა, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია და საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია. პუბლიცისტიკა, ლიტერატურა თქვენთვის ხომ, როგორც საზოგადო მოღვაწისათვის, ზემოთნახსენები უმნიშვნელოვანესი სფეროები ფიქრისა და აზრის ღერძი აღმოჩნდა. ეს ხომ უდიდესი მისიაა, გნებავთ ისტორიული ტვირთი, რომელიც დიდ პიროვნულ გამბედაობასთან ერთად დიდ სიბრძნესა და მომავლის წინასწარმეტყველებას გულისხმობს.

მე ნაკლებად მწამს იმ ისტორიკოსების, რომლებიც საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთივით მოიზომავენ რომელიმე გარდასული ეპოქის ისტორიას და იმის იქით არ გაიხედავენ. თქვენ ამითაც გამორჩეული ბრძანდებით. თქვენთვის თანაბრად ახლობელი და ძვირფასია თანამედროვე რეალობა და შორეული წარსული თავისი ლეგენდებითა და თქმულებებითაც.

...უზენაესი სიყვარულითა და რუდუნებითაა აღკაზმული თქვენი „ძველი კოლხეთი –კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“... დიახ, აიეტიდან დანთებული თანამედროვე ისტორიული პროცესების ჩართვით აგრძელებთ იმ ტრადიციებს, უძველესი კოლხეთის ისტორიამ რომ დაამკვიდრა საქართველოში და თქვენი გამოკვლევებიც უკუფენაა საქართველოს სულიერი მდგომარეობისა, რამეთუ, როგორც თავად ბრძანებთ: კოლხეთი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აკვანია და რამდენადაც თქვენი ამ ძვირფასი წიგნის სურნელით ვტკბები და ალალი გულიდან ამოსული, ამ ტკბილი საგზლით წელში ვიმართები, თითქოს ვხედავ აიეტის მიერ დანთებულ მოგიზგიზე ცეცხლს, სულს ვერ ვითქვამ ქუჯისა და ფარნავაზის მოქმედებით ატეხილ ქარიშხალში. შორიდან ცოტნე დადიანის ცხენის ფლოქვების ხმაური მესმის...

ძვირფასო მოძღვარო!

დღეს ოფიციალური სტატუსით ქართული ისტორიული მეცნიერების გამორჩეული ფიგურა ბრძანდებით – დრომ და განგებამ მოგაკუთვნათ ეს ადგილი და ხმამაღლა შემიძლია ვქვა, რომ ეს სტატუსი თქვენი თავის წარმოჩენის, უფლებების დემონსტრირების ამბიონი არასოდეს არ ყოფილა.

დღეს ზნეობრივად გამარჯვებული, სულიერების ძლიერი რაინდი, იმედითა და რწმენით, მეცნიერული ალღოთი წერთ და იღვწით და ისე უბრალოდ ცხოვრობთ, ისე უბრალოდ შეჰყურებთ თქვენს წარმატებებს, თითქოს ჩვეულებრივი იყოს.

თქვენთვის უცხოა მოვლენებისა და ადამიანებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება. თქვენ მუდამ ხარობთ, როდესაც კოლეგის კარგ წიგნს წაიკითხავთ. კიდევ უფრო აღფრთოვანებული ხართ, როდესაც თქვენს ქვეყანაში რაიმე სასიკეთო გაიელვებს. ხოლო თქვენს განცდასა და ტკივილს საზღვარი არა აქვს, თუკი ვინმეში რამე მანკიერი შენიშნეთ და უფრო აღგზნებულ რისხვად იქცევით, როდესაც თანამემამულეში საქმისადმი და განსაკუთრებით ქვეყნისადმი გულგრილობას დალანდავთ.

ბატონო კლიმენტი, მე ქედს ვუხრი თქვენს მაღალ ზნეობას, დახვეწილ ინტელიგენტობასა და განსწავლულობას, და იცით, ყველაზე მეტად რა მხიბლავს თქვენში?, – რომ თქვენ შორსა ხართ მოქალაქეობრივი გულგრილობისაგან... მადლობას გიხდით, რომ ასეთი თავმდაბალი ინტელიგენტი ბრძანდებით.

მადლობას გიხდით, რომ ასე გიყვართ და ღრმად იცით თქვენი ისტორიული მეცნიერება.

**ჰოდა, გეთაყვანებით და გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს. გიდღეგრძელებთ თქვენი ფიქრითა და გონით შექმნილ მრავალფეროვან მეცნიერულ სამყაროს, თქვენს დიდებულ კოლეგა მეცნიერებთან ერთად. ვულოცავ ამ დიდ ზეიმს თქვენს დიდებულ ოჯახს.**

**თქვენი მრავალჟამიერი, დიდო ბატონო კლიმენტი!“**

შემდგომ ამისა, წიგნში მოცემულია პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის მიერ 80 წლის კლიმენტი შელიასადმი მიძღვნილი 80 **„კოლხური ფსალმუნი“.**

წიგნის ბოლოში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორების მიერ კლიმენტი შელიასადმი მიძღვნილი გულთბილი ლექსები.

კლიმენტი შელიას სამეცნიერო მოღვაწეობაზე სრული წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეთ იმათ, ვინც გაეცნობიან (ან უკვე გაეცნენ მის დიდმნიშვნელოვან ნაშრომებს: **„კოლხეთი – ჩვენი ისტორიის კარიბჭე“, „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“** და **„კოლხეთი – კაცობრიობის აკვანი“**. ეს უკანასკნელი, 171 ნომრიდან მოყოლებული, დღემდე იბეჭდება გაზეთ **„ილორში“.**

91 წელი იცოცხლა და მრავალი ათეული წელი სასახელოდ იღვაწა ისტორიის დარგში აწნეტარხსენებულმა კლიმენტი შელიამ და დაგვიტოვა მდიდარი და გამორჩეული მემკვიდრეობა კოლხეთის ისტორიის შესახებ.

ამასთან ერთად, დიდი გულისტკივილი დაგვიტოვა მან ამ ქვეყნიდან წასვლის გამო.

გვიმძიმს, ძალზე გვიმძიმს შეგუება იმ აზრისა, რომ აწი ვერასოდეს დავურეკავთ ერთმანეთს და ვერასოდეს ვისაუბრებთ ერთად, ქვეყნისთვის საზრუნავის შესახებ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა კლიმენტი შელიას სული. სამარადისო დიდება მის სახელს! ამინ!

**მამანტი ძაძამია,**
პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი.

**როლანდ ჯალაღანია,**
გაზეთ „ილორი“-ს მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების „აია“-სა და „ფაზისი“-ს აკადემიკოსი.

**ზაურ ბახარია,**
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მთავარი საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს აკადემიკოსი

# მარტოობა გაბრიელ გარსია მარკესის გარეშე



მსოფლიო მსწრაფლ მოიარა ცნობამ იმის შესახებ, რომ მექსიკაში, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი კოლუმბიელი მწერალი, პუბლიცისტი, გამომცემელი, პოლიოტიკური და საზოგადო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი გაბრიელ გარსია მარკესი. იგი, რამდენიმე დღის წინ, მექსიკის ერთ-ერთი კლინიკიდან გაწერეს, სადაც ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში მკურნალობდა.

ბოლოს საზოგადოების წინაშე მარკესი მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში გამოჩნდა, როცა, მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, სახლიდან ჟურნალისტებთან და თაყვანისმცემლებთან სასაუბროდ მოკლე ხნით გამოვიდა. მაშინ მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება დიდი მწერლის დაბადებიდან 87 წლის იუბილეს ზეიმობდა.

გაბრიელ გარსია მარკესი 1960-იანი წლების ლათინოამერიკული ლიტერატურული ფენომენის გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებად რომანი **"მარტოობის ასი წელი"** ითვლება, რომელიც მსოფლიოს ყველა ენაზე გამოიცა და მისმა საერთო ტირაჟმა 50 მილიონ ეკზემპლარს გადააჭარბა. ურთულესი ფსიქოტიპი დაგვიხატა მარკესმა ნაწარმოების მთავარი გმირის პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახით, რომელსაც ფიქრი შემეცნებისაკენ მიაქროლებს, ხოლო შემეცნებული აფიქრებს და ანცვიფრებს, ამწუხრებს და ასევდიანებს. მე მას ქართველი ლიტერატურული გმირებიდან ალბათ მხოლოდ დათა თუთაშხიას შევადარებდი, რადგან თუთაშხიასავით, აურელიანო ბუენდიაც თვითდაკვირვებისა და ფიქრის წყალობით იცნობიერებს თავის შეგრძნებებსა და აღქმებს, გრძნობათა და სურვილთა მოძრაობას, ვნებათა დაუცხრომლობას, სიზმრებისა და ხილვების ფერიცვალებას. ბუენდიაც, თუთაშხიას მსგავსად, ფიქრის თვითჩასახებასა და თვითხილვაშია გამუდმებით ჩართული, ღრმად წვდება ფიქრის ძაფებს, დამწვარი ქაღალდივით იფენს წინ ამ ფიქრებს და ჯერ კიდევ დაუმქრალ წერტილთა ციმციმში ცდილობს ამოიკითხოს საკუთარი ხვედრი, თავისი ცხოვრება და მისწვდეს მახსოვრობის მიუვალ კუნძულებს...

ამიტომაც იყო, რომ მადლიერმა მკითხველმა ლამის თანამედროვე ბიბლიად აღიქვა ეს ნაწარმოები, მისი ავტორი კი თანამედროვე ლიტერატურული რეალობის ჯადოქრად შერაცხა!

სწორედ ამ ურთულესმა და უგენიალურესმა ნაწარმოებმა მოუტანა მარკესს ნობელის პრემია.

და გაბრიელ გარსია მარკესი მსოფლიოს მოუკვდა!

არავინ იცის, ეყოლება კი დღევანდელ დახავსებულ სამყაროს, როდესმე, ასეთი დიდი შემოქმედი?!

უსასრულოდ შეიძლება საუბარი ამ ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედზე, მაგრამ აქ დავსვამ წერილს და მკითხველს გავაცნობ გაბრიელ გარსია მარკესის ცნობილ გამონათქვამებს:

**1) ცხოვრება იდეალური მწერალია და მან ყველაზე უკეთ იცის, თუ სად უნდა დასვას თავისი ლოგიკური წერტილი;**

**2) თუ გინდა სიბერეში სიმშვიდეს მიაღწიო, ერთგულად უნდა დაუმეგობრდე მარტოობას;**

**3) არცერთი ადამიანი არ იმსახურებს ცრემლებს, ხოლო ვინც იმსახურებს, არასოდეს აგატირებს შენ;**

**4) არ ფანტო დრო იმ ადამიანზე, რომელიც არ ისწრაფვის იმისკენ, რომ დრო შენთან ერთად ატაროს;**

**5) ნუ გამოავლენ ესოდენ ძალისხმევას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება;**

**6) მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას არ უყვარხარ ისე, როგორც შენ გინდა რომ უყვარდე, იმას არ ნიშნავს, იმ ადამიანს მთელი გულით არ უყვარხარ;**

**7) შეიძლება ღმერთს სურს, რომ ვხვდებოდეთ უვარგის ადამიანებს მანამ, სანამ შევხვდებით იმ ერთადერთს, იმიტომ, რომ როცა ეს მოხდება, ჩვენ მადლიერნი ვიყოთ;**

**8) ყოველთვის მოიძებნებიან ისინი, ვინც ტკივილს მოგაყენებენ, მაგრამ არ უნდა დაკარგო რწმენა ადამიანების მიმართ; უბრალოდ, ცოტა ფრთხილად იყავი;**

**9) მე არ ვარ მდიდარი; მე ვარ ღარიბი კაცი, რომელსაც აქვს ფული – ეს ორი ცნება კი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან;**

**10) ნუ ტირი იმიტომ, რომ ეს დამთავრდა; გაიღიმე იმიტომ, რომ ეს იყო;**

**11) შეიძლება ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვიღაცისთვის მთელი სამყარო ხარ;**

**12) ნამდვილი მეგობარი ის არის, რომელსაც უჭირავს შენი ხელი და გრძნობს შენს გულს;**

**13) ორი ცოლი უნდა ჰყავდეს კაცს: ერთი სიყვარულისათვის და ერთიც იმისთვის, რომ ღილები დაუკეროს;**

**14) ადამიანს აქვს უფლება, უყუროს მეორეს ზემოდან ქვემოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას წამოდგომაში ეხმარება;**

**15) ადამიანები სწორედ მაშინ ბერდებიან, როდესაც კარგავენ შეყვარების უნარს;**

**16) მე არ მწამს ღმერთის, მაგრამ მეშინია მისი;**

**17) არასდროს მოიშორო სახეზე ღიმილი, მაშინაც კი, როდესაც სევდიან განწყობაზე ხარ. ვიღაცას შეიძლება შენი ღიმილი შეუყვარდეს;**

**18) გახსოვდეთ, რომ ქორწინებაში მთავარი სტაბილურობაა და არა ბედნიერება.**

**19) გახდი უკეთესი და შენვე მიხვდი, თუ ვინ ხარ, სანამ შეხვდები ახალ ადამიანს იმ იმედით, რომ ის შენ გაგიგებს, შეგიცნობს.**

**P.S.** მოსწყდა სამყაროს დიდი მწერალი და დაგვრჩნენ სააკაშვილისა და მისი ნაცების მიერ **"მოწონებული"** და წახალისებული ბურჭულაძეები, დეისაძეები, ბუღაძეები გოგიბედიშვილები, კაკალაშვილები...

განა სწორედ ეს არ გახლავთ ცივილური სამყაროს მარტოობის ასი წელი?!

**როლანდ ჯალაღანია**

# როგორ იწერებოდა მარკესის "მარტოობის ასი წელი" – ლეგენდარული მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები

**"გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამისმა რომ ყინულის სანახავად წაიყვანა..." ("მარტოობის ასი წელი").**

მაკონდოში, ბუენდიებით დასახლებულ ერთ პატარა სოფელში ჩემი მოგზაურობა დიდი ხნის წინ მძიმედ, დუნედ და მოსაწყენად დაიწყო – გზიდან ერთი სამჯერ მაინც მოვბრუნდი, გვერდით გადავუხვიე და ვერაფრით დავუდე გული გაგრძელებას. მაგრამ საბოლოოდ მაინც ამოვყავი თავი მარკესის მაგიური რეალიზმის სამყაროში და მეც ერთ-ერთი მაკონდოელი გავხდი...

**"მარტოობის ასი წელი"** პირველად არგენტინაში – ქალაქ ბუენოს-აირესში გამოიცა. რომანის საბოლოო ჩანაფიქრი მწერალმა 1965 წლის იანვარში ჩამოაყალიბა და იმ დღიდან მოყოლებული, 18 თვის განმავლობაში კაბინეტში გამოიკეტა, გაყიდა მანქანა, მეუღლის კუთვნილი საოჯახო ნივთები და ოჯახზე ზრუნვა მთლიანად მეუღლეს, მერსედესს გადააბარა, რომელიც რომანზე მუშაობისას მარკესის შთაგონების წყაროდ იქცა.

მათი სიყვარულის ისტორია შორეულ 1945 წელს, პატარა ქალაქ სუკრში დაიწყო, სადაც გაბო და მერსედესი არდადეგებზე ჩადიოდნენ ხოლმე. 13 წლის მერსედეს ბაჩო პრადომ პირველივე დანახვისას დაატყვევა 18 წლის დამწყები ჟურნალისტის გული.

**"ჩვენ არასდროს ვყოფილვართ დანიშნულები. მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე ჩვენს შორის ერთხელაც არ მომხდარა სერიოზული განხეთქილება. ალბათ იმიტომ, რომ ორივე დღემდე ისე ვუყურებთ ყველაფერს, როგორც ქორწინებამდე. ოჯახური ცხოვრება საშინლად რთული საქმეა, რომელსაც ყოველდღე თავიდან იწყებ. და ასე გრძელდება მთელი ცხოვრება. სულ დაძაბული ხარ და ზოგჯერ ეს ძალიან დამღლელია. მაგრამ ოჯახი ამად ღირს. ჩემი ერთ-ერთი რომანის პერსონაჟის არ იყოს, გაგება სიყვარულსაც უნდა",** – ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში გაბო.

საბოლოოდ **"მარტოობის ასი წელი"** მკითხველამდე 1967 წელს მივიდა და მწერლის მეგობრის მარიო ვარგას ლიოსას თქმის არ იყოს **"ლიტერატურული მიწისძვრა"** მოახდინა, ნოველისტმა უილიამ კენედიმ კი **"მარტოობის ასი წელი"** ბიბლიის შემდეგ სრულიად კაცობრიობისთვის საჭირო და აუცილებელ წასაკითხად დაასახელა.

გამოცემის დღიდან მოყოლებული დღემდე **"მარტოობის ასი წელი"** მსოფლიო მასშტაბით 50 მილიონზე მეტი ტირაჟით გაიყიდა და 30-ზე მეტ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ქართულადაც.

**"მე არაფერი მომიგონებია. ხალხს ჩემი წარმოსახვა აღაფრთოვანებს, მაგრამ სინამდვილეში საშინელი რეალისტი ვარ. ყველაფერი რაც მოვიგონე, სინამდვილეში მართლაც ხდებოდა",** – ამბობდა თავად მარკესი, მწერლი, რომელსაც 1982 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს ლიტერატურის დარგში **"რომანებისა და მოთხრობებისთვის, რომელშიც ერთად შერწყმული ფანტაზია და რეალობა მთელი კონტინენტის ცხოვრებისა და კონფლიქტს ასახავს".**

გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი, **"გაბო"** ლუიზა სანტიაგა და გაბრიელ ელიხიო გარსიების უფროსი ვაჟი იყო, რომელიც ქვეყანას 1928 წლის 6 მარტს არაკატაკაში მოევლინა. პატარა გაბო მშობლებმა ბებია-ბაბუას მიაბარეს გასაზრდელად. მას მერე მომავალი მწერალი ბაბუისგან, ნიკოლას მარკეს მეხიასგან, გადამდგარი პოლკოვნიკისგან ხშირად ისმენდა სამოქალაქო ომის ისტორიებსა და თქმულებებს, რომელმაც დიდი გავლენა იქონიეს მწერლის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით კი **"მარტოობის ასი წელზე".**

**"ის ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო",** – იტყვის მოგვიანებით მარკესი ბაბუაზე.

12 წლის ასაკში მარკესმა სწავლა ბოგოტას იეზუიტურ კოლეჯში დაიწყო, რამდენიმე წლის შემდეგ კი მშობლების თხოვნით კოლუმბიის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. თუმცა, ძალიან მალე მიხვდა, რომ ადვოკატურა მისი საქმე არ იყო და მუშაობა გაზეთ El Espectador-ში დაიწყო. სწორედ ამ გაზეთში გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა, **La tercera resignacion** (მესამე გადადგომა), რომელიც მეტწილად ცნობილი ფილოსოფოსის ფრანც კაფკას გავლენით იყო დაწერილი.

ამავე გაზეთში, 1955 წელს 14 პუბლიკაციის სახით გამოქვეყნდა **"დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი",** რომელიც გადარჩენილი სამხედრო მეზღვაურის მონათხრობზე იყო დაფუძნებული. ამ ნაწარმოებში მწერალი კოლუმბიურ სამხედრო ხომალდზე კონტრაბანდის გადატანის ფაქტებს ააშკარავებს, რამაც ქვეყანაში საყოველთაო სკანდალი გამოიწვია. 1956 წელს, კოლუმბიის სათავეში როხას პინილია მოსვლის შემდეგ, **La tercera resignacion-**ი დახურეს, გაბრიელ მარკესი კი საკუთარ სამშობლოში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს.

1973 წელს, როდესაც გენერალმა ავგუსტო პინოჩეტიმ ჩილეში დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი სალვადორ ალენდე დაამხო და მოკლა, მარკესმა პირობა დადო, რომ იქამდე არაფერს დაწერდა, ვიდრე პინოჩეტი იქნებოდა ხელისუფლებაში. პინოჩეტის დიქტატურა 17 წელს გაგრძელდა.

მაგრამ კოლუმბიელმა მწერალმა დანაპირები ვერ შეასრულა, კვლავ წერას მიუბრუნდა და 1974 წელს, როცა ბოგოტაში გაზეთი **"ალტერნატივა"** დააარსა და 1981 წლამდე, ვიდრე ხელისუფლებას სათავეში ჩილელი დიქტატორი ედგა, პოლიტიკურ ჟურნალისტიკას მიჰყვებოდა.

ავგუსტო პინოჩეტიმ გაბრიელ მარკესი ვერც რომანის გამოცემისგან შეაჩერა – 1975 წელს მწერალმა თავისი კიდევ ერთი აღიარებული რომანი **"პატრიარქის შემოდგომა"** გამოსცა, რომლის მთავარი გმირი ლითინოამერიკელი დიქტატორის პროტოტიპია.

**"ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ავგუსტო პინოჩეტის მმართველობა ამდენ ხანს გასტანდა,** – იტყვის მოგვიანებით გაბრიელ მარკესი გაზეთ **"ვაშინგტონ პოსტისთვის"** 1997 წელს მიცემულ ინტერვიუში,– **დრომ დამარწმუნა, რომ ვცდებოდი. ის, რასაც მე ვაკეთებდი, პინოჩეტის უფლებას აძლევდა მწერლობისთვის ჩამოვეშორებინე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნებაყოფლობით ვემორჩილებოდი ცენზურას, არ შემეძლო გავჩუმებულიყავი უსამართლობისა და რეპრესიის შემხედვარე".**

გაბრიელ გარსია მარკესი 87 წლის ასაკში მექსიკაში გარდაიცვალა. მას შემდეგ, რაც 70 წელი შეუსრულდა, თავს შეუძლოდ გრძნობდა. 1999 წელს ექიმებმა მას ლიმფური სისხლძარღვების კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ალბათ ბედის ირონიაა ისიც, რომ რამდენიმე წლის წინ კი კოლუმბიელ მწერალს დემენცია – მენტალური აქტივობის დაქვეითება განუვითარდა.

**"და ნაწერი ზედა იყო განუმეორებელი დასაბამისად და უფრო მეტი ხანიც. ვინაიდან მას, ვისაც ასწლოვანი მარტოობა აქვს მისჯილი, აღარც მეორედ მოსვლა ეღირსება ქვეყნად" ("მარტოობის ასი წელი").**

**მ. ჯავახიშვილი**

# ქრისტესმიერი ძმები – ორი ეროვნული გმირი

*„შვილო, ტანჯულო ქვეყნისა,*
*სული დალიე ტანჯვითა,*
*მიუხვალ მამა-პაპათა*
*ამოღებულის ხანჯრითა“.*
ვაჟა-ფშაველა

**რაც დრო გადის მით უფრო ცხადი ხდება ეროვნული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უდიდესი ღვაწლი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში. მადლობა ღმერთს, ზოგიერთი პუტჩისტი, შევარდნაძის ლაქია ინტელიგენტი გონს მოეგო და ინანიებს თავის შეცდომას. სწორედ ამგვარ მომნანიებელს თუ უძღვნა ბატონმა მერაბმა საოცარი, ღვთიური სიტყვები:**

*„შეგვაძლებინე, მაღალო ღმერთო,*
*მოყვასთა ჩვენთა მუხლი ვუყაროთ,*
*მოძმე მკერდიდან არ მოგვიკვეთო,*
*ტრფიალი მისი არ განგვიქარვო“.*

საქართველო ბედნიერია იმით, რომ საბედისწერო განსაცდელისას, ყოფნა-არყოფნის ჟამს გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც ჰეროიკული ეპოქების ტრაგიკული გმირის მსგავსად აბობოქრებული ვნებებითა და ყოვლისშემძლე ნებით აერთიანებდა ერს, წინ უძღოდა თავისუფლებისთვის წმიდათაწმიდა ბრძოლაში და ამ ბრძოლაში დაცემული საკუთარი სისხლით ადუღაბებდა ეროვნულ ცნობიერებასა და გამარჯვების რწმენას.

სწორედ ამგვარი გმირები იყვნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, ქრისტესმიერი ძმები, თანამებრძოლები, მწუხარე სახის რაინდები...

თავისუფლებისთვის წმიდათაწმიდა ბრძოლაში დაეცა ორი რაინდი, ორი გმირი...

მერაბ კოსტავა ცოცხალი რომ ყოფილიყო, მას ზვიადთან ერთად ცილს დასწამებდნენ საქართველოს დამაქცევარი პუტჩისტები.

ზვიადს აბრალებდნენ დასახვრეტთა სიების შედგენას, რომელიც გაზეთმა **„საქართველომ“** 1997 წლის 2-5 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა.

გაზეთის შემდეგ ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ნოდარ ნათაძის კომენტარი ამ სიებთან დაკავშირებით, იგი ამტკიცებდა, რომ სია ყალბია და იგი შეთხზულია საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში ან გადაცემულია პროკურატურისთვის დამხობილი ხელისუფლების არაადამიანური ბუნების მხილების მიზნით.

მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ სიების თანაავტორი იქნებოდა!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებდნენ **„მერსედესით“** მგზავრობისათვის...

მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ **“მიუტევებელ ცოდვას”** არც მას აპატიებდნენ!

***პრეზიდენტ გამსახურდიას აბრალებდნენ შევარდნაძესთან ალიანსს...***

***მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ დანაშაულს არც მას აპატიებდნენ!***

***ზვიადს აბრალებდნენ ზოოპარკიდან ეგზოტიკური ცხოველების მოპარვას...***

***აბრალებდნენ ხაზინიდან დიდძალი ფულის მოპარვას...***

***აბრალებდნენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას...***

***აბრალებდნენ გამაჰმადიანებას...***

***აბრალებდნენ სომხურ წარმოშობას...***

არ არსებობს ამ ბრალდებების იოტისოდენა საფუძველი, გარდა ერთისა – ქვეყნის პრეზიდენტი, მართლაც, **„მერსედესით“** მგზავრობდა!

მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ზვიადის ხვედრს გაიზიარებდა, მასაც ყველა დანაშაულს მიაწერდნენ! თვით სომხურ წარმოშობასა და გამაჰმადიანებას (თუკი ეს დანაშაულია)!

სირცხვილი!!!

იმ მწარე სინამდვილემ, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, თავი დაუყოვნებლივ იჩინა. 1992 წლის 4 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში სასწრაფოდ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №749281 პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის 2-ე ნაწილით, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $96^{1}$ მუხლით სხვადასხვა დანაშაულობების ფაქტებზე, როგორც ჩანს, ბატონმა ჩინოვნიკებმა პროკურატურიდან არ იცოდნენ ის, რომ ზვიად გამსახურდია სადისტი მკვლელიც ყოფილა, თორემ ამ დანაშაულს აუცილებლად გაუხსენებდნენ. გაზეთმა **„კრიმინალნაია ხრონიკამ“** (№3 1999 წ.) გამოაქვეყნა ვინმე ჟავორინოვის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დისიდენტობის დროს ზვიად გამსახურდიამ თავისი ეზოს ჭიშკართან ჩაძინებულ მაწანწალას თავი **„ლაფათკით“** მოჰკვეთა (**„ტაპორით“** მაინც მოეკვეთა!) და რომ ეს საშინელი დანაშაული სომეხმა მეზობელმა დაინახა...

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ოფიციალური ბრალდება და გაზეთ **„კრიმინალნაია ხრონიკაში“** დაბეჭდილი ინფორმაცია წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს, იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე...

დღეს რა ხდება? აშკარა დამნაშავეებს ბრალდებასაც ვერ უყენებენ!

როგორც ჩანს, ეს დალოცვილი კოჰაბიტაცია მარტო **„ნაცებისთვის“** არსებობს.

მერაბ კოსტავა ერთგან წერს: **„შემთხვევითი როდია, უმაღლესი ზნეობით აღჭურვილი მეფეების ხელში რომ მიაღწია საქართველომ ძლიერების მწვერვალს... საქართველოს იმჟამინდელი ძლიერება არა მარტოდენ ისტორიული ვითარების, არამედ დავითისა და თამარის მორალური დონის შედეგიცაა“.**

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ მოსულმა უკანონო და უზნეო ხელისუფლებამ საქართველოს ეკონომიკა გააჩანაგა, თუმცა დამხობილ ხელისუფლებას აბრალებდა **„იზოლაციონიზმს“** და ეკონომიკის განადგურებას.

მკითხველს გავაცნობ საქართველოს უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მოხსენებიდან ამონარიდს (**„საქართველოს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ 1991 წლის იანვარ-აგვისტოში“** თბ., 1991 წ., გვ. 16):

რვა თვის განმავლობაში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 29,7 მლნ მანეთის პროდუქცია. რვა თვის გეგმა შესრულდა 111,2%-ით;

ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის მიერ ქვეყნის საზღვრებს გარეთ ექსპორტირებულია 484 ცალი მინიტრაქტორი;

ფოთის გემთმშენებელი ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 386 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები;

**„აზოტმა“** საექსპორტოდ გაგზავნა 10 მილიონ 215 ათასი მანეთის მინერალური სასუქი;

თბილისის საიუველირო ქარხანამ გაგზავნა 651 ათასი მანეთის პროდუქცია;

რუსთავის ამწემშენებელმა ქარხანამ გაგზავნა 158 ათასი მანეთის პროდუქცია;

თბილისის **„გამთიშველი მოწყობილობების“** ქარხანამ გაგზავნა 59 ათასი მანეთის ელექტრონაწილები;

ფოთის ქარხანა **„ელექტროაპარატმა“** გაგზავნა 21 ათასი მანეთის პროდუქცია და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ეროვნული ხელისუფლების არსებობის ძალზე ხანმოკლე პერიოდში ქარხნები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ და პროდუქციას უცხოეთის ქვეყნებში აგზავნიდნენ.

ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ ხელისუფლებას აბრალებდნენ, რომ მან **„ერთან საერთო ენა ვერ გამონახა!“**

***იმ „ყრუ“ ხელისუფლებამ საშუალება გამონახა და დამტკიცებული ბიუჯეტიდან გამოყო 845,9 მლნ მანეთი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის.***

**„ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია მიიმართოს 845,9 მლნ მანეთი, ანუ 59% მეტი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტით.**

**ფიზიკური კულტურის, სპორტის და ტურიზმის შემდგომ განვითარებას 1991 წელს მოხმარდება 30 მლნ მანეთი;**

**მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე დაიხარჯა 65,9 მლნ მანეთი...**

**მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებას მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან მოხმარდება 55,3 მლნ მანეთი, რაც 29,8% აღემატება დამტკიცებულ მაჩვენებელს.**

**პენსიების, დახმარების, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ღონისძიებების გადანამეტი სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანებზე, რაც საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან იფარება, განსაზღვრულია 210 მლნ მანეთის ოდენობით...“** (ეს ამონარიდები მოტანილია უზენაესი საბჭოს სპეციალურ გამოცემაში **„საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლისა და წლის მეორე ნახევრის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესავლისა და გასავლის დაზუსტებისა და მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ“**. თბ., 1991 წ., ივლისი).

მოვიტან კიდევ ერთ მონაცემს. საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებული საკომპენსაციო ხარჯებიდან ყოველ ბავშვზე საკომპენსაციო ოდენობა თვეში 285 მანეთს შეადგენს!

**რა გააკეთეს პუტჩისტებმა ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რომელიც ქვეყანას ასე „უმოწყალოდ აჩანაგებდა“?**

ეს პუტჩისტები ხომ ხელისუფლებაში იყვნენ 1992 წლიდან 2003 წლამდე?

რა გააკეთეს პუტჩისტებმა 12 წლის მანძილზე?

აი, როგორ ახასიათებს ბატონი ნოდარ ჭითანავა **„გამარჯვებული“** ხელისუფლების მოღვაწეობის შედეგს:

**„საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია 1993 წლიდან დაიწყო. ქვეყანას არ ჰქონდა ეკონომიკის მართვის ერთი (გეგმური) სისტემიდან ახალ (საბაზრო) სისტემაზე გადასვლის მეცნიერულად დამუშავებული კონცეფცია. პრივატიზაციის დაწყებისას მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სახსრები არ გააჩნია... პრივატიზაციის პროცესში აღინიშნა ისეთი მოვლენა, რომელიც ცნობილია „ფულის გარეცხვით“. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არასწორი გზით ნაშოვნი ფული გააჩნდა ძირითადი ფონდების დაბალი ფასების გამო „მაღალწონიანი მესაკუთრე“ გახდა...**

**პრივატიზაციამ ხელი შეუწყო სრულიად ახალი თვისებრიობის ჩამოყალიბებას – ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის მკვეთრ დაქვეითებას, ეკონომიკის კრიმინალიზაციის გაღრმავებას. იგი კორუფციის გაფართოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა“** (ნ. ჭითანავა **„გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“**, II ნაწილი, თბ., 1999 წ., გვ. 65, 125, 130, 131).

გაზეთმა **„ლიტერატურული საქართველო“** (№42, 2005 წ.) გამოაქვეყნა ბატონ ნოდარ ლაზარიაშვილის წერილი, რომელშიც აღწერილია ის ფინანსური მაქინაციები, რომელთა საშუალებითაც 1992 წლიდან ხელისუფლება მეანაბრეებს ძარცვავდა. ნაძარცვი თანხა კი მილიარდობით ამერიკულ დოლარს შეადგენს. **„უკვე 1992 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების კუთვნილ ბანკებსა და კერძო ფირმებზე გულუხვად გაიცემოდა სოლიდური სესხები, უმეტეს შემთხვევაში – ყოველგვარი გარანტიის გარეშე. სესხების საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდა თვეში 10-15%-ს, როდესაც საბჭოური მანეთის ინფლაცია ყოველთვიურად აჭარბებდა 50%-ს“.**

როგორც ვხედავთ, ზვიად გამსახურდია და ეროვნული ხელისუფლება იმიტომ დაამხეს, რომ მომხდარიყო სახელმწიფო ქონების დატაცება (**„პრიხვატიზაცია“**), უკანონოდ ნაშოვნი ფულის ლეგალიზება, მსხვილ მესაკუთრეთა ელიტის გაჩენა მოსახლეობის ძირითადი მასის გაღატაკების ხარჯზე, სტრატეგიული ობიექტების, მიწების უცხოელებზე გაყიდვა, ბუნებრივი სიდიდრისა და ისტორიული ძეგლების განადგურება, ქართული ცნობიერების რღვევა, ქართული კულტურის შოუ-ლაზღანდარობად გადაქცევა...

ზემოთ მოტანილი მაქვს მერაბ კოსტავას წერილიდან ამონარიდი, იგი ამბობს, რომ ძველი საქართველოს ძლიერება არა მარტოდენ ისტორიული ვითარების, არამედ ჩვენი მეფეების მორალური დონის შედეგიცაა.

რა მორალის პატრონები არიან ყოფილი პუტჩისტები, ვიცით, რა მორალის პატრონები არიან მათი მემკვიდრენი, ესეც ვიცით!

მაშ, რაისღა იმედი გვაქვს?

საქართველოს საბედისწერო განსაცდელის ჟამი დაუდგა!

ახლა სჭირდება საქართველოს შავლეგოს მომღერალი რაინდები, მაგრამ, ვაგლახ, არამც თუ შავლეგოს სიმღერას, არამედ გეიპარადების წინააღმდეგ ხმის ამოღებასაც გვიკრძალავენ.

რას იტყოდა აკაკი ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელმაც ასე სასტიკად გაყიდა, სასიკვდილოდ გაიმეტა ორი რაინდი და მათთან ერთად – საქართველო.

ილია მეორედ მოკლეს!

ვიცი, მკითხველი მიხვდება, აკაკი რასაც იტყოდა, მაგრამ ამის თქმის უფლება მხოლოდ აკაკის აქვს.

იქნებ ბაზალეთის ტბაში, ოქროს აკვანში წევს მომავალი გმირი? მაგრამ იქ ხომ იეღოვლები ჭყუმპალაობენ?.. არ გამოვა ეს საქმე!

აბა, **„რა ვთქვა, რით გაგახაროთ?“**

თენგიზ კუბლაშვილი

**P.S. დიდი პატივი დამდეს და მთხოვეს, დამეწერა მოგონებები მერაბიზე და ზვიადზე (ფამილიარული არ გეგონოთ, საქართველოში დიდ კაცებს სახელით მოიხსენიებენ). მადლობა რედაქციას. მოგონებებს ვამჯობინე, უტყუარი სტატისტიკური მონაცემებით მეჩვენებინა ის, თუ როგორი საქართველო სურდა ამ ორ ეროვნულ გმირს და რად აქციეს საქართველო 1991 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე.**





ფოტოები, რომელიც პირველად ქვეყნდება, გადაღებულია წერილის ავტორის მიერ

# სამეგრელოს ღირსეული შვილები



## მუშნი დადიანი — სამშობლოს შეწირული რაინდი

როცა წასასვლელად გავემზადეთ, ვნახოთ მიგზავნის ორ მოციქულს, ფეშქაშად მიძღვნის ორას მანეთს, ერთს მშვენიერს ცხენს და მთხოვს ჩემი თოფი დავუტოვო მას, მაშინ მივხვდი, რისთვის მეპატიჟებოდა ასე გულმოდგინედ მასპინძელი და შემდეგ გულითაც რომ მდომოდა, როგორ მოვიცდიდი იქ. მე ბოდიში მოვიხადე, მაგრამ თოფის დატოვებაზე კი უარი ვუთხარი. ან რაფერ შემეძლო დამეტოვებინა იარაღი, როცა მასზედ ვამყარებდი ჩემს იმედებს გაჭივრვებაში. მე და ჩემი თანამგზავრი გამოვემშვიდობეთ მასპინძელს და გავუდექით გზას სოფელ **„ყარტ-ჯურტისაკენ"**. გზაზე შემოგვხვდა ექვსი ცხენოსანი სტრაჟნიკი, ყაზახი რუსები. ისინი მოდიოდნენ ჩვენსკენ. უკვე თავდაღმართზე უნდა დაშვებულიყვნენ, ჩვენ გვყოფდა პატარა მდინარე და ხეობა. ადრე შევამჩნიე ისინი ბინოკლით, დავრწმუნდი, რომ დარაჯები იყვნენ. მოხერხებული ალაგი ავირჩიეთ მე და ჩემმა თანამგზავრმა, ჩავუსაფრდით, ცხენები ძირს, ღელესთან დავაბით და მოვუშვით ახლოს. ორივემ თოფები მოვიმარჯვეთ და როცა ისინი ასი ფეხის ნაბიჯზე მოგვიახლოვდნენ, დავუძახეთ, რომ ხელები აეწიათ მაღლა თუ სიკვდილი არ უნდოდათ, რაც იმ წამსვე შეასრულეს. თოფები გადაკიდებული ჰქონდათ, ისე ხელებაწეულები ჩავატარეთ, უკან არ მოვახედვინეთ და როცა დაგვშორდნენ, ჩვენს ცხენებს მოვაჯექით და გზას გავუდექით. ისინი არ დაგვდევნებიან, ისე შეშინდნენ. იმ ღამეს ვიარეთ და გათენებისას მივადექით, ყუბანის სათავესთან რომ ვერცხლის დასამუშავებელი ქარხანაა. აქ ვნახე ინდაურის მსგავსი აუარებელი ფრინველი. ძალიან მოვინდომე მენადირნა, მაგრამ ახლოსაც არ მიმიკარეს, ისეთი ფრთხილები იყვნენ. დავისვენეთ ერთ მეჯოგესთან, ცხენებს ვაჭამეთ, ჩვენც გამოვიძინეთ. შემდეგ დავნაყრდით და გზას გავუდექით.

**მუშნი დადიანი**

## ზოგი რამ დადიანთა საგვარეულოზე

*ბატონმა პაატა ქურდოვანიძემ სხვა, მეტად საინტერესო მასალებთან ერთად, გადმომცა მის მიერ მომზადებული ათგვერდიანი ტექსტი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს თვით მუშნი დადიანს, ამაში გვარწმუნებს მისი საყვარელი ძიძის, ივლიტას ხსენება და სხვა წვრილმანებიც. ზოგი რამ, ვარიანტულად, მეორდება მუშნი დადიანის 1924 წლის 13 მარტის დღიურში. ეს ქრონიკა მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს სამეგრელოსა და სვანეთის ურთიერთობაზე რუსეთის იმპერიასთან, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მთელი შეგნებით ქართველი ადამიანის, თავისი მრწამსის მსხვერპლის, მიხეილ შარვაშიძის პიროვნულ ღირსებებზე. ნათქვამია ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან ჩვენს ახლობლურ დამოკიდებულებაზე; ცოცხალ სურათებშია წარმოდგენილი რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა, როდესაც რუსეთი ცეცხლითა და მახვილით იპყრობდა ურჩ კავკასიას.*

*გაკვრით, მაგრამ ნაჩვენებია ის გულისშემძრავი, საშინელი მოვლენა – მუხაჯირობა – როცა კავკასიის, მათ შორის საქართველოს მკვიდრი მაჰმადიანები მშობლიურ კერას, ქონებას ტოვებდნენ, რათა ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ.*

*წინამდებარე მასალა, ბუნებრივად უკავშირდება იმ ყოფას და გარემოს, სადაც გვანჯი ჩიქოვანს, ჭკადუაშის მკვიდრსა და დადიანების ახლობელს, უხდებოდა ცხოვრება.*

**ე.კ.**

კოწია გიორგის ძე დადიანი დაიბადა 1847 წლის მარტის თვეში. სწავლა-განათლება არსად მიუღია. ქართული წერა-კითხვა ისწავლა მისის მამის სასახლის მღვდლისაგან, უკვე განსვენებულის დავით მაჭავარიანისაგან, რომელიც შემდეგ ბლაღოჩინად იყო სამურზაყანოში, სოფ. ოქუმში. კოწია გიორგის ძე დადიანი გარდაიცვალა 1903 წელს, დაბა ზუგდიდში, 19 მარტს. დედამისი იყო სვანეთის მთავრის ისლამ დადეშქელიანის ასული. მამა მისი გიორგი თავის დროზე სახელოვანი კაცი მთელს სამეგრელოში. გიორგის მამა, დიდნიკოდ წოდებული ყოფილი მმართველი სამეგრელოსი, ცნობილია, როგორც ისტორიკოსი, მწიგნობარი და ვარსკვლავთმრიცხველი. სხვათა შორის, ავტორი **„დასტურ-ლამასი"** ანუ როგორ უნდა ხალხს მართვა. დიდი ნიკოს ოჯახი იყო სკოლა მთელს სამეგრელოში ქართული ენისათვის, თუ შეიძლება ასე სთქვას კაცმა. მამია გურიელი, ცნობილი პოეტი, გახლდათ დისწული გიორგი დადიანისა, გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე უკანასკნელის აფხაზეთის მთავრის შვილი, ცნობილი პოეტი და ქართული ლიტერატურის ზედმიწევნით მცოდნე, არის დისწული კოწია გიორგის ძის დადიანისა, რომლის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე პიესა. სხვათა შორის, **„გიორგი მესამე"** წლეულს დაიბეჭდა გაზეთ **„სამშობლოში".** თვითონ კოწია დადიანი იყო ძლიერ ნიჭიერი კაცი და კარგი ქართველი. უკანასკნელი მისი სიტყვა სულის ამოხდის დროს იყო შემდეგი: **„ღმერთო გევედრები ჩემის ცოდვილის პირით გაუმარჯვე ჩემს საყვარელს სამშობლო საქართველოსო".**

ამისი მოწმე გახლდათ ექიმი პანაევი, თავადი მიშო მელიტონის ძე დადიანი და ფერშალი დიომიდე კეკელიძე, თვით შვილი კოწიასი, მუშნი და ბარნაბა მიხაილის ძე ლორთქიფანიძე. მისი ნაწერები იბეჭდებოდა ჟურნალ **„ივერიაში"** ოთხმოციან წლებში და სხვა ჟურნალებში.

**რაც ვიცი და გამიგონია სარწმუნო წყაროებიდან, მინდა ჩავწერო დღეის რიცხვიდან ამ რვეულში ჩემს წინაპრებზე, დიდი ნიკოდან დაწყებული ჩემამდე.** – **1913 წლის 28 აპრილი.**

დიდი ნიკო გიორგის ძე დადიანი – პაპაჩემი, ისტორიკოსი – მემატიანე, დაიბადა 17.. წელსა, გარდაიცვალა 1834 წელსა. იყო კაცი ფრიად განათლებული. სხვათაშორის მას ჰქონია შედგენილი წიგნი ვარსკვლავთმრიცხველობაზე. ეს უნდა იყოს დათა აგიაშვილის მემკვიდრეების ხელში.

მე თვითონ განსვენებულის დათა აგიაშვილისაგან ვიცი. ეს წიგნი მე მაქვსო, – მითხრა მან.

ნიკომ დასწერა **„დასტურ-ლამა"**, ანუ როგორ უნდა ხალხს მართვა. მასვე ეკუთვნის ლექსი, რომელიც ასე იწყება: **„ვინც აღმკვნა ცანი მარადიანი, მით ვფლობ ქვეყანას მე დადიანი"**. რამოდენიმე მისი ლექსი და იამბიკო მე წამაკითხა ბიძაჩემმა დავით დადიანმა.

დიდი ნიკო თავის დროზე მთელის მენგრელიის ბედ-იღბალს განაგებდა. ჟამსა მცირე წლოვანებისასა ლევან გრიგოლის ძე დადიანისა, როდესაც ესე ლევანი მძევლად ჰყავდა აფხაზეთის მთავარსა, ნიკო იყო რეგენტი – გამგე – მთავარი ოდიშისა.

დიდი ნიკო იყო გამგზავრებული პეტრეს ქალაქში, რათა მფარველობა ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის, რაიც დიდის სიამოვნებით მიიღეს და მისი **„მეოხებით"** სამეგრელომ რუსეთს შეაფარა-შეავედრა თავი. მასვე ახლდა ბეჟან დადიანი, აზნაური გუგუშვილი და ერთიც მღვდელი ჭალაგანიძე (სახელი არ მაგონდება) დაჯილდოებულ იქმნა გენერალ-მაიორის ჩინით, შესაფერისი ორდენით და პენსიით, ბეჟანს მისცეს პოლკოვნიკობა, დანარჩენებს კიდო ჩინი და ორდენი. ერთი სიტყვით, ყოფილა დეპუტაცია სამეგრელოდან 1801 წელს. ასე დააჯილდოვეს პაპაჩემი მისვლისთანავე და სხვები ჩინ-ორდენებით. **„მფარველობა"** კი რუსეთის ტახტისა თუ რაში გამოიხატა როგორც სამეგრელოზე, ისე დანარჩენს ივერიაზე, ეს ცოტათი მეც ვიცი და გაშუქება-გამოქვეყნება მისი მომავლის საქმეა.

როცა მთავრობა ლევანმა ჩაიბარა და დაწლოვანდა, დიდი ნიკოს დაუკითხავად მაინც არას სჩადიოდა.

ბ-ნი ბოროზდინი ეძახის დიდ ნიკოს პირველ ვეზირს (Первый Министр) და შესანიშნავთა სამთა ძმათა, ძეთა დიდი ნიკოისა გიორგისა, ბესარიონსა და პეტრეს უწოდებს „Три мушкетёра"-დ. ამაზედ არც ღირს ლაპარაკი და არც იმ ბოროზდინის **„მშვენიერს წიგნზე",** სადაც ის, როგორც ღვთისანაბარა კაცი, ბედისაგან გადმოსროლილი ჩვენს ქვეყანაში, არამცოდნე ერის ზნე-ჩვეულებისა, არც მთლად ზუსტად გადმოგვცემს მაშინდელს ფაქტებს სამეგრელოზე, სვანეთზე, აფხაზეთზე. ეს კაცი მასწავლებელი იყო ნიკო დავითის ძის დადიანისა, ცნობილია თავისი უცნაურობით, რომელმაც უარყო თავისუფლება მთავრის 1862. სწავლა დიდმა ნიკომ სად მიიღო, დანამდვილებით არ ვიცი, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ის ყოფილა კაცი ფრიად სწავლული, განათლებული და მწიგნობარი. ოჯახი მისი კერა იყო ჟამსა მასა ოდიშსა შინა გონებისა და ზნეობისა. ის მოსწამლეს ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე, მიზეზი კი მგონია იგივე იყო, რაც მთავრის, გრიგოლის მოწამვლა რუსეთთან დაახლოვებისათვის კათოლიკე მისიონერებისაგან, ასე ვიცი მამისა და ბიძისაგან. დიდი ნიკო დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, სადაც დღეს მის საფლავს, როგორც მწყემსმთავარმა ლეონიდმა აღნიშნა თავის წერილში ოტია დადიანთან, ხეირიანი ქვაც არ ადევს და სოფლის ნახირის საჯიჯგნად გამხდარა. დიდი ნიკოს ჩამომავალ დადიანებს გვეძახიან ნოღელებს, ამაზედ ლექსიც კია დარჩენილი: **„პატონისქუა ნოღური, დუო გინორძ ნოყური, მანჩა ქალგოყვილესი მუღოლი სქანი ლეკური".***

**„თუმცა ვინ მოკლა მანუჩარ, არ ვიცი, არც ვინ იყო იგი".**

მისი შესანიშნავი სამი შვილი — გიორგი, ბესარიონი და პეტრე, რომელთაც ბოროზდინი „Три мушкетёра"-დ ნათლავს, მთელს იმერეთ-ოდიშ-ლეჩხუმში განთქმულნი იყვნენ, როგორც საუკეთესო ადამიანები ყოველის მხრით, მათი სახე და სიტყვის მახვილობა, მათზე თქმულება დღესაც ცოცხალია ხალხში. პეტრეს ნათქვამია: სწავლა – სტუმარია, ჭკუა კი მასპინძელი და მათი შეთანხმება-შეწყობა ძნელია, თუ მასპინძელი მწყრალად დაუხვდა (პეტრეს ნათქვამი სწავლა-განათლებაზე), რომელიც აკაკის ლექსად აქვს ნათქვამი: **„სწავლა სტუმარს ჰგავს მომსვლელსა, ჭკუა კი მასპინძელია, თუ სტუმარს მწყრალად დაუხვდი, მათი თანხმობა ძნელია".**

ერთხელ პეტრე ქუთაისში ჩამოსულა ზურაბ ბარძემიშვილის სასტუმრო **„ბათომში"**, მიამბო თითონ ბარძემიშვილმა. დავფაცურდი, რომ დიდებულს სტუმარს კარგად დავხვედროდი. მოაწია სადილობის დრომ. **„ზურაბ, თუ გიყვარდე, რას მაჭმევ დღეს". „ა, ჩემო ბატონო, „კარტიჩკა", ინებეთ, რაც გინდათ, ამოირჩიეთ". „მე რომ რუსულის კითხვა არ ვიცი".** მოუყევი მე თითონ სხვადასხვა რჯულის საჭმელების დასახელება. „фазан", რა ქვია „фазан"-ს – ბატონო, ხოხობი გახლავს. **„ღმერთმა კარგი დაგმართოს, აბა, ხოხობი მაჭამე".** მანემ სხვა საჭმელები მივართვი. ზის და უყურებს პეტრე ხოხობის მოტანას. ალბათ დიდმა ხანმა განვლო, რომ დიდი მოთმინების პატრონი პეტრე შემეკითხა, ცოტა არ იყოს მოთმინებიდან გამოსული, — **„კაი ხანია, ზურაბ, სახოხბედ რომ კაცი გაგზავნე?!"** ბევრი რამე ამ წამში არ მაგონდება. პეტრეს სიდინჯე, მისი სწორი შეხედულება ცხოვრებაზე, მისი სიბრძნე საარაკო იყო თურმე. არც გიორგი და ბესარიონი იყვნენ მათზე ნაკლები ამეებში. პეტრეს ცხოვრება მყუდროდ მიმდინარეობდა, ის თითქო შეეგუა **„ახალმოსულთა"** კანონს, მართვა გამგეობას. გიორგი და ბესარიონი კი ვერ შეეწყვნენ, უკეთ ვსთქვათ, ველარ შეურიგდნენ **„ახალ მფარველთა"** ზნე-ჩვეულებას და მოთხოვნილებას, თუმცა მთავრობამ ორივეს ჩინი და ჯამაგირი დაუნიშნა. ერთს დროში საქმე ისე გამწვავდა, რომ გიორგი და ბესარიონი იძულებული გახდნენ გარდახვეწილიყვნენ სვანეთში.

სამეგრელოში მდგომი ჯარის უფროს გენერალ – ესპეხოვს ბრძანება მოუვიდა – დაიჭირე და წარმოგვიდგინე ხელმწიფისა და მენგრელიის მთავრის ურჩი გიორგი დადიანი. ბოროტი ენები ამბობდნენ, თითონ მთავარმა დავითმა დააბეზღა რუსებთანო. დაბა ზუგდიდში შემთხვევით ჩამოსულ გიორგის ეხლანდელს რუსების ეკლესიაში მყოფს წრე შემოავლეს ჯარისკაცებმა, თითონ გენერალ ესპეხოვი ეკლესიაში შევიდა და თარჯიმანის პირით გამოუცხადა გიორგის, კანონის ძალით დაჭერილი ხართო, მაგრამ გიორგიმ იძრო ხანჯალი, გაიგდო წინ გენერალი და შეშინებულს მასვე მოახსნევინა შემოვლებული წრე სალდათებისა. ვინ იცის, საქმე რითი გათავდებოდა, მაგრამ მას მოეშველა სამასი იარაღში ჩამჯდარი სამურზაყანოელნი თავადის, სესირყვა ემუხვარის მეთაურობით, რომელნიც რაღაცა საქმისა გამო ამ დღეს გიორგისდა ბედად მოხვდნენ ზუგდიდში და მათის შემწეობით გიორგი სამშვიდობოს გავიდა. მოაშურა სოფელ ჭკადუაშს, აჰყარა ცოლ-შვილი, მოადგა ნოღის ციხეს და სასახლეს, მიალაგ-მოალაგა ყოლისფერი და თავის უმცროსის ძმის, ბესარიონის თანხლებით გაუდგა სვანეთის გზას ტეხურის ხეობით. ეს მოხდა შუაგულ ზამთარში 1834-35 წლებში.

**ემზარ კვიტაიშვილი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს ქსენია აბულაძეს შვილის

თამაზ ფიფიას

გარდაცვალების გამო.

# ერთი უღირსი და სამარცხვინო პუბლიკაციის კვალდაკვალ

*„როცა ქალი სინდისისგან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას."*
**ხალხური**

ამის გაკეთება, ვიმეორებ, არ შეიძლებოდა: უმაღლეს საბჭოში ქართულ და აფხაზურ ფრაქციათა წარმომადგენლებს შორის მუდმივი დიალოგი უნდა ყოფილიყო, რაც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს შიდარეგიონალური პოლიტიკური კონფლიქტის ელფერს ანიჭებდა და მისი ქვეყნის გარეთ გატანა და ინტერნაციონალიზაცია დაუშვებელი იყო – აფხაზურ მხარეს ხელისუფლების ასეთი არაგონივრული და წინდაუხედავი ნაბიჯი ხელ-ფეხს უხსნიდა, შესაძლებლობას აძლევდა გამოსულიყვნენ 1978 წლის კონსიტუციის ჩარჩოებიდან და აღედგინათ 1925 წლის კონსიტუცია, რაც მათ სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს სტატუსს ანიჭებდა, რაზეც არაერთგზის მითქვამს და წერილითაც მიმიმართავს ბატონ ედუარდ შევარდნაძისთვის, რასაც დამიმოწმებს, ალბათ, ქვეყნის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი, ბატონი ოთარ ფაცაცია.

ასე რომ, ქვეყანაში ამ ერთადერთი ლეგიტიმური სტრუქტურის დაშლა შეცდომა კი არა, ღალატის ტოლფასი ქმედება გახლდათ. ამას, ყოველ შემთხვევაში, წინდახედულ სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამაზე მიუთითებდა სწორედ აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტიც ე. შევარდნაძეს, 1994 წელს, მისი გაეროში გამოსვლის დროს.

სწორედ ამის კვალობაზე, 1994 წლის 9 მაისს ე. შევარდნაძესთან ჩემი შეხვედრის და თითქმის ერთსაათიანი პირდაპირი საუბრის დროს გადაწყდა ფრაქცია **„დემოკრატიული აფხაზეთის"** საქმიანობისა და ქართული დეპუტაციისთვის უფლებამოსილების აღდგენის საკითხი: **„ჩემთან არის ნაპო, შემოდის საინტერესო წინადადებით, უნდა აღვადგინოთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულ დეპუტატთა ფრაქცია. გადმოვა შენთან, მოუსმინე მას და იმოქმედეთ ისე, როგორც გეტყვის"** – ასეთი იყო ე.შევარდნაძის თ. ნადარეიშვილთან სატელეფონო საუბრის ბოლო სიტყვები, მაგრამ ბატონმა თამაზმა ეს ყველაფერი თავის თავზე მოირგო და დეპუტატთა ფრაქციის აღდგენის ნაცვლად, ისევ სამართლებრივად არაკანონიერი – უმაღლესი საბჭო ჩამოაყალიბა.

რაც შეეხება იმას, რომ აფხაზეთში არასდროს დამდგარა საკითხი პარალელური სამთავრობო სტრუქტურების შექმნის შესახებ, როგორც ურცხვად გვაუწყებს ქ-ნი რაისა, ეს მისი კიდევ ერთი გამაოგნებელი სიცრუეა! სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო და ამიტომ ეს მოითხოვს ამ საკითხის დეტალურად განხილვასა და გააზრებას.

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ქართული დეპუტაციის მცირე ნაწილის ძალისხმევის შედეგად, ვერც პარალელური მინისტრთა საბჭო და ვერც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა აფხაზეთში. ქართულ დეპუტატთა ფრაქციის წევრებმა და მის ბაზაზე არალეგიტიმურად შექმნილი პარლამენტის 1992 წლის 29 ივლისის სესიის დამსწრე საზოგადოებამ იცის ეს და იცის ისიც, თუ ვისი ძალისხმევის შედეგად ვერ მოხერხდა იგი. არადა, დექსტრუქციულ ძალებს საამისოდ ყველაფერი ჰქონდათ მზად: შეიქმნა ცნობილი იურისტებისა და ყოფილი პარტიული და საბჭოური მოხელეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა აფხაზეთის 1978 წლის მოქმედი კონსტიტუციის შესწორების პროექტი და დებულებები აფხაზეთში პარალელური მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურების შესაქმნელად. იმ დროისთვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ქართული ფრაქციის ბაზაზე, როგორც ითქვა, უკვე იყო შექმნილი ე. წ. აფხაზეთის პარალელური პარლამენტი და ახლა აფხაზეთის მოსახლეობის ქართული ნაწილისთვის (კარგად დააკვირდით!) – აფხაზეთის ქართული მოსახლეობისთვის ცალკე მინისტრთა საბჭოს ჩამოყალიბება უნდოდათ. პატარა აფხაზეთში ორი მინისტრთა საბჭო: ერთი აფხაზებისთვის, ხოლო მეორე – ქართველებისთვის და მათი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, პარალელური ძალოვანი სტრუქტურები: პროკურატორა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამსახური და სხვა!...

კიდევ ერთხელ კარგად ჩაუფიქრდით, რა მასშტაბის ავანტურისტული ნაბიჯი იგეგმებოდა – ეს უკვე პირდაპირ გამოწვევას ნიშნავდა! აფხაზეთში, სადაც საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია, მხარეებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება, საერთო დაძაბულობა პიკს აღწევდა და ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა, უმაღლესი საბჭოს ქართული ნაწილი, თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით, და ე. წ. ეროვნული ერთიანობის საბჭო დესტრუქციული საქმიანობით იყო დაკავებული, რომელიც პირდაპირ ომისკენ უბიძგებდა მოსახლეობას! ყველანი უფსკრულის პირას ვიმყოფებოდით! ოფიციალური თბილისი კი კვლავინდებურად სდუმდა. ეს მას, როგორც სჩანს, ხელს აძლევდა!

მას შემდეგ, რაც ქართულმა ფრაქციამ დატოვა პარლამენტი და გადასახლდა სინოპში, ე.წ. **„გოსდაჩაზე"** და თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით ჩამოყალიბდა სამართლებრივად არაკონსტიტუციური პარლამენტი, მე პროტესტის ნიშნად, როგორც უკვე ავღნიშნე, დავტოვე იქაურობა და მთლიანად გადავერთე პროფესიონალურ საქმიანობაზე.

ასეთ დროს, კერძოდ, 1992 წლის 28 ივლისს, ღამის თორმეტ საათზე მირეკავს დეპუტატი აკაკი გასვიანი და გადაუდებელ შეხვედრას მთხოვს. მას თან ახლავს ცნობილი ჩეკისტი ბათო სალინაძე. მათგან ვიგებ, რომ 29 ივლისს ტარდება ე.წ. ქართული პარლამენტის სესია, რომელიც აფხაზეთში პარალელური ქართული მთავრობისა და მისი სტრუქტურების შექმნას ეძღვნება. მათი თხოვნით, დავურეკე თამაზ ნადარეიშვილს და შევხვდი მას ღამის 1 საათზე და მოვუყევი, რაც შევიტყვე ბატონი აკაკი გასვიანისა და ბატონი ბათო სალინაძისგან – პარალელური მთავრობის, მისი ძალოვანი სტრუქტურების შექმნას, სოხუმის რაიონის რაიკომის ყოფილ შენობაში ან მაჭარკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. **„მრეო"**-ს შენობაში მათი განთავსების შემთხვევაში, აფხაზური მხარის მიერ ისინი ჰაერში იქნებიან აყვანილი და ამით აფხაზეთში ომი დაიწყება, ეს დასტურდება სხვადასხვა წყაროებით-მეთქი. **„მერე რა, დაიწყოს მერე!"**, თქვა მან და მიიხურა ეზოს კარები!

მეორე დღეს, დილის ათ საათზე, მივდივარ ე.წ. **„გოსდაჩაზე"**, სადაც უნდა ჩატარებულიყო ეს ავადსახსენებელი სესია. აქ ხალხმრავლობა იყო. გამოჩნდა გივი ლომინაძეც. იგი გავიყვანე ცალკე და ჩვენს შორის, ყველას თვალწინ, ხანგრძლივი და პირუთვნელი საუბარი შესდგა. დეტალებზე არ შევჩერდები, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ იგი დავიყოლიე და ვურჩიე: საჩქაროდ გასცლოდა იქაურობას, თუ არ სურდა მის სახელს დაკავშირებოდა ომის დაწყება აფხაზეთში. ამ დროს ამოვიდა უშიშროების სამსახურის უფროსი ავთანდილ იოსელიანიც. ახლა მან გამიხმო განზე და შეშფოთებული მიყვება დეტალებში იმას, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სესიის მოსალოდნელ დადგენილებას. მისი ნათქვამი ტყუპისცალივით ემთხვეოდა იმას, რაც წუხელ შევიტყვე ბატონი აკაკი გასვიანისა და ბატონი ბათო სალინაძისგან, მაგრამ არ გავუმხილე მას და შევეცადე გადამემოწმებინა, თუ რა წყაროებს ეფუძნებოდა მისი ინფორმაცია; დავრწმუნდი, რომ ორივე ინფორმაცია იყო დამოუკიდებელი და სარწმუნო. ყოველივე ეს გავანდე აკაკი გასვიანს, კიმი ჯაჭვლიანს და ჯემალ გამახარიას. ვთხოვე მათ მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დამჭირდებოდა სესიის მსვლელობის დროს. ყოველ შემთხვევაში საქმეში არ უნდა ჩარეულიყვნენ ჩემი მინიშნების გარეშე.

სესია თამაზ ნადარეიშვილმა გახსნა და სხდომა დაიწყო. ის იყო, შეუდგა დღის წესრიგის დამტკიცებას, ვთხოვე სიტყვა პროცედურის შესახებ. ამით ვისარგებლე და დავასაბუთე, რომ წარმოდგენილი პროგრამით დღის წესრიგი არ უნდა დამტკიცებულიყო. მოვახსენე დეპუტატებს და დამსწრე საზოგადოებას, რომ ეს იქნებოდა საბედისწერო შეცდომა, რასაც ომი მოჰყვებოდა აფხაზეთში.

ბატონი თამაზი, ეტყობა არ მოელოდა ამას, და მეტად გაფიცხდა, შემომიტია – მე კი არ ვთმობდი და ჩვენს შორის ასეთი შეკამათება დაპირისპირებაში გადაიზარდა: მე არ ვეთანხმებოდი მის პოზიციას და მომყავდა არგუმენტები მის მიერ ჩაფიქრებული მიზნების გასაქარწყლებლად. დეპუტატები გაოგნებული იყვნენ – არ იცოდნენ, რა ექნათ, ვის მიმხრობოდნენ. თუ ვინმე გამოვიდოდა ნადარეიშვილის პოზიციის გასამყარებლად, მაშინ დაუყოვნებლივ გამოვიდოდნენ ჩემი მომხრეები: აკაკი გასვიანი, კიმი ჯაჭვლიანი და ჯემალ გამახარია, მაგრამ მათ ჯერ თადარიგი ეჭირათ, რადგან არ ჩანდნენ ბატონ თამაზ ნადარეიშვილის მომხრეები! ამდენად, სხვა არავინ არ ჩარეულა ჩვენს შეხლა-შემოხლაში. ბატონი თამაზი იმდენად გამწარდა, რომ მოღალატედაც გამომაცხადა, მაგრამ ამან არ დამაკარგვინა წონასწორობა. მან ბოლოს და ბოლოს დათმო პოზიცია, როდესაც ნახა, რომ საკითხისადმი ჩემს მიდგომას იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ ბატონი ავთანდილ იოსელიანი და (ყველას გასაოცრად!) თვით გივი ლომინაძეც.

აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემი ყოფნისა და საქმიანობის ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ეს ფაქტი მიმაჩნია! მაშინ ვირწმუნე, რომ ერთ კაცსაც, თუნდაც მარტოობაში, ბევრი შესძლებია!

შემდეგაც იყო პარალელური სამთავრობო სტრუქტურების შექმნის არაერთი მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდებოდა მაგრამ მან უფრო კულუარული ხასიათი მიიღო და ახლა უკვე არა პარალელური ქართული მთავრობის შექმნას სცდილობდნენ, არამედ აქცენტები გადატანილი ჰქონდათ უფრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ მიმართულებით მიდიოდა სეპარატისტული მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან სწორედ იმ დროს, როდესაც მე ვცდილობდი, რომ ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიციები, როგორიცაა შს სამინისტრო და სოხუმი ან გაგრა, ქართველების განმგებლობაში რომ ყოფილიყო. მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ, თურმე, საზოგადოება **„სოხუმელები"**-ს წარმომადგენლები თმობდნენ აღნიშნულ მეტად მნიშვნელოვან პოზიციებს: «Чего ты убиваешся за МВД, когда ваши «Сухумчане» согласны уступить и МВД и Гагры, если главой Правительства будет назначен их представитель, а твой Надареишвили готов все отдать – и МВД, и Сухуми, и Гагры лишь бы он был Председателем?!» – მეუბნებოდა კონსტანტინ ოზგანი.

როდესაც ვერ მიაღწიეს საწადელს და გაირკვა, რომ აფხაზური მხარე ამ საკითხებში კომპრომისს არ დაუშვებდა, თ.ნადარეიშვილი, დეპუტატთა მცირე ჯგუფთან ერთად, ეწვია **„გოსსაბჭოს"** ლიდერებს და დაარწმუნა ისინი იმაში, რომ აფხაზეთი ბორბლებზე იყო შეყენებული და ფსოუს იქით რომ გადაჰქონდათ აფხაზებს! ასე და ამგვარად, ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურების ხელშეწყობით ტანკები იქნა შემოყვანილი აფხაზეთში!

ის, რასაც ვერ მიაღწიეს ომამდე, რეალიზებულ იქნა ომის დროს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქართულმა ნაწილმა, თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით, ჩაშალა დეპუტატთა ფრაქციის ერთ-ერთი სხდომა, სადაც, ჩვენი ჯგუფის (აკაკი გასვიანი, კიმი ჯაჭვლიანი, და ჯემალ გამახარია) წინადადებით, უნდა განხილულიყო საკითხი, ქართულ დეპუტატთა ფრაქცია **„დემოკრატიული აფხაზეთი"**-ს ბაზაზე, დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის (აღმასკომის) შექმნის შესახებ: შემუშავებული გვქონდა მისი წესდება და საქმიანობის რეგლამენტი, რომლის თანახმად, ხელმძღვანელად და კომიტეტის წევრებად დაინიშნებოდნენ ისევე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლები – თავმჯდომარედ ბ-ნი თ. ნადარეიშვილი, ხოლო გ. გვაზავა, ვ. ყოლბაია და ე.ასტიმიროვა კომიტეტის წევრებად. ისინი ინარჩუნებდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრისა და დეპუტატის, როგორც ყველა დანარჩენი, უფლებამოსილებას. ასეთი ნაბიჯი იმ დროს, ომის პერიოდში მეტად გონივრული და პოლიტიკურად წინდახედული ნაბიჯი იქნებოდა, რამეთუ არ ვქმნიდით აფხაზების გარეშე ახალ სამთავრობო სტრუქტურებს და ამით ვიტოვებდით მათთან მისასვლელ გზებს – მხარეებს შორის დიალოგის აღდგენისა და კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას, მაგრამ თამაზ ნადარეიშვილმა, დეპუტატთა დესტრუქციულ და ექსტრემისტულად განწყობილ ნაწილთან ერთად, ჩაშალა დეპუტატთა ფრაქციის ეს სხდომა და, მიუხედავად ჩემი ხვეწნა-მუდარისა, არ გადაედგათ ასეთი ნაბიჯი, გადავიდნენ მთავრობის სხდომათა დარბაზში, სადაც ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავყრილობა მიმდინარეობდა.

ეს იყო დეპუტატების მიერ თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოსილების უგულვებელყოფა, კონსტიტუციური ლეგიტიმურობის ჩანაცვლება საქმოსნების, ყოფილი პარტოკრატების, საბჭოური მუშაკებისა და სხვა მოხელეებისგან შემდგარი სახელდახელოდ შექმნილი აუდიტორიის შეუზღუდავი უფლებებით: იყო **"ბეტეერები"**, შეიარაღებული ჯარისკაცები, გამოსვლები, მომიტინგეთა კენჭისყრაც, ოვაციებიც. ერთი სიტყვით, იყო ყველაფერი, რაც ხდება პუტჩის დროს და როდესაც **„ბელადს"** ირჩევენ მომიტინგე აუდიტორიაში. არ იყო მხოლოდ ერთი რამ – ელემენტარული ადამიანური ღირსება და მორალი, პასუხისმგებლობის გრძნობა და, უბრალოდ, სინდისის ქენჯნა ყოველივე მომხდარის გამო!

შემდეგ პრესითა და ტელევიზიით ქვეყნის საზოგადოებას მიეწოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა ჩატარდა დეპუტატთა ფრაქცია **„დემოკრატიული აფხაზეთის"** ბაზაზე არსებული **„პარლამენტის"** სესიის ღია სხდომა ფართო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თამაზ ნადარეიშვილი. ასე აიტაცეს პუტჩისტ-მომიტინგეებმა თამაზ ნადარეიშვილი ხელში და აიყვანეს მე-2-დან მე-12 სართულზე და დასვეს იმ კაბინეტში, სადაც ოდესღაც ისხდნენ არხიპ ლაბახუა, ავთანდილ საყვარელიძე, იუზა უბილავა, გივი ანჩაბაძე... ეს უბედურება იყო! ამით მოიჭრა აფხაზურ მხარესთან მისასვლელი გზები!

აი რა ფარსსა და უზნეობას ჰქონდა ადგილი და რის ფასად ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურებმა და ქართულ დეპუტატთა ფრაქციის ნაწილმა, რომლის აგრესიულ და ანტიაფხაზურად განწყობილ ფრთას წარმოადგენდნენ ქალბატონები ე. ასტიმიროვა, რაისა ქარაია და მათი ძმადნაფიცი თემურ მჟავია, მაინც მიაღწიეს საწადელს!

სამწუხაროდ, მათ სახეებზე, როგორც ხედავთ, არც დღეს შეინიშნება მონანიების ნიშანწყალი! მაშინ კი მომხდარი ფაქტი ყველამ კანონიერად მიიღო. ეს ფარსი არავის გაკვირვებია. ისევე, როგორც სახელმწიფო საბჭოს მიერ ამ უკანონობის დაკანონება გაკვირვებია ვინმეს. ან რა იყო გასაკვირი იქ, სადაც ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა, სადაც კანონი არ კანონობდა და არაკონსტიტუციური ქმედება კანონის ძალას იძენდა და ყოველივე ეს ავტომატიანი **„დემოკრატების"** ძალისხმევითა და ამოდგომით ხორციელდებოდა.

აი, ასე, ვიმეორებ, ეს ერთი მაღალი და მისგან მეტნაკლებად დამოკიდებული ბევრი სხვა თბილი სავარძელი, ცნობილი გარემოებებისა და მიზეზებთან ერთად, გახდნენ ყველა ჩვენი უბედურების თავი და თავი! ეს რომ არა, აფხაზეთში ომი გარდაუვალი არ იყო!

აი, ეს არის სიმართლე და დასრულებული სურათი იმისა, თუ რა ხდებოდა დეპუტაციაში და მისირგვლივ, საერთოდ აფხაზეთში. ამ დროს ეს ქალბატონი ცინიკურად და უმეცრად საუბრობს ათასგვარ სისულელეებზე. სწორედ ამან მიბიძგა ამეღო კალამი და მეთქვა ხალხისათვის სრული სიმართლე.

რაც შეეხება თავად ქალბატონ რაისას, ვფიქრობ მისმა პორტრეტმაც მიიღო დასრულებული სახე და ამით ის უფრო ცნობადი გახდა ფართო საზოგადოებისთვის, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის!

აქ მახსენდება დიდი შექსპირი და მისი მკაცრი ვერდიქტი ქალების მიმართ: «Ничтожество – вам, женщины, имя!» ძალზე გაოცებული დავრჩი მაშინ, როდესაც ამოვიკითხე ეს სიტყვები მისი ნაწარმოებიდან. არ ვეთანხმებოდი და დღემდე არ ვიზიარებ ამ გენიოსის მოსაზრებას: როგორ შეიძლება ასე ხელაღებით ისაუბრო ქალებზე, საერთოდ – ჩვენს დედებზე, დებზე და სხვა ახლობლებზე? ბოლოსდაბოლოს რამდენია გამოჩენილი ქალი ცხოვრების სხვადასხვა დარგში – მეცნიერებაში, ლიტერატურაში თუ ხელოვნებაში. ცოტა მოგვიანებით ოდნავ დავმშვიდდი, როცა წავაწყდი ამ სიტყვების ივანე მაჩაბლისეულ ვერსიას: „არარაობავ, დედაკაცი, უნდა გერქვას შენ!"

კაცის ცხოვრებაში დგება, თურმე, ისეთი წუთები, როდესაც გაიძულებენ, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ან იშვიათად, მაგრამ მაინც, თავადაც გიჩნდება სურვილი წარმოსთქვა ეს სიტყვები, რამდენადაც შეიძლება, ხმამაღლა – ყველას გასაგონად!

**ნაპო მესხია,**
**პროფესორი**

# სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეულნი

(ეძღვნება მამანტი ძაძამიას დაბადების 73-ე წელს)

### ნანაში ნინაში დუდმენცარი

(მამანტი ძაძამიაში მაფერაფალი ლერსი)

ტყურაშ რაგად ვამ)მაძირე,
ორაგადეს) მანგას) ფთქუა, –
ოგორაფალც) ვოგორა დო
მაფერაფალც) მუფერუა.
ნანაშ ნინაშ დუდმენცარი
ირკოც) ქოუჩქ), მამანტი რე,
ღორონთიერ საქმეს ჯღონც),
მუთ მართალინი, მართალი რე.
ქიანაშ მაშხვა ოღალ მეუღუ
წუწელი ორქოცალო მონკა,
თე დიდი არხას) მიარ ხანც)
ბორჯიში გებიჯ)დ) როკა...
თიშ სიდიდა, თიშ სისქვამე
სერემც) აფუდუ ფორილი, –
კოლხური ნინა ბჟა დო თუთა
§ოფედ) აკოწყორილი...
კოლხური ზიტყვა უკოროცხ)
ზღვაში ქვიშა დო მურიცხ ცალო, –
ქი§ანას) ქაძირ) ჩქინი ნინა
გოპეულერი ვარდიცალო.
მითინც) მუშენი უკვენდას)
მართალი რაგადი თეცალი, –
ამდღარი საქორთუოს ვა§უნც)
თიში მადიდა მენცარი.
მალ წყარცალო ვესვანჯ) დო
თიში ნასაქვარ ურწუმი რე.
არზი დო ხე უღუ მარდიანი,
ჟინი ღორონთიში ჭყოლოფა, –
ვერწემი წიგნო გინართინუ
ნანაში ნინაში §ოროფა...
მარგალური ნინა §ოფე
ადამშობაში გ)ნარჩქინა,
ჩქ) ჩქინი ნინა მიჩქუდეს), –
§ოფე ღორონთიში ნინა,
§ოფე მაფშალიაში ნინა,
§ოფე აიეტიში ნინა...
ურჩქინჯელო მუთუნი ვერგ),
ირფელც) ოკო მუშუში რჩქინა,
მიქ)თი თენა მორჩქინეს)ნი, –
ღორონთი, ქაცალი დიდხანც) რინა!
პატ)ნი მამანტი გურით) რხვამანქ),
რხვამანქ) კუჩხიში გერინელო,
ღორონც) დურინუაფუდა
ანთას წანას) ბედინერო!
საწმოხონო დიდ საქმეს)
კინ აწოყუნთ ხემანჯღვერო, -
ძალა მერჩას) გორჩქინუქუ
თქვან ქიანაშ სარგებელო!

**რინოს კვარაცხელია**
29 მაისი, 2009 წელი

***

(დიდ მენცარიში მამანტი ძაძამიაში წიგნიში გაჩინებაფაქ) მოჭარაფუ ათე ლერსი)

მი, მი რე დო, მი მიში რე
დო მი მის) გ)
მინც) უჩქუ დო, მინც) ვაუჩქუ,
მინც) ირფელი შ),
მინიშ ჩხოუ მაჭვალი რე,
მინც) ვაუღუ ტ),
მინიშ §უდეს მუთუნი ვარე
ნამთინეს) ძ),
§ვერე ტყვია აბრაგიში
სოდგა-სოდგა ლ),
ტყარი ღეჯიში ოჭკუმალო, –
უსხუნ ჭყონიშ კ),
ჯალონენც) სისქვამეშე
შხვას ვეკნასქ)დ) ც),
ჯგირ მენძელქ) მუშ სტუმარც)
ჯგირ დო სქვამი ჩ).
ულირ წანას ჯგირო ვორდი,
გლახათ) ვორექ) წ).

**ეკა ზარანდია**

### მე მეგრელი ვარ!

(სალაღობო)

ვუძღვნი ბატონ მამანტი ძაძამიას – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტს

თქვენ არ გსმენიათ?!
მე ყოველთვის და ყველგან მესმის:
ეშმაკიაო მეგრელი ფრიად...
მე მეგრელი ვარ!
მესმის: – უხეში არის კახელი,
სიტყვაგვიანობს მძიმე რაჭველი,
გაუთლელია ზანტი ქართლელი,
ენაკვიმატი არის გურული,
იმერელი კი თავზრუს გახვევს ცრუ თავაზით.
სვანნი? აპა-პა, საშიშნი და პირქუშებია!
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...
და ერთმანეთში გულმოდგინედ გაგვკვირვებია!
მე მეგრელი ვარ!
„ეშმაკობით“ შევატყვე ყველას:
მეგრელს და კახელს,
რაჭველს და ქართლელს,
გურულს, იმერელს, სვანს,
გამოგონილი ტყუილია, რაც ხმები დადის
და ესე ერთი შეხედვითაც ჩანს...
მე მეგრელი ვარ!
ამიტომაც შევატყვე ყველას,
ერთად, ცალ-ცალკეც, უფლის ნებით რომ ვართ ქართველი,
ერთურთისაგან ყველა დროში გვჭირდება შველა,
– მხნე ერთგულება, მარადისი ჩვენი მთაველის!
და თუ სიმართლე მოგესურვოთ უფრო ფრთიანი,
ამ სინამდვილის ჩემგან არის თქმა უპრიანი:
მე მეგრელი ვარ, მზის შვილ კოლხთა შთამომავალი,
წარსულის მსგავსად, სასახელო, მწამს მომავალი!
მით უფრო, როცა უმდიდრესი ენის მშობელი,
ასეულობით მილიონი სიტყვის მფლობელი,
ვქმნი ერებს შორის გასაოცარ მწყობრ რეალობას –
ღვთითკურთხეული ხატოვნებით რომ მეწყალობა!

**თამაზ ფიფია**
29. V. 2013 წელი
მეგრული ენის დღე ზუგდიდში

### ჰანგებად მოსვლა

წარწერა ცირა ძაძამიას წიგნზე – „მარადი ფიქრი“

ცირასეული ნაზობს ლექსი
ვით თოვლის ფიფქი, –
სევდას ეძღვნება მარადიულს
„მარადი ფიქრი“.

ოცნებას უდრის მისეული
ძილიც, ღვიძილიც, –
სიტყვასთან ჭიდილს ენაცვლება
ფიქრთან ჭიდილი...

„მარადი ფიქრი“ ეს ლოცვაა,
გულწრფელი ლოცვა, –
ოდაბადეში უნატიფეს
ჰანგებად მოსვლა...

ცა მოსარკული ილანდება
ამ დღეის იქით, –
ტრფიალს ეძღვნება სიცოცხლისას
„მარადი ფიქრი“.

**რინოს კვარაცხელია**
10/II. 2004 წ.

### ღმერთმა გვიმრავლოს შენებრ სათნონი...

(ვუძღვნი ცირა მამანტის ასულ ძაძამიას)

სურათითაც იკითხება შინაგანი სამყარო,
გადაშლილი სული გაგცემს როგორი და რა ხარო.

სევდით გავცქერი აღმზრდელის როლში
წელს ორმოცდახუთს მარგვლაში გასულს,
ამ ხნის მანძილზე, ვფიცავ განგებას,
არ შევხვედრივარ შენნაირ ასულს.

კდემით მოსილი შენი ნათება
და სათნო სახე სულს სითბოს ათოვს,
კოლხურ თვალებში მოგიჩანს ხვითო,
კრძალვა-რიდობით ასე რომ გამკობს.
წარსულისაკენ მახედებ უფრო,
გარიდებიხარ ზეთამამ აწმყოს,
ასე საოცრად კდემამოსილი
მაგონებ წარსულს – ზნეობით ნამყოფს.

გინდ ვარცხნილობაც დედისეული
თვალწინ რომ მიდგას, მუდამ რომ მახსოვს,
რაღაც მისებურს ვპოულობ შენში,
რომ მახარებს და სევდასაც მაქსოვს.

გასაოცარი გმოსავს სინაზე,
სევდანარევი მზერა რომ ამკობს,
მაგ ლამაზ თვალთა შუქი ღვთიური
ამ სურათიდან სიკეთით მათბობს.

ეს გარეგნული იერი შენი
როგორ შერწყმია სულს თეთრად ნაქსოვს,
შენებრ ფაქიზი – შენი ლექსები
გულს ჩაწვდომია და ძლიერ მაწყობს.

ვფიცავ განგებას, ასე ღვთიური
თანამედროვე ცოტა თუ მახსოვს,
რა ვქნა, პორტრეტმა ეს მიკარნახა
და ნურვინ მიწყენს თუ ასე ვამბობ.

ღმერთმა გვიმრავლოს შენნაირები,
შენნაირები ღმერთმა გვიმრავლოს.
ამინ!
სიყვარულითა და პატივისცემით

**მარგო ფონიავა**
(ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი)
17/I. 2005 წ.

### მეფერებოდნენ როცა მეგრულად, მეფერებოდნენ თურმე, ქართულად

*ვუძღვნი მამანტი და ცირა ძაძამიებს და ვლადიმერ ვახანიას*

მელაციცება ის ენა ახლაც,
თითქოს ძველ სკივრში გადამალული,
არ უნდა თქმა, რომ ერთიანია,
მაგრამ იწყება სადღაც მამული...

ახლაც ვიგონებ გაფრენილ ყრმობას,
იმ ჩემს აკვანს და ოქროს საბუდარს,
მეფერებოდნენ როცა მეგრულად,
მეფერებოდნენ თურმე ქართულად!

გამომაცილა დედამ ჭიშკრამდე,
თუმცა, ტკივილი არ მაგრძნობინა,
შემომაბრუნა მარჯვნივ სამჯერ და
მითხრა: ონჯღორე დღას ვამოძირა!

ნუ შეაშინებს ეს აზრი ნურვის,
ჭეშმარიტებაც ნურავის აკრთობს, –
თე ჟირი ნინა ართი ნინა რე,
ეს ორი ენა ერთმანეთს ამკობს.

სათაკილოდ და საწყენად ვინმეს
არა მგონია, ეს თუ დარჩება, –
მთვარიან ღამეს სხვაგანაც ნახავ,
მაგრამ ვერ ნახავ სხვა თუთარჩელას.

ქართულ სივრცეებს თუ კი გახედავ,
ზღვას – იაგუნდს და ზეცას – საფირონს,
– შემოგევლეო, ყველგან გეტყვიან,
მაგრამ სხვა არის – გოლუაფირო!

**ვალერი კვარაცხელია,**
ჟურნალისტი

### ახალი, მართლაც სენსაციური ფაქტები

2012 წლის 26 აგვისტოს მამანტი ძაძამიამ, ცირა ძაძამიამ, ირინე ძაძამიამ, ია ძაძამიამ, ელეონორა მებონია-ძაძამიამ და ირაკლი ხაჭაპურიძემ დაამთავრეს შექმნა და კომპიუტერული უზრუნველყოფა ოცტომეულისა **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“.**

ოცტომეულის II–XVIII ტომებში მოცემულია მეგრული ენის მთელი ლექსიკა ორი სახით. კერძოდ, II–XVII ტომებში წარმოდგენილია ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით. მასში მოხმობილია ზმნები და სახელზმნები, რაც მოიცავს 1 მილიარდ 410 მილიონ 119 ათას 286 სიტყვას პარალელური, იშვათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. ამ ლექსიკონის ყოველ ერთ გვერდზე საშუალოდ იკითხება 160000-მდე სიტყვა. დანარჩენი ლექსიკა წარმოდგენილია სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკა მეგრულ-ქართულის ჩვეულებრივი ლექსიკონის სახით და იგი ითვლის 26000-მდე სიტყვას.

ამრიგად, ოცტომეულში წარმოდგენილი მეგრული ენის ლექსიკა სულ მოიცავს (ითვლის) 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვას (შვიდტომეულში მოხმობილი იყო 103 მილიონამდე სიტყვა). აქედან, ავტორების ვარაუდით, თანამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.

500 მილიონი სიტყვის მომცველი მეგრული ენის ლექსიკონი კი, დაახლოებით 25000 ტომს მოიცავს. მის შედგენას (კომპიუტერული ლექსიკონის სახით), იმ შემთხვევაში, თუ ყოველდღიურად შედგენილი იქნებოდა თითო ტომი (რაც, ცხადია, ფანტასტიკური ჩანს), ავტორებისავე გაანგარიშებით, დასჭირდებოდა დაახლოებით 74 წელი, წელიწადში საშუალოდ 340 დღის მუშაობის პირობებში.

ეს, რასაკვირველია, ჩვენს სასიქადულო ავტორებს არ აწყობდათ. ამიტომაც გადაწყვიტეს, მოეძიათ მეგრულის ლექსიკის მრავალათასტომეულის რაც შეიძლება ექსტერნული წესით შედგენის ხერხი. დაჟინებულმა მუშაობამ მათთვისაც მოულოდნელი შედეგი გამოიღო. მათ მოიძიეს ხერხი, რომლის მიხედვითაც ყოველ 5 წუთში შეუძლიათ 6 ტომი ახალ-ახალი ლექსიკონის (ოღონდ ქართულად თარგმანის გარეშე) შედგენა. ამჟამად ამ გასაოცარი ნიჭის ადამიანებს ხელთა აქვთ მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის პირველი ათასი ტომი. მაგრამ შემდგომი ტომების შექმნა დროებით შეწყვეტილი აქვთ. იძიებენ ხერხს, რომლის მიხედვითაც ამგვარი ექსტერნული წესითვე შესაძლებელი იქნება მეგრულ-ქართული (ორენოვანი) კომპიუტერული ლექსიკონის შედგენა. იმედია, ისინი მალე ამ პრობლემასაც გადაწყვეტენ.

დაბოლოს, კიდევ ერთ სასიამოვნო ფაქტზე: მეგრული ენის ლექსიკონის მრავალათასტომეულის შედგენაზე მუშაობაში მონდომებით ჩაერთვნენ ბატონი მამანტის მცირეწლოვანი შვილიშვილებიც: მარიამი, ლუკა და ქრისტინე ხაჭაპურიძეები. ასე, რომ, ესტაფეტა მომავალ თაობას გადაეცემა და ეს განსაკუთრებით უხარებს გულს მამანტი ბაბუას.

როგორც კი დამთავრდა ზემოთ დასახელებული ოცტომეულის შედგენა, ირინა, ია და ბესარიონ ძაძამიები, ელეონორა მებონია-ძაძამია და და ირაკლი ხაჭაპურიძე, ვიცე-პრეზიდენტის კლიმენტი შელიას წინადადებით არჩეულ იქნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ნამდვილ წევრებად, აკადემიკოსებად.

და, იღწვის მუხლჩაუხრელად მამანტი ძაძამიას ოჯახი – აკადემიკოსების დიდი ოჯახი, მეგრული ენის სიდიადისა და საერთოდ ენის ფენომენის საოცრებათა სრულად წარმოჩენისათვის. სახელი და დიდება მათ!

**ვალერი ძაძამია,**
გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქტორი,
მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს წევრი

## ირვერ ჯალაღონია 75 წლისაა

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია და გაზეთი “ილორი” 75 წლის იუბილეს ულოცავენ ბ-6 ირვერ ჯალაღონიას და უსურვებენ მას დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ლეგიონის უქმეები: ჯანო ანანიძე შვიდეულის თავში



ამ უქმეებზე ქართველმა ლეგიონერებმა 7 გოლი გაიტანეს. გამოსარჩევი უთუოდ ჯანო ანანიძის გოლია **"კრასნოდარის"** კარში. ჩვენებური ბოლო დროს დიდებულად ათამაშდა, ახლაც ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მის გარდა, გოლებით თავი გამოიჩინეს: ბაჩანა ცხადაძემ, დავით ჯანელიძემ, შოთა გრიგალაშვილმა, ჯემალ ჯალიაშვილმა, ირაკლი კლიმიაშვილმა და გიორგი დიაკვნიშვილმა.

ლევან კობიაშვილს რომ ეთამაშა **"ჰოფენჰაიმთან"**, ეს იქნებოდა ქართველის 350-ე მატჩი ბუნდესლიგაში. რას ვიზამთ, დაცდა მოგვიწევს.

მეორე ბუნდესლიგაში კვლავ არ უთამაშია ლევან ყენიას, **"ფორტუნამ"** კი სტუმრად **"პადერბორნს"** სძლია – 2:1. ქართველი ნახევარმცველი გამარჯვებულთა განაცხადშიც არ იყო.

III ლიგაში ლუკას ჰუფნაგელის **"უნტერჰახინგი"** კილის **"ჰოლშტაინთან"** 0:4 განადგურდა. ჩვენებური სათადარიგო იყო.

იტალიის სერია B-ში **"ემპოლი"** მოულოდნელად **"ბარისთან"** განადგურდა – 0:3. ჩემპიონატის მეორეადგილოსნის რიგებში ირაკლი შეყილაძე სათადარიგო იყო, ლევან მჭედლიძე ტრავმირებულია.

მეორე დივიზიონის **"ალკორკონში"** კვლავაც ველით ბაჩანა არაბულის გამოჩენას, ქართველი ჯერჯერობით დუბლების ფეხბურთელია.

საფრანგეთის **"ნასიონალ დივიზიონის"** ლიდერი **"ლუზენაკი"** შინ **"პარიზს"** 1:1 დაუზავდა. **"ლუზენაკის"** მცველმა ამირან სანაიამ შეუცვლელად ითამაშა.

ავთო ებრალიძემ 90 წუთი ითამაშა **"ბელენენსეშთან"** მატჩში, რომელიც **"ჟილ ვისენტემ"** 0:1 წააგო.

### "ვიტესში" კიდევ ერთი წლით

გახსოვთ, ალბათ, ამ გუნდების წინა დაპირისპირების ბედი ვაკო ყაზაიშვილის გოლმა გადაწყვიტა **"ვიტესის"** სასარგებლოდ. ამჯერადაც, **"აიაქსთან"** მატჩში ქართველი ნახევარმცველი შესვენების შემდეგ შევიდა მოედანზე (67-ე წუთზე), მაგრამ გამარჯვების გოლი ვეღარ გაიტანა.

**"ვიტესისა"** და **"აიაქსის"** დაპირისპირება კი 1:1 მორჩა. გურამ კაშიამ შეუცვლელად ითამაშა, გუნდის კაპიტანმა მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო.

არ დაგვავიწყდეს, რომ თამაშამდე გადაწყდა ვაკოს ბედი – ჩვენებურს კიდევ ერთი სეზონით იტოვებენ **"ვიტესში"**, მის კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს ეწურებოდა.

### შოთას გოლმა ვერაფერი შეცვალა

თურქულ სუპერლიგაში შოთა არველაძის **"ქასიმფაშა"** სტუმრად **"გაზიანთეფს"** 2:2 დაუზავდა. ქართველი მწვრთნელის გუნდს 40 ქულა აქვს და ევროზონაში აღარ არის.

ზურაბ ხიზანიშვილი კვლავ ტრავმირებულია. მის გარეშე აუტსაიდერი **"ქაისერი"** **"ბეშიქთაშს"** ებრძოლა, თუმცა საბოლოოდ 1:2 დამარცხდა.

დანიაში ქართველთა **"ორჰუსი"** შინ 0:1 დამარცხდა **"რანდერსთან"**. მასპინძელთა სასტარტოში მხოლოდ ერთი ქართველი იყო – დავით დევდარიანი 54-ე წუთზე შეცვალეს. მათე ვაწაძე მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე ჩაერთო თამაშში და ბუნებრივია, ვერაფერი მოასწრო; დავით სხირტლაძე სათადარიგო გახლდათ. **"ორჰუსს"** გავარდნის სერიოზული საფრთხე ემუქრება.

პოლონურ ექსტრაკლასში შავი დღე დაადგა ქართველთა **"იაგელონიას"** – პოზნანში **"ლეხთან"** 1:6 განადგურდა. გიორგი ფოფხაძემ შეუცვლელად ითამაშა, ნიკა ძალამიძემ – მეორე ტაიმი. **"იაგელონია"** 38 ქულით მეათე ადგილზეა.

ხორვატიაში **"ჰაიდუკი"** სტუმრად **"რიეკასთან"** 1:4 შერცხვა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია გიორგი ილურიძეს.

კვიპროსის ზედა ექვსეულის მაჩანჩალა **"ანორთოსისმა"** შინ 1:2 წააგო **"ერმისთან"**, რომელიც მე-4 ადგილზეა. ამ შეხვედრაში მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში შოთა გრიგალაშვილი და მასპინძელთა ერთადერთი გოლის ავტორიც ის გახდა. 56-ე წუთიდან ითამაშა გამარჯვებულთა მარჯვენა მცველმა ლევან მაღრაძემ.

რუმინეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში "კლუჟი" შინ **"პეტროლულს"** 1:1 დაუზავდა. გიორგი ჭანტურიამ 67-ე წუთამდე ითამაშა. სწორედ მისმა შემცვლელმა მოუტანა ქულა "კლუჟს", რომელიც ნახევარ საათზე მეტი 10-კაციან მეტოქეს ეთამაშებოდა.

6 აპრილს ჯანო ანანიძემ რუსეთის ჩემპიონატში მესამე გოლი გაიტანა, მისმა **"როსტოვმა"** სტუმრად მოუგო **"კრასნოდარს"** – 2:0.

ჩვენებურმა პირველი ტაიმის მიწურულს არტიომ ძიუბას დარტყმულს დაამატა.

ჯანო 85-ე წუთზე შეცვალეს, ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ ჯანომ **"როსტოვის"** ბოლო სამ მატჩში (ერთი სათასო იყო) სამი გოლი გაიტანა.

რაც შეეხება სხვა ლეგიონერებს, მცირე ტრავმის მერე **"კრილია სოვეტოვს"** დაცვის ბურჯი, ალექსანდრე ამისულაშვილი დაუბრუნდა, მაგრამ გუნდს ქართველმაც ვერ უშველა ცსკა-სთან საშინაო მარცხში – 1:3. კაპიტანმა ამისულაშვილმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე, ორჯერ სახიფათოდაც ჩაერთო შეტევაში, თუმცა ააცილა მოსკოველთა კარს (5 ბალი **"ჩემპიონატისგან"**).

საბა კვირკველიას **"რუბინი"** სანკტ-პეტერბურგში განადგურდა – 2:6. მე-18 წუთზე სწორედ ქართველმა მცველმა წააქცია დანი საჯარიმოში და ჰალკმა პენალტით გახსნა ანგარიში. ჩვენებურს 4,5 ბალი დაუწერეს.

ნამდვილი სიურპრიზი შემოგვთავაზა **"ანჟიმ"**: გია გრიგალავას გუნდმა მოსკოვის **"დინამო"** ქალაქ კასპიისკში, **"ანჟი არენაზე"** გაანადგურა – 4:0. აუტსაიდერთა რიგებში 90 წუთი ითამაშა გრიგალავამ (6 ბალი). რუსული მედიის ინფორმაციით, ქართველი განსაკუთრებით კარგად **"მეორე სართულზე"** თამაშობდა.

I დივიზიონში კვლავ 12-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს აკაკი ხუბუტიას **"მორდოვია"**, რომელსაც დაშლილ **"ალანიასთან"** 3:0 გამარჯვება ჩაეთვალა. ასევე 3:0 მოგება ჩაეთვალა დავით სირაძის **"ნალჩიკს"** დაშლილ **"სატურნთან"**.

ქართველთა **"სკა-ენერგიამ"** სტუმრად **"ხიმიკს"** 1:0 მოუგო, გოლის ავტორი ყოფილი დილელი ნათან ჟუნიორია. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა გიორგი ნავალოვსკიმ, გოგიტა გოგუა ბოლოსკენ შეცვალეს, კახა ალადაშვილი მხოლოდ სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა.

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში ტრავმირებული მათე ღვინიანიძის გარეშე მოიგო **"სევასტოპოლმა"** **"ვორსკლასთან"** შეხვედრა – 1:0.

ყირიმს სტუმრობდა **"დნიპრო"**, რომელმაც **"ტავრიას"** 2:0 აჯობა. **"დნიპროს"** განაცხადში მხოლოდ ერთი ქართველი იყო – ჯაბა კანკავა თამაშში 31-ე წუთზე ჩაერთო. **"დნიპრო"** ლიდერ **"შახტარს"** 3 ქულით ჩამორჩება და თამაში რეზერვში აქვს.

**"შახტარმა"** 3:0 სძლია **"კარპატის"**, რომელმაც ტრავმირებული ბუბა დაუშვილის გარეშე ითამაშა.

**"ჩერნომორეცის"** რიგებში არ გამოჩენილა თორნიკე ოქრიაშვილი.

ჯაბა ლიპარტიას **"ზორიამ"** 3:0 მოუგო **"ილიჩევეცს"**. ჩვენებური მოედანზე 58-ე წუთზე შევიდა. **"ილიჩევეცის"** დავით თარგამაძე დუბლებში თამაშობს.

# ფოიერბახ, რა ხარ შენ, რა ხარ?!



იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, ფილოსოფოსი, გერმანელი, გვარ-სახელად ლუდვიგ ფოიერბახი. სხვა სიბრძნეებთან ერთად, ერთი ასეთი ფრთიანი ფრაზაც დაგვიტოვა ანდერძად: **"ადამიანი არის ის, რასაც ჭამს!"**

ფოიერბახი რომ ექიმი ან თუნდაც ბიოლოგი ყოფილიყო, მეც დავიჯერებდი (როგორც არის კიდეც მიღებული), რომ ამ ფრაზაში წმინდა ბიოლოგიურ შინაარსს დებდა: როგორც დამტკიცებულია, ადამიანის ორგანიზმი იწამლება 5% ჰაერით, 10% – სასმელით და 85% – საჭმელით...

მაგრამ ფოიერბახი ფილოსოფოსი იყო და ამიტომ მგონია, რომ ამ **"ჭამაში"** სხვა რამ იგულისხმა. ყოველ შემთხვევაში დღეს, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, ასე ჩანს. თანაც ზუსტად ემთხვევა: ზოგიერთი ჩვენი **"პოლიტიკოსი"**, რასაც მიირთმევს დიდი კოვზით (თანაც ამას გაპოლიტიკოსებამდეც რომ წარმატებით აკეთებდა), სწორედ ის არის ახლა. საითაც უნდა, იქით გადაივარცხნოს ქოჩორი – კამოს (კამო ხომ იცით? ისიც იმავეს მიირთმევდა, ოღონდ – უკოვზოდ) მემკვიდრეა მაინც.

არ მკითხოთ ახლა, კონკრეტულად რომელ პოლიტიკოსზე გაგახსენდა ეს **"კოვზით ჭამაო"** – ძალიან ბევრია ამ ამბის ოსტატი ქართულ სინამდვილეში და ნურც იმის ილუზია ექნება ვინმეს, რომ ერთ რომელიმე მხარეს არიან თავმოყრილნი: **"აქაც"** არიან, **"იქაც"** და **"იმის იქითაც"** – ე.წ. **"მესამე ძალაში"** (იქ არიან, თუ არიან)...

უჰ, რა გამახსენდა (ამ ერთხელაც ვახსენებ **"ექსკრემენტულ"** ხუმრობას და მერე **"გამოვსწორდები"**): **"ნაცების"** დეპუტატი კანდელაკი რომ არის, ევროსაბჭოშიც რომ გახლავთ მაგათი წარმომადგენელი, ოღონდ არაევროპული წარბები რომ აქვს, მაგან **"გააბაზრა"**, **"ოცნების"** დელეგაციამ რუსეთისთვის ევროსაბჭოში ხმის უფლების ჩამორთმევას ხმა არ მისცაო. უფრო ზუსტად – ეკა ბესელიამ და გუგული მაღრაძემო. ეტყობა იფიქრა, ქალები არიან და **"მოვერევიო"**.

ჰოდა, სწორედ მაშინ გამახსენდა ის ცოტა სკაბრეზული, მაგრამ ძალიან ზუსტად მორგებული ხალხური შედარება: როდესაც ბესელია გაგანია ევროპაში, სტრასბურგის ევროსაბჭოს შენობის ფოიეში ტუქსავდა კანდელაკს – აზრზე მოდი და ცოტა სერიოზულად მოიქეციო, ეს უკანასკნელი **"ნეხვნაჭამი გოჭივით"** იდგა და უსმენდა.

გოჭი ბევრი მინახავს, ნეხვსაც ღორები გოჭობიდანვე გეახლებიან, მაგრამ ახლადდანაყრებული გოჭი როგორ იყურება, არ ვიცი. სავარაუდოდ, ზუსტად ისე, როგორც შეგიძლიათ იხილოთ, თუკი ინტერნეტში პირველი არხის სიუჟეტის ამ ფრაგმენტს მოძებნით და ნახავთ.

ამასობაში კანდელაკის თანაპარტიელები თბილისში ევრომაიდნისთვის ემზადებიან და ნახმარ საბურავებს ყიდულობენ. მე არა, შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა!

საერთოდ, ამ ამბავში (ჭიკაიძის ნათქვამს ვგულისხმობ) ერთი რამ უდავოდ არის კარგი: მინისტრს ლაპარაკი სცოდნია!

რაც შეეხება საბურავებს... კარგია, რომ ცოტა დარჩა აქ ადგილი და ბევრს ვეღარაფერს ვიტყვი. რა უნდა თქვა ასეთ დროს კაცმა? ბატონო ლექსო, მე გეტყვით და დამიჯერეთ, ათასი გოთვერნობა მაქვს ამ ქვეყანაში ნანახი და ტყუილიც დამეჯერება: არ თქვათ ეგ, – ევრომაიდანს აწყობენო, აღარ თქვათ! თქვით, რომ დესტაბილიზაცია უნდათ, რომ კანონიერი ხელისუფლების გადაგდება უნდათ, რომ ცუდები არაინ, **"ხი-ხიები"** არიან და რუსეთის ორმაგი აგენტები (მით უმეტეს, რომ არც უმაგისობა იქნება ალბათ), მაგრამ ევრომაიდანს ნუ ამბობთ, თორემ გამოდის, რომ თქვენ (ანუ მთავრობა) იანუკოვიჩის **"პონტში გადიხართ"** და ვერ გამოვა კაი ამბავი.

მით უმეტეს, რომ აგერ უსუფაშვილი ნიდერლანდების პარლამენტის სპიკერებს შეხვდა და – გვიშველეთ, ევროპის გარეშე რუსეთი გადაგვყლაპავსო. სპიკერებსო, რომ ვამბობ, – ერთი წარმომადგენლობითი პალატის სპიკერია, მეორე – სენატის. ორივე ქალბატონია. ერთს ანუშკა ჰქვია (ანუშკა ვან მილტენბურგი), მეორეს – ანკა (ანკა ბროკერს-ნოლი). ანუ, ჩვენი ბედი ანუშკასა და ანკაზე ჰკიდია... (გვარების სიზუსტეზე თავს არ ვდებ – ქართული ღრმად პროფესიონალი სააგენტოების ნიუსებიდან ავიღე).

**P.S.** ანეკდოტიც გამახსენდა და **აფორიზმიც. ადგილი ცოტაა, რა ვქნა?.. ჯანდაბას, ორივეს მოკლედ ვიტყვი:**

**კახელი ბავშვი 6 წლისა ისე გახდა, ხმა არ ამოუღია, მუნჯი ჰგონიათ.**

**ერთ დღესაც, ოჯახში სადილობისას გამართულად თქვა:**

**– მარილი არ არი სუფრაზედა!**

**ატყდა ამბავი: "დედა გენაცვალოს, აქამდე რათ იყავი ჩუმადა?"**

**– აქამდე სუ იყო ხოლმე მარილი და რა უნდა მეთქვა?**

**P.P.S. აფორიზმი კი უფრო "ბოროტად" ჟღერს: "სჯობს ჩუმად იყო და ყველას უგუნური ეგონო, ვიდრე რამე თქვა და ყველა დარწმუნდეს ამაში".**

**პროვოკატორი**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge